



პროექტის ახორციელებს
Hulla & Co. Human Dynamics KG



პროექტი დაფინანსებულია
ევროპის კავშირის მიერ

პროგნოზის საერთაშორისო სტანდარტების ქრებული

სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის

გამოცემა მომზადებულია ევროკავშირის მხარდაჭერით “კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში” პროექტის ფარგლებში. მისი შინაარსი არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

თბილისი
2010

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა 5

არასაკავშირებელი ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები (ტოკიოს წესები)
მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის №45/110 რეზოლუციით 11

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები:

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)1 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ
(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 20 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 1075-ე სხდომაზე) 28

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით
(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე) 60

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)22 წევრი ქვეყნებისადმი პირობით გათავისუფლების შესახებ (ვადამდე გათავისუფლება)
(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 24 სექტემბერს მინისტრთა მოადგილეების 853-ე შეხვედრაზე) ... 114

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2000)22 წევრი სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი საწესდებისა და ღონისძიებების აღსრულების მარეგულირებელი ევროპული წესების იმპლემენტაციის გაუმჯობესებაზე
(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2000 წლის 29 ნოემბერს, მინისტრთა მოადგილეების 731-ე შეხვედრაზე) ... 128

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №(97) 12 წევრი სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი კადრების შესახებ
(დამტკიცებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1997 წლის 10 სექტემბერს, მინისტრთა მოადგილეების მე-600 შეხვედრაზე) 138

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № (92) 16 წევრი სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ევროპული წესების შესახებ
(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1992 წლის 19 ოქტომბერს მინისტრთა მოადგილეების 482-ე შეხვედრაზე) ... 160

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციები:

რეზოლუცია (65) 1 სასჯელის გადავადება, პრობაცია და თავისუფლების აღკვეთის სხვა ალტერნატიული ზომები
(მიღებულია მინისტრთა მოადგილეების მიერ 1965 წლის 22 იანვარს) 187

რეზოლუცია (70) 1 პირობით მსჯავრდებულ ანდა პირობით გათავისუფლებულ პირთა ზედამხედველობისა და გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის ღონისძიებების პრაქტიკული ორგანიზების შესახებ
(მიღებულია მინისტრთა მოადგილეების მიერ 1970 წლის 26 იანვარს) 189

რეზოლუცია (76) 10 თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სადამსჯელო ღონისძიებების შესახებ
(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1976 წლის 9 მარტს მინისტრთა მოადგილეების 255-ე შეხვედრაზე) 195

ევროპული კონვენცია პირობით მსჯავრდებულ ან პირობით გათავისუფლებულ სამართალდამრღვევთა ზედამხედველობის შესახებ, სტრასბურგი, 30.XI.1964 198

წინასიტყვაობა

საქართველოში სისხლის სამართლის სისტემის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით უკანასკნელ წლებში გატარებული რეფორმა ღირშესანიშნავია. სისხლის სამართლის სისტემის გაუმჯობესება ქვეყანაში მიმდინარე განვითარებების შესაბამისად დიდი გამოწვევაა ქვეყნისთვის. ამისათვის საჭიროა ყურადღებით დაგეგმვა, კარგი სტრატეგია და მონდომებული და მოტივირებული ადამიანები. ასევე აუცილებელია საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების ცოდნა და ადგილობრივ რეალობაში მათი გადმოატანა.

თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივების შემოღება და ფართოდ გამოყენება კარგი შესაძლებლობაა რთულ წარსულთან და მკაცრ სადამსჯელო პოლიტიკასთან გასამკლავებლად. ასეთი მიდგომა შეესაბამება ევროპულ ღირებულებებს და სტანდარტებს, რომლებიც მოუწოდებს ქვეყნებს სამართალდარღვევების მიმართ საზოგადოებრივი ღონისძიებების გამოყენებაში უფრო მეტი ინვესტირებისკენ. შესაბამისად, პრობაციის სამსახურის შექმნა ლოგიკურად წინგადადგმული ნაბიჯი და ამავდროულად მნიშვნელოვანი ცვლილება იყო საქართველოს სისხლის სამართლის სისტემაში.

ცხადია, რომ სანყის ეტაპზე რთულია ყველა მოთხოვნისა და საჭიროების დაკმაყოფილება. ევროპის საბჭოს სტანდარტები ვრცელ ბაზისს ქმნის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში, უფრო კონკრეტულად კი პრობაციის სფეროში ახალი პოლიტიკის განსაცვითარებლად. 2010 წელს ევროპის საბჭოს მიერ მიღებული პრობაციის წესები მოიცავს ევროპაში საყოველთაოდ აღიარებულ რამდენიმე პრინციპს, რომლებსაც ევროპულ ქვეყნებში მიიჩნევენ საპრობაციო საქმიანობის არსებით საფუძვლებად.

საერთაშორისო სტანდარტების გაცნობა და ცოდნა აუცილებელია ამ სფეროს ყველა პრაქტიკოსისთვის, რათა მათ უკეთ გაიაზრონ მათი საქმიანობის ზოგადი ამოცანები. პრობაციის ოფიცერთა სწავლების მხარდაჭერის მიზნით შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების შემცველი დოკუმენტები შეიკრიბა ერთ კრებულად და ითარგმნა ქართულ

ენაზე. ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე კრებული პრაქტიკოსებს დაეხმარება მათი საქმიანობის შემდგომ დახვეწასა და განვითარებაში.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის რეფორმას საქართველოში მრავალი ორგანიზაცია უჭერს მხარს, ეს კრებულიც არ ყოფილა გამონაკლისი. ჩვენ მადლობას ვუხდით “ციხის საერთაშორისო რეფორმის რეგიონულ ოფისს სამხრეთ კავკასიაში” თანამონაწილეობისთვის და რამდენიმე რეკომენდაციის ქართული თარგმანის მოწოდებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ გაგრძელდეს ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორთა კოორდინირებული და ურთიერთშეთანხმებული საქმიანობა. ვიმედოვნებთ, რომ ეს ძალისხმევა ხელს შეუწყობს საქართველოში პრობაციის სფეროში საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებას.

რაიტ კუზე

ძირითადი ექსპერტი
პრობაციის საკითხებზე,
ევროკავშირის მიერ
დაფინანსებული
პროექტი “კანონის
უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში”

ბორის ვოდსი

ევროპის საბჭოს
გენერალური
მდივნის საგანგებო
წარმომადგენელი
საქართველოში

FOREWORD

The reforms undertaken during past years in order to improve and develop the Georgian Criminal Justice system are remarkable. It is a great challenge to improve criminal justice system in a way which supports overall development of the country. It needs careful planning, a good strategy and willing and motivated people. It also needs an understanding of the internationally shared principles and ability to transfer them into local situation.

The introduction and wider use of alternatives to imprisonment provides a good opportunity to deal with challenges coming from difficult past and harsh sentencing policy. It is also in line with European values and standards, which encourage countries to invest more to the development of community based interventions with offenders. Therefore the creation of the Probation Service was a logical step forward, but as well an important milestone in the history of reforming criminal justice system in Georgia.

It is evident that in the beginning years it is difficult to meet all demands and needs. The Council of Europe standards provide a comprehensive platform for guiding the development of new policies in the field criminal justice, and more concretely in the area of probation. The new Probation Rules adopted by the Council of Europe in 2010 is an important document containing several commonly shared principles how European countries understand the core issues of probation work.

Exploring and studying international standards is needed for all practitioners in order to understand the wider purpose of their work. In order to support the trainings of probation officers relevant standards on probation are collected into one volume and translated into Georgian language. This will hopefully empower practitioners in continuous mastering of their practice.

Finally, criminal justice reforms in Georgia are supported by various stakeholders and issuing the current collection is not an exception. Therefore we appreciate the participation of the Penal Reform International South Caucasus Regional Office

in translation of some of the Recommendations for current collection. It is important to continue with well coordinated activities in mutual understanding with local and international partners. Hopefully this will contribute to institutionalization of best practices of probation work in Georgia.

Rait Kuuse

Key Expert on Probation,
EU funded Project “Capacity
Building in Support of Rule of
Law in Georgia”

Borys Wodz

Special Representative of
the Secretary General of the
Council of Europe in Georgia

წინასიტყვაობა

აღნიშნული კრებულის გამოცემა ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოს სასჯელის აღმასრულებელი ორგანოების განვითარებისთვის. კრებული ხელს შეუწყობს ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით სასჯელის მიზნის ეფექტურ აღსრულებას.

დანაშაული არსებობს და იარსებებს მანამ, სანამ არსებობს სახელმწიფო და საზოგადოება, შესაბამისად სახელმწიფოს მუდმივი საზრუნავია მოახდინოს დანაშაულის პრევენცია და იზრუნოს დამნაშავის რეაბილიტაციაზე. საერთაშორისო საზოგადოების მიერ, სტანდარტებად ჩამოყალიბებული რეზოლუციები და რეკომენდაციები უზრუნველყოფს სასჯელის მოხდის ადევატური პირობების განსაზღვრას, სასჯელის სწორ, მიზანმიმართულ აღსრულებას, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სამართლებრივ განვითარებას.

ზემოაღნიშნულ კრებულში მოცემული რეზოლუციები და რეკომენდაციები პრობაციის ეროვნული სააგენტოს ოფიცრების სახელმძღვანელო პრინციპებია პრობაციონერებთან ურთიერთობაში. აღნიშნულის ცოდნა ხელს შეუწყობს მათ, უზრუნველყონ თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელის ეფექტური განხორცილება, ჩამოყალიბონ პრობაციონერებს კანონმორჩილებისა და ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისადმი სინანულის გრძნობა, რათა პრობაციონერი სასჯელის მოხდის შემდგომ, საზოგადოებაში ინტეგრირებულ იქნას როგორც მისი სრულფასოვანი წევრი. საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა მნიშვნელოვანია პრობაციისა და სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა პროფესიული საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებისათვის, რაც საშუალებას აძლევს მოსამსახურეებს კიდევ უფრო კარგად გაიაზრონ და შეისწავლონ სასჯელის აღსრულების მიზანი, რაც გამოიხატება ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაში, დამნაშავეთა რესოციალიზაციაში და რეაბილიტაციაში.

ეს კრებული სასჯელის განმახორცილებელი ორგანოების თანამშრომლებს საშუალებას მისცემს თავის საქმიანობაში სწორად განსაზღვრონ სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ოჯახის განსაკუთრებული როლი მსჯავრდებულთა

რეაბილიტაციის პროცესში, განსაზღვრონ დამნაშავეთა საჭიროებები, რათა შეძლონ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენა, რაზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გატარებული სარეაბილიტაციო ღონისძიებების პოზიტიური შედეგი.

საქართველოს სამართლებრივ სივრცეში ევროპული სტანდარტების პოპულარიზაცია ძალზედ მნიშვნელოვანია. ამ კრებულის გამოცემა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოში სასჯელის აღსრულების ეფექტურად განხორციელების რეფორმირების პროცესში და ვფიქრობთ ეს სახელმძღვანელო პრობაციის ოფიცრის სამაგიდო წიგნი გახდება.

ნატო გუგავა
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის
სასწავლო ცენტრის დირექტორი

არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები (ტოკოს წესები)

*მიღებულია გენერალური ასამბლეის 1990 წლის
14 დეკემბრის №45/110 რეზოლუციით*

I. ზოგადი პრინციპები

1. ძირითადი მიზნები

- 1.1 არსებული სტანდარტული მინიმალური წესები წარმოადგენს ძირითადი პრინციპების ნაკრებს, რომელიც ემსახურება არასაპატიმრო ზომების გამოყენების ხელშეწყობას და წარმოადგენს ერთგვარი მინიმალური დაცვის მექანიზმს იმ პირებისათვის, რომლებიც ექვემდებარებიან დასჯას პატიმრობის ალტერნატიული ზომებით.
- 1.2 ამ წესების მიზანია, ხელი შეუწყოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მართვაში საზოგადოების მეტ ჩართულობას, განსაკუთრებით, დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის საკითხებში, ასევე, სამართალდამრღვევებში საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივების ხელშეწყობას;
- 1.3 წესები უნდა განხორციელდეს თითოეული ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პირობების, ქვეყნის სისხლის სამართლის სისტემის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით.
- 1.4 წესების განხორციელებისას, წევრი სახელმწიფოები უნდა ეცადნენ, დაიცვან შესაბამისი ბალანსი ცალკეულ სამართალდამრღვევთა უფლებებს, დაზარალებულთა უფლებებს, საზოგადოების უსაფრთხოებასა და დანაშაულის პრევენციას შორის.
- 1.5 წევრმა სახელმწიფოებმა საკუთარ საკანონმდებლო სისტემებში უნდა განავითარონ არასაპატიმ-

რო ღონისძიებები, რათა არსებობდეს პატიმრობის ალტერნატივის არჩევანი, შემცირდეს პატიმრობის ზომის გამოყენების სიხშირე და ადამიანის უფლებებზე დაკვირვების, სოციალური მართლმსაჯულების მოთხოვნების და დამნაშავის რეაბილიტაციის საჭიროებების გათვალისწინებით, მოხდეს სისხლის სამართლის პოლიტიკის რაციონალიზაცია.

2. არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების ფარგლები

- 2.1 წინამდებარე წესების შესაბამისი დებულებები უნდა გავრცელდეს ყველა იმ პირზე, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება სისხლის სამართალწარმოება, მიმდინარეობს სასამართლო განხილვა ან სასჯელის აღსრულება, სისხლის სამართლის სისტემის ადმინისტრირების ყველა ეტაპზე. წარმოდგენილი წესების თანახმად, ეს პირები მოიხსენებიან როგორც „დამნაშავეები“ იმის მიუხედავად, ისინი არიან ეჭვმიტანილები, ბრალდებულები თუ მსჯავრდებულები.
- 2.2 წესების გამოყენება უნდა მოხდეს რასობრივი, კანის ფერის, სქესის, ასაკის, ენის, რელიგიური აღმსარებლობის, პოლიტიკური ან განსხვავებული აზრის, ეროვნების ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, დაბადების ან სხვა სტატუსის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე.
- 2.3 დანაშაულის ხასიათისა და სიმძიმის, დამნაშავის პიროვნებისა და წარსულის, საზოგადოების დაცვის მიზნის გათვალისწინებით, მეტი მოქნილობის უზრუნველსაყოფად და პატიმრობის არასაჭირო გამოყენების თავიდან ასაცილებლად, სისხლის სამართლის სისტემა უნდა იძლეოდეს არასაპატიმრო ზომების გამოყენების დიდ არჩევანს წინასასამართლო ეტაპიდან სასჯელის მისჯის შემდგომ ეტაპამდე.

- 2.4 უნდა ნახალისდეს ახალი არასაპატიმრო ღონისძიებების განვითარება, განხორციელდეს მათი დეტალური მონიტორინგი და გამოყენების სისტემატურად შეფასება.
 - 2.5 ყურადღება უნდა გამახვილდეს სამართალდამრღვევთა მიმართ ზომების გატარებაზე საზოგადოებაში, ფორმალური პროცედურებისა და სასამართლო განხილვის მაქსიმალურად თავიდან აცილებით, თუმცა, საკანონმდებლო დაცვის ღონისძიებებსა და კანონის უზენაესობასთან შესაბამისობაში.
 - 2.6 არასაპატიმრო ზომების გამოყენება უნდა მოხდეს მინიმალური ჩარევის პრინციპზე დაყრდნობით.
 - 2.7 არასაპატიმრო ზომების გამოყენება უნდა წარმოადგენდეს დეპენალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის მიმართულებით წინ გადადგმული ნაბიჯების ნაწილს, ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუშალოს ან დააგვიანოს ამ მიმართულებით გამოყენებული ძალისხმევა.
- 3. საკანონმდებლო გარანტიები**
- 3.1 არასაპატიმრო ზომების შემოღება, განსაზღვრა და გამოყენება კანონით უნდა დადგინდეს.
 - 3.2 არასაპატიმრო ზომის შერჩევა უნდა ეფუძნებოდეს დაწესებული კრიტერიუმების შეფასებას დანაშაულის ხასიათისა და სიმძიმის, დამნაშავის პიროვნების, წარსულის, სასჯელის მიზნისა და დაზარალებულის უფლებების გათვალისწინებით.
 - 3.3 სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური დამოუკიდებელი ორგანოს მიერ დისკრეციის გამოყენება უნდა განხორციელდეს პროცესის ყველა ეტაპზე სრული ანგარიშგების უზრუნველყოფითა და კანონის უზენაესობის თანახმად.
 - 3.4 არასაპატიმრო ღონისძიებები, რომლებიც ვალდე-

ბულებას აკისრებს დამნაშავეს და გამოყენებულია ფორმალური პროცესის ანდა სასამართლო განხილვის წინ ან სანაცვლოდ, საჭიროებს სამართალდამრღვევის თანხმობას.

- 3.5 არასაპატიმრო ღონისძიებათა დანესების გადანყვეტილება სამართალდამრღვევის მიმართვის საფუძველზე, უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გადახედვას.
- 3.6 სამართალდამრღვევს უფლება უნდა ჰქონდეს, მოთხოვნით/საჩივრით მიმართოს სასამართლოს ან სხვა კომპეტენტურ დამოუკიდებელ ორგანოს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არასაპატიმრო ღონისძიებების განხორციელებისას გავლენას ახდენს მის უფლებებზე.
- 3.7 უნდა არსებობდეს შესაბამისი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საჩივრით მიმართვისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.
- 3.8 არასაპატიმრო ღონისძიებები არ უნდა მოიცავდეს სამართალდამრღვევზე სამედიცინო ან ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტს, ფიზიკურ რისკს ან გონებრივ ზიანს.
- 3.9 ყოველთვის უნდა იყოს დაცული არასაპატიმრო ღონისძიებებს დაქვემდებარებული სამართალდამრღვევის ღირსება.
- 3.10 არასაპატიმრო ღონისძიებების განხორციელებისას, არ უნდა მოხდეს სამართალდამრღვევის უფლებების იმაზე მეტად შეზღუდვა, ვიდრე ეს კომპეტენტური ორგანოს მიერ იყო განსაზღვრული თავდაპირველი გადანყვეტილების მიღებისას.
- 3.11 არასაპატიმრო ღონისძიებების განხორციელებისას, დაცული უნდა იყოს სამართალდამრღვევისა

და მისი ოჯახის წევრების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

- 3.12 მკაცრად უნდა იყოს დაცული სამართალდამრღვევის პირადი საქმის კონფიდენციალურობა და ის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს მესამე პირებისთვის. ამგვარი საქმის ჩანაწერები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხოლოდ სამართალდამრღვევის საქმეზე უშუალოდ მომუშავე ან სხვა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირებისათვის.

4. დამცავი დებულება

- 4.1 წარმოდგენილ წესებში არაფერი უნდა განიმარტოს პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების, გაეროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების სტანდარტული მინიმალური წესების, დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა დაცვის ძირითადი პრინციპების ან სხვა საერთაშორისოდ აღიარებული და სამართალდამრღვევებთან მოპყრობისა და მათი ძირითადი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების ინსტრუმენტებისა და სტანდარტების საწინააღმდეგოდ.

II. წინასასამართლო ეტაპი

5. წინასასამართლო გადაწყვეტილება

- 5.1 საჭიროების შემთხვევაში, არსებული სამართლის სისტემის შესაბამისად, პოლიციას, პროკურატურას ან სხვა სისხლის სამართლის საქმეების მწარმოებელ ორგანოებს უნდა მიენიჭოთ უფლებამოსილება, შეწყვიტონ საქმისწარმოება სამართალდამრღვევის მიმართ იმ შემთხვევაში, თუკი მიაჩნიათ, რომ მისი გაგრძელება საჭირო არ არის საზოგადოების დაცვის, დანაშაულის პრევენციისა ან კანონის და დაზარალებულის უფლებების პატივისცემის

ხელშეწყობისთვის. საქმისწარმოების შეწყვეტის მართებულობისა და შესაბამისი პროცედურის განსაზღვრისთვის თითოეულ სამართლებრივ სისტემაში უნდა შემუშავდეს და დაინერგოს შესაბამისი კრიტერიუმები. მსუბუქი სამართალდამრღვევების შემთხვევაში, პროკურორს უფლება აქვს, საჭიროებისამებრ, დაანესოს შესაბამისი არასაპატიმრო ღონისძიება.

6. წინასწარი პატიმრობისთვის თავიდან არიდება

- 6.1 სისხლის სამართლის პროცესში წინასწარი პატიმრობა გამოიყენება, როგორც უკიდურესი აუცილებლობა დანაშაულის გამოძიების პროცესში, საზოგადოებისა და დაზარალებულის უსაფრთხოების დაცვის მიზნით.
- 6.2 წინასწარი პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიებები გამოყენებული უნდა იქნეს რაც შეიძლება ადრეულ სტადიაზე. წინასწარი პატიმრობა უნდა გაგრძელდეს არაუმეტეს იმ ვადისა, რაც საჭიროა ამ წესების 5.1 მუხლში მოცემული მიზნების მისაღწევად და უნდა მოხდეს მათი ადმინისტრირება ჰუმანურად და ადამიანის ღირსების პატივისცემის დაცვით.
- 6.3 წინასწარი პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში, სამართალდამრღვევს უნდა ჰქონდეს უფლება, საჩივრით მიმართოს სასამართლო ან სხვა კომპეტენტურ დამოუკიდებელ ორგანოს.

III. სასამართლო და სასჯელის მისჯის ეტაპები

7. სოციალური მოკვლევის ანგარიშები

- 7.1 თუკი არსებობს სოციალური მოკვლევის ანგარიშების შესაძლებლობა, სასამართლო ორგანომ შეიძლება ისარგებლოს კომპეტენტური, უფლე-

ბამოსილი პირის ან ორგანოს მიერ მომზადებული ანგარიშით. ანგარიში უნდა მოიცავდეს სოციალურ ინფორმაციას სამართალდამრღვევის შესახებ, რომელიც შეესაბამება პიროვნების დანაშაულებრივ წარსულს და მიმდინარე დანაშაულებს. ის ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას და რეკომენდაციებს, რომელიც შეესაბამება სასჯელის მისჯის პროცესს. ანგარიში უნდა ეფუძნებოდეს ფაქტებს, იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი და ნათლად გამოხატავდეს ნებისმიერ მოსაზრებას.

8. სასჯელის მისჯის გადანყვეტილებები

- 8.1 სასამართლო ხელისუფლებამ, რომელსაც ხელთ აქვს სხვადასხვა არასაპატიმრო ზომის გამოყენების საშუალება, გადანყვეტილების მიღებისას უნდა გაითვალისწინოს სამართალდამრღვევის რეაბილიტაციის საჭიროებები, საზოგადოებისა და დაზარალებულის ინტერესების დაცვა, ვისაც, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციისათვის უნდა მიმართონ.
- 8.2 პასუხისმგებლობის ზომის განმსაზღვრელმა ორგანოებმა შეიძლება მიიღონ შემდეგი ტიპის გადანყვეტილებები:
- ა. ვერბალური სანქცია, როგორცაა გაფრთხილება, აკრძალვა;
 - ბ. პირობით გათავისუფლება;
 - გ. სტატუსური სასჯელები;
 - დ. ეკონომიკური სანქციები და ფულადი ჯარიმა, როგორცაა ჯარიმა და ყოველდღიური ჯარიმა;
 - ე. კონფისკაციის ან ექსპროპრიაციის ბრძანება;
 - ვ. დაზარალებულისთვის პირველადი მდგომარეობის აღდგენის დავალება ან კომპენსაციის ბრძანება;
 - ზ. სასჯელის შეჩერება, ან გადადება;

- თ. საპრობაციო და სასამართლო ზედამხედველობა;
- ი. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განხორციელების ბრძანება;
- კ. დასწრების ცენტრში გადამისამართება
- ლ. შინა პატიმრობა
- მ. ინსტიტუციური მოპყრობის ნებისმიერი სხვა ფორმა.
- ნ. ზემოთ ხსენებული ზომების კომბინაცია.

IV. სასჯელის შემდგომი ეტაპი

9. სასჯელის შემდგომი ღონისძიებები

- 9.1 კომპეტენტურ ორგანოს უნდა გააჩნდეს სასჯელის შემდგომი ალტერნატივების ფართო არჩევანი, რათა თავიდან აიცილოს ინსტიტუციონალიზაცია და დაეხმაროს დამნაშავეებს საზოგადოებაში ინტეგრაციაში.
- 9.2 სასჯელის შემდგომი ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს:
 - ა. შვებულებას ან ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებას;
 - ბ. სამუშაოს ან საგანმანათლებლო გათავისუფლებას;
 - გ. სხვადასხვა ტიპის პირობით გათავისუფლებას;
 - დ. რემისიას;
 - ე. შეწყალებას.
- 9.3 გადანყვეტილებას სასჯელის შემდგომი ღონისძიების შესახებ, შეწყალების შემთხვევის გარდა, სასამართლო ან სხვა კომპეტენტური დამოუკიდებელი ორგანო განიხილავს დამნაშავის მიერ შესაბამისი საჩივრის საფუძველზე.
- 9.4 დაწესებულებიდან ნებისმიერი ფორმით ვადამდე გათავისუფლება არასაპატიმრო პროგრამაზე გა-

დაყვანით შეძლებისდაგვარად განხილული უნდა იქნეს ყველაზე ადრეულ ეტაპზე.

V. არასაპატიმრო ღონისძიებათა განხორციელება

10. ზედამხედველობა

- 10.1 ზედამხედველობის მიზანია დანაშაულის განმეორებით ჩადენის რაოდენობის შემცირება და დამნაშავის დახმარება, მისი საზოგადოებაში ინტეგრაცია, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს დანაშაულის განმეორების ალბათობას.
- 10.2 თუკი არასაპატიმრო ღონისძიება ზედამხედველობას გულისხმობს, ის უნდა განხორციელდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ, კანონით განსაზღვრული სპეციალური პირობების შესაბამისად.
- 10.3 მოცემული არასაპატიმრო ღონისძიების ფარგლებში, უნდა მოიძებნოს თითოეული საქმისათვის შესაფერისი ზედამხედველობისა და მოპყრობის ფორმა, რომელიც მიმართული იქნება სამართალდამრღვევის დახმარებაზე, იმუშაოს საკუთარ გადაცდომაზე. პერიოდულად უნდა მოხდეს ზედამხედველობისა და მოპყრობის ფორმის გადახედვა და საჭიროებისამებრ შეცვლა.
- 10.4 სამართალდამრღვევებს, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაეწიოს ფსიქოლოგიური, სოციალური და მატერიალური დახმარება. ამასთან, უნდა მიეცეთ საშუალება, გაამყარონ კავშირი საზოგადოებასთან, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას.

11. ხანგრძლივობა

- 11.1 არასაპატიმრო ღონისძიების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ კანონის შესაბამისად განსაზღვრულ პერიოდს.

- 11.2 სამართალდამრღვევის მიერ ღონისძიების კარგად შესრულების შემთხვევაში, შესაძლებელია ღონისძიების ვადაზე ადრე დასრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

12. პირობები

- 12.1 თუკი კომპეტენტურმა ორგანომ უნდა განსაზღვროს სამართალდამრღვევის მიერ შესასრულებელი პირობები, მან უნდა გაითვალისწინოს როგორც საზოგადოების, ასევე სამართალდამრღვევისა და დაზარალებულის საჭიროებები და უფლებები.
- 12.2 შესასრულებელი პირობები უნდა იყოს პრაქტიკული, ზუსტი და რაც შეიძლება ცოტა. ისინი მიზნად უნდა ისახავდეს სამართალდამრღვევის დანაშაულებრივი ქცევის განმეორების აღბათობის შემცირებას, დამნაშავის სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობის გაზრდასა და დაზარალებულის საჭიროებების გათვალისწინებას.
- 12.3 არასაპატიმრო ღონისძიების გამოყენების დაწყებისას, სამართალდამრღვევს შეიძლება მისცენ ზეპირი და წერილობითი განმარტება ღონისძიებასთან დაკავშირებული პირობების შესახებ, სამართალდამრღვევის ვალდებულებებისა და უფლებების ჩათვლით.
- 12.4 კომპეტენტურმა ორგანომ დადგენილ პირობებში, შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით, შეიძლება შეიტანოს ცვლილება სამართალდამრღვევის მიერ მიღწეული პროგრესიდან გამომდინარე.

13. მოპყრობის პროცესი

- 13.1. მოცემული არასაპატიმრო ღონისძიების ფარგლებში, შესაბამისი საქმეებთან მიმართებით, სამართალდამრღვევთა საჭიროებების უფრო ეფექტურად და-

კმაყოფილების მიზნით, შემუშავებული უნდა იქნეს სპეციალური სქემები, როგორცაა კონკრეტულ საქმეზე მუშაობა, ჯგუფური თერაპია, საცხოვრებელი პროგრამები და სხვადასხვა კატეგორიის სამართალდამრღვევებთან მოპყრობის მექანიზმები.

- 13.2. მოპყრობის ღონისძიებები უნდა განახორციელონ შესაბამისად მომზადებულმა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროფესიონალებმა.
- 13.3. მას შემდეგ, რაც დადგინდება მოპყრობის ღონისძიების აუცილებლობა, შესაბამისი ძალისხმევა უნდა მოხმარდეს სამართალდამრღვევის წარსულის, ხასიათის, მიდრეკილებების, გონებრივი შესაძლებლობების, ღირებულებების და, განსაკუთრებით, დანაშაულის მაკომპრომეტირებელი პირობების შესწავლას.
- 13.4. კომპეტენტურმა ორგანომ არასაპატიმრო ღონისძიებათა განხორციელებაში შეიძლება ჩართოს საზოგადოებრივი და სოციალური მხარდაჭერის სისტემები.
- 13.5. საქმეებისა და დატვირთვის გადანაწილება უნდა მოხდეს პრაქტიკულად მართვის შესაძლებლობის გათვალისწინებით, შენარჩუნებული უნდა იქნეს მოპყრობის პროგრამების ეფექტური განხორციელება.
- 13.6. თითოეული სამართალდამრღვევის შესახებ კომპეტენტურმა ორგანომ უნდა შექმნას და აწარმოოს შესაბამისი საქმის ჩანაწერი.

14. დისციპლინა და პირობების დარღვევა

- 14.1 სამართალდამრღვევის მიერ დაწესებული პირობების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს არასაპატიმრო ღონისძიების პირობების შეცვლა ან გაუქმება.

- 14.2 არასაპატიმრო ღონისძიებათა პირობების შეცვლას ან გაუქმებას ახორციელებს კომპეტენტური ორგანო, ზედამხედველ ოფიცერსა და დამნაშავესთან ფაქტების ყურადღებით გადამოწმების საფუძველზე.
- 14.3 არასაპატიმრო ღონისძიების შეუსრულებლობა ავტომატურად პატიმრობის ღონისძიებით ჩანაცვლებას არ უნდა გულისხმობდეს.
- 14.4 არასაპატიმრო ღონისძიებათა პირობების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კომპეტენტური ორგანო შეეცდება მოძებნოს არასაპატიმრო ღონისძიების შესაფერისი ალტერნატიული ზომა. პატიმრობა გამოიყენება მხოლოდ სხვა შესაფერისი ალტერნატიული ღონისძიების არარსებობის შემთხვევაში.
- 14.5 არასაპატიმრო ღონისძიებათა პირობების დარღვევის შემთხვევაში, ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სამართალდამრღვევის დაკავების ან დაპატიმრების უფლებამოსილება უნდა განსაზღვროს კანონმა.
- 14.6 არასაპატიმრო ღონისძიებათა პირობების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, დამნაშავეს უნდა ჰქონდეს უფლება, გადანყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოსა ან სხვა კომპეტენტურ დამოუკიდებელ ორგანოში.

VI. თანამშრომლები

15. კადრების შერჩევა.

- 15.1 კადრების შერჩევას დაუშვებელია დისკრიმინაცია რასობრივი, კანის ფერის, სქესის, ასაკის, ენის, რელიგიური მსოფლმხედველობის, პოლიტიკური თუ სხვა მოსაზრებების, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი ნიშნით, დაბადების თუ სხვა სტატუსის საფუძველზე. კადრების შერჩევის პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ეროვნული

პოლიტიკის საკომპენსაციო ქმედებებს და ასახვადეს სამართალდამრღვევთა ფართო სპექტრს, რომლებზეც უნდა განხორციელდეს ზედამხედველობა.

- 15.2 პირები, რომლებსაც დაევალებათ არასაპატიმრო ღონისძიებათა განხორციელება, უნდა შეეფერებოდნენ მოცემულ თანამდებობას, გააჩნდეთ შესაფერისი პროფესიული კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება. პროფესიული მოთხოვნები ნათლად უნდა იყოს დაკონკრეტებული.
- 15.3 კვალიფიციური პროფესიონალი კადრების უზრუნველყოფისა და შენარჩუნების მიზნით, მათ უნდა მიენიჭთო შესაფერისი სამსახურებრივი სტატუსი, ანაზღაურება და შეღავათები უნდა იყოს სამუშაოს ხასიათის შესაფერისი და უნდა გააჩნდეთ პროფესიული ზრდისა და კარიერის განვითარების შესაძლებლობა.

16. თანამშრომელთა სწავლება

- 16.1 თანამშრომელთა სწავლება მიზნად უნდა ისახავდეს დამნაშავეს რეაბილიტაციის, მისი უფლებების დაცვისა და საზოგადოების დაცვის პროცესში მათი ვალდებულებების ნათლად განმარტებას. ამასთან, სწავლების მეშვეობით, მათ უნდა გააანალიზონ სხვა სააგენტოებთან თანამშრომლობისა და საქმიანობის კოორდინაციის საჭიროება.
- 16.2 სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დაწყებამდე, თანამშრომელმა უნდა გაიაროს სწავლება, რომელიც მოიცავს ინსტრუქციებს არასაპატიმრო ღონისძიებათა ხასიათის შესახებ, ზედამხედველობის მიზნებს და არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების სხვადასხვა მოდელს.
- 16.3 სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დაწყების შემდეგ, თანამშრომელმა მუდმივად უნდა გააუმჯობესოს საკუთარი ცოდნა და პროფესი-

ული შესაძლებლობები შიდა სამსახურებრივი ტრენინგებისა და სხვა კურსებზე დასწრების მეშვეობით. ამისათვის უნდა არსებობდეს შესაბამისი პირობები.

VII. მოხალისეები და სხვა საზოგადოებრივი რესურსები

17. საზოგადოების მონაწილეობა

- 17.1 საზოგადოების მონაწილეობის წახალისება მნიშვნელოვანია, რადგან ის არის ძირითადი რესურსი და ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არასაპატიმრო ღონისძიებებს დაქვემდებარებულ დამნაშავეებს, მათ ოჯახებსა და საზოგადოებას შორის კავშირების გამყარებაში. ის უნდა იყოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოების ძალისხმევის დამხმარე ნაწილი.
- 17.2 ჩართულობა საზოგადოების წევრების მიერ აღქმული უნდა იყოს, როგორც საკუთარი საზოგადოების დაცვაში შეტანილი წვლილი.

18. საზოგადოებრივი აზრი და თანამშრომლობა

- 18.1 სამთავრობო ორგანოებმა, კერძო სექტორმა და ფართო საზოგადოებამ მხარი უნდა დაუჭიროს მოხალისე ორგანიზაციებს, რომლებიც არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების ხელშეწყობაზე მუშაობენ.
- 18.2 რეგულარულად უნდა ტარდებოდეს კონფერენციები, სემინარები, სიმპოზიუმები და სხვა ღონისძიებები არასაპატიმრო ღონისძიებათა განხორციელებაში საზოგადოების ჩართულობის საჭიროების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.

- 18.3 მასმედიის ყველა ფორმის გამოყენება უნდა ხდებოდეს, კონსტრუქციული საზოგადოებრივი დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად, რათა ამას მოჰყვეს საქმიანობები, რომლებიც ხელს შეუწყობს არასაპატიმრო ღონისძიებათა და დამნაშავეთა სოციალური ინტეგრაციის ფართოდ გამოყენებას.
- 18.4 მაქსიმალური ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული არასაპატიმრო ღონისძიებების მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისკენ.

19. მოხალისეები

- 19.1 მოხალისეთა შეფასება და შერჩევა უნდა განხორციელდეს დიდი სიფრთხილით, სამუშაოს მიმართ მათი დამოკიდებულებისა და ინტერესის საფუძველზე. მათ უნდა გაიარონ შესაფერისი ტრენინგი რათა შეძლონ კონკრეტული ვალდებულებების შესრულება, სამართალდამრღვევთათვის თანადგომის აღმოჩენა და რჩევის მიცემა, ასევე, მათ საშუალება უნდა ჰქონდეთ, კონსულტაცია მიიღონ კომპეტენტური ორგანოებისაგან.
- 19.2 მოხალისეებმა, რჩევების, მათი შესაძლებლობებისა და სამართალდამრღვევთა საჭიროებების გათვალისწინებით, სხვა შესაფერისი ფორმით დახმარების განვითარებით, უნდა შეუწყონ სამართალდამრღვევებს და მათ ოჯახებს, მჭიდრო კავშირი დაამყარონ საზოგადოებასთან.
- 19.3 საკუთარი მოვალეობების შესრულებისას, მოხალისეები დაზღვეული უნდა იყვნენ უბედური შემთხვევის, დაშავების და საზოგადოებრივი დანაკარგების პასუხისმგებლობისაგან. სამუშაო პროცესში ნებადართული დანახარჯები უნდა აუნაზღაურდეთ. უნდა გაიზარდოს საზოგადოებრივი ცნობიერება იმ მომსახურების შესახებ, რომლებსაც ისინი საზოგადოების კეთილდღეობისათვის ახორციელებენ.

VIII. კვლევა, დაგეგმვა, პოლიტიკის ფორმულირება და შეფასება

20. კვლევა და დაგეგმვა

- 20.1 დაგეგმვის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია არასაპატიმრო ღონისძიებათა კვლევის ორგანიზებასა და ხელშეწყობაში საზოგადოებისა და კერძო ორგანიზაციების ჩართვა.
- 20.2 რეგულარულად უნდა ჩატარდეს კვლევები კლიენტთა, პრაქტიკოსთა, საზოგადოებისა და პოლიტიკის შემმუშავებელთა წინაშე მდგარი პრობლემების გამოსავლენად.
- 20.3 სისხლის სამართლის სისტემაში უნდა შეიქმნას კვლევისა და ინფორმაციის მექანიზმები, რათა განხორციელდეს დამნაშავეთა წინააღმდეგ არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების შესახებ მონაცემებისა და სტატისტიკის შეგროვება და ანალიზი.

21. პოლიტიკის ფორმულირება და პროგრამის შემუშავება

- 21.1 ეროვნული განვითარების პროცესში სისტემატურად უნდა მოხდეს არასაპატიმრო ღონისძიებათა პროგრამების, როგორც სისხლის სამართლის სისტემის ინტეგრალური ნაწილის, დაგეგმვა და განხორციელება.
- 21.2 არასაპატიმრო ღონისძიებათა უფრო ეფექტურად გამოყენების მიზნით, უნდა განხორციელდეს რეგულარული შეფასებები.
- 21.3 არასაპატიმრო ღონისძიებათა მიზნების, ფუნქციონირებისა და ეფექტურობის შესაფასებლად, უნდა განხორციელდეს პერიოდული მიმოხილვები.

22. კავშირები შესაბამის უწყებებსა და საქმიანობასთან

22.1 სხვადასხვა დონეზე უნდა მოხდეს შესაფერისი მექანიზმების განვითარება, რომლებიც ხელს შეუწყობს კავშირების დამყარებას არასაპატიმრო ღონისძიებებზე პასუხისმგებელ სამსახურებს, სისხლის სამართლის სისტემის სხვა ორგანოებს, სოციალური განვითარებისა და დაცვის ორგანოებს, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანოებს შორის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ჯანდაცვა, განსახლება, განათლება, შრომა და მასმედია.

23. საერთაშორისო თანამშრომლობა

23.1 უნდა განხორციელდეს ქვეყნებს შორის, არაინსტიტუციური მოპყრობის შესახებ სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობა. უნდა გაძლიერდეს არასაპატიმრო ღონისძიებათა შესახებ კვლევების, ტრენინგის, ტექნიკური დახმარებისა და წევრ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობა გაეროს ინსტიტუტების მეშვეობით, რომლებიც დანაშაულის პრევენციასა და დამნაშავეთა მოპყრობის საკითხებზე მუშაობენ. კერძოდ, მჭიდრო თანამშრომლობა უნდა ჩამოყალიბდეს გაეროს სამდივნოს, დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლის სფეროს სოციალური განვითარებისა და ჰუმანიტარულ საკითხთა ცენტრთან.

23.2 უნდა გაფართოვდეს შედარებითი კვლევები და საკანონმდებლო პირობების ჰარმონიზაცია არასაპატიმრო ღონისძიებათა არჩევანის გასაზრდელად. ამასთან უნდა მოხდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით მათი გამოყენების ხელშეწყობა „პირობით მსჯავრდებულთა ან პირობით გათავისუფლებულთა ზედამხედველობის გადაცემის შესახებ სამოდელო ხელშეკრულების“ შესაბამისად.

**ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის
რეკომენდაცია CM/Rec (2010)1 ნაპრი
სახელმწიფოებრივი ევროსაბჭოს პრობაციის
წესების შესახებ¹**

*(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 20
იანვარს მინისტრთა მოადგილეების 1075-ე სხდომაზე)*

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების მე-15 ბ. მუხლის შესაბამისად,

მხედველობაში იღებს რა ევროპის საბჭოს მიზნებს, მი-
აღწიოს წევრ ქვეყნებს შორის მეტ ერთიანობას, განსა-
კუთრებით, საერთო ინტერესების სფეროში კანონმდე-
ბლობის ჰარმონიზაციის გზით;

ითვალისწინებს რა, რომ პრობაციის მიზანია, წვლილი
შეიტანოს სამართლიანი სისხლის სამართლის მართლმსა-
ჯულების პროცესში და, აგრეთვე, საზოგადოებრივი მარ-
თლწესრიგის უზრუნველყოფაში დანაშაულის განმეორები-
თი ჩადენის პრევენციის და შემცირების გზით;

ითვალისწინებს რა, რომ პრობაციის ორგანოები მართლმ-
საჯულების ძირითად სტრუქტურებს შორის არსებობს და
რომ მათი მუშაობა გავლენას ახდენს პატიმართა რაოდენო-
ბის შემცირებაზე;

მხედველობაში იღებს რა:

- ევროპის საბჭოს მმართველობისა და სახელმწიფოთა
მეთაურების მიერ მესამე სამიტზე (16-17 მაისი, 2005
წელი) მიღებულ დეკლარაციასა და სამოქმედო გეგ-
მას, განსაკუთრებით კი დებულებებს, რომელიც ეხება
მოქალაქეთა უსაფრთხოებას;
- ევროპის სახელმწიფოების იუსტიციის მინისტრთა-
ლის მიერ 26-ე კონფერენციაზე მიღებულ №. 2 რეზო-
ლუციას (პარაგრაფი 19) - (ჰელსინკი, 7-8 აპრილი,
2005 წ.);

¹ დოკუმენტის ქართული თარგმანი შესრულებულია ორგანიზაციის „ციხის
საერთაშორისო რეფორმა“ (PRI) მიერ

ითვალისწინებს რა:

- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას (ETS №. 5);
- ევროპულ კონვენციას პირობით მსჯავრდებულები-სა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულების ზედამხედველობის შესახებ (ETS №. 51);
- ევროპულ კონვენციას სისხლის სამართლის განაჩენ-თა საერთაშორისო ძალის შესახებ (ETS №. 70);
- რეკომენდაციას №. R (92) 16, ევროპული წესები საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების შესახებ;
- რეკომენდაციას №. R (97) 12 იმ თანამშრომელთა შეს-ახებ, რომლებიც მონაწილეობენ სასჯელთა და სხვა ღონისძიებათა აღსრულებაში;
- რეკომენდაციას №. R (99) 19 სისხლის სამართლის საკითხებზე მედიაციის შესახებ;
- რეკომენდაციას №. R (99) 22 ციხეთა გადატვირთუ-ლობისა და ციხის კონტინგენტის შემცირების შეს-ახებ;
- რეკომენდაციას Rec (2000)22 საზოგადოებრივი სან-ქციებისა და ღონისძიებების შესახებ ევროპული წე-სების აღსრულების გაუმჯობესების თაობაზე;
- რეკომენდაციას Rec (2003)22 პირობით ვადამდე გათა-ვისუფლების შესახებ;
- რეკომენდაციას Rec (2003)23 ციხის ადმინისტრა-ციის მიერ გრძელვადიანი და უვადო თავისუფლე-ბააღკვეთილ პირთა მართვის შესახებ;
- რეკომენდაციას Rec (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ;
- რეკომენდაციას Rec (2006)8 დანაშაულის მსხვერ-პლთა დახმარების შესახებ; და
- რეკომენდაციას Rec (2006)13 წინასწარი პატიმრობის გამოყენებისა და მისი პირობების შესახებ, აგრეთვე, ცუდად მოპყრობისაგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ;

აგრეთვე, მხედველობაში იღებს რა:

- გაერთიანებული ერების „მინიმალურ სტანდარტულ წესებს“ არასაპატიმრო სასჯელების შესახებ („ტოკიოს წესები“),

რეკომენდაციას აძლევს ნევრ სახელმწიფოებს:

- იხელმძღვანელონ იმ წესებით, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტსა და დანართებში თავიანთ კანონმდებლობაზე, პოლიტიკასა და პრაქტიკაში მუშაობისას;
- უზრუნველყონ, რომ ეს რეკომენდაციები და თანდართული კომენტარები თარგმნილი და გავრცელებული იქნეს რაც შეიძლება ფართოდ, განსაკუთრებით სასამართლო ხელისუფლებაში, პრობაციის ორგანოებსა და სასჯელალსრულების დაწესებულებებში, აგრეთვე მედიასა და, ზოგადად, საზოგადოებაში.

რეკომენდაცია CM/Rec (2010)1-ის დანართი I

ნაწილი I: მოქმედების და გამოყენების სფერო, განსაზღვრებები და ძირითადი პრინციპები

მოქმედებისა და გამოყენების სფერო

ეს წესები განსაზღვრავს პრობაციის ორგანოების ჩამოყალიბებასა და ჯეროვან ფუნქციონირებას. ეს წესები აგრეთვე ეხება იმ სხვა ორგანიზაციებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კომერციულ პირებს, რომლებიც ახორციელებენ ამ წესებით რეგულირებულ საქმიანობას.

წინამდებარე წესები არ შეიძლება განიმარტოს, თითქოს იგი გამორიცხავს სხვა ნებისმიერი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტის და სტანდარტების გამოყენებას, რომლებიც უფრო მეტად ხელშემწყობია მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო მუშაობის წარმართვისთვის.

წინამდებარე წესები წაკითხულ უნდა იქნეს „საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების შესახებ ევროპულ

წესებთან” (რეკომენდაცია №R(92)16) ერთობლიობაში.

აგრეთვე, ეს წესები წარმოადგენს დამატებას: №R(97)12 რეკომენდაციის დებულებებზე იმ თანამშრომელთა შესახებ, რომლებიც ახორციელებენ სასჯელებისა და სხვა ღონისძიებების აღსრულებას, სისხლის სამართლის საქმეებში მედიაციის შესახებ №R(99)19 რეკომენდაციაზე, საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების შესახებ ევროპული წესების აღსრულების გაუმჯობესების თაობაზე Rec(2000)22 რეკომენდაციაზე, პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ Rec(2003)22 რეკომენდაციაზე, ციხის ადმინისტრაციის მიერ გრძელვადიანი და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა მართვის შესახებ Rec(2003)23 რეკომენდაციაზე, ციხის ევროპული წესების შესახებ Rec(2006)2 რეკომენდაციაზე, 8 დანაშაულის მსხვერპლთა დახმარების შესახებ Rec(2006) რეკომენდაციასა და წინასწარი პატიმრობის გამოყენებისა და მისი პირობების შესახებ, აგრეთვე, ცუდად მოპყრობისაგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ Rec(2006)13 რეკომენდაციაზე;

განმარტებები

პრობაცია - დაკავშირებულია საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე სასჯელებისა და ღონისძიებების აღსრულებასთან, რომელიც მსჯავრდებულისათვის კანონით არის განსაზღვრული და შეფარდებული. ეს მოიცავს სხვადასხვა ღონისძიებას და ინტერვენციას, რომლებიც დაკავშირებულია სამართალდამრღვევთა სოციალური ჩართულობისა და, აგრეთვე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებულ ზედამხედველობასთან, ხელმძღვანელობასა და დახმარების აღმოჩენასთან.

პრობაციის ორგანო - ნიშნავს ნებისმიერ ორგანოს, რომელსაც კანონმდებლობით ევალება ზემოთ მითითებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულება. იმის მიხედვით, თუ როგორია ეროვნული სისტემა, პრობაციის ორგანოების მუშაობა შეიძლება ასევე მოიცავდეს

ინფორმაციისა და რჩევების მიწოდებას სასამართლო და სხვა გადაწყვეტილების მიმღები ორგანოებისათვის, რათა დაეხმაროს მათ ინფორმირებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში; დახმარებისა და კონსულტაციის განევას მსჯავრდებულებისათვის სასჯელალსრულების დაწესებულებებში ყოფნისას, რათა მოამზადონ ისინი გათავისუფლებისა და საზოგადოებაში დაბრუნებისათვის; მეთვალყურეობა და დახმარება გაუწიონ ვადაზე ადრე გათავისუფლებულ პირებს; განახორციელონ აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები და აღმოუჩინონ დახმარება დანაშაულის შედეგად დაზარალებულებს.

საზოგადოებრივი სანქციები და ღონისძიებები - გულისხმობს სანქციებსა და ღონისძიებებს, რომელთა აღსრულება ხდება საზოგადოებისაგან მსჯავრდებულთა იზოლაციის გარეშე და გულისხმობს გარკვეულ შეზღუდვებს, მათთვის თავისუფლებაზე ყოფნისას გარკვეული პირობებისა და ვალდებულებების დაკისრებით. ეს განსაზღვრება აგრეთვე გულისხმობს ნებისმიერ სასჯელს, რომელიც შეფარდებულია სასამართლო ან ადმინისტრაციული ხელისუფლების მიერ და ნებისმიერ ღონისძიებას, რომელიც განხორციელებულია სასამართლომდე ან სასჯელის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების სანაცვლოდ, აგრეთვე, იმ საშუალებებს, რომლებიც მიმართულია საპატიმრო სასჯელის აღსრულებისაქენ სასჯელალსრულების დაწესებულების გარეთ.

გათავისუფლების შემდგომი თანადგომა - ნიშნავს მსჯავრდებულთა რეინტეგრაციის პროცესს ნებაყოფლობით სანყისებზე და საბოლოოდ გათავისუფლების შემდგომ საზოგადოებაში დაბრუნებას კონსტრუქციული, დაგეგმილი და კონტროლირებადი სახით. წინამდებარე წესებში ეს ტერმინი განსხვავდება ტერმინისაგან მსჯავრდებულთა გათავისუფლების შემდგომ „ხელახლა დამკვიდრება“, რაც გულისხმობს სასჯელისაგან გათავისუფლების შემდეგ კანონით დადგენილ ჩართულობას.

ძირითადი პრინციპები

1. პრობაციის ორგანოები მიზნად უნდა ისახავდნენ განმეორებითი დანაშაულის შემცირებას პრობაციონერებთან დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბების გზით, რათა ამით, თავის მხრივ, მათ ზედამხედველობა გაუწიონ (საჭიროებისამებრ, კონტროლი), დაეხმარონ და ხელი შეუწყონ წარმატებულ სოციალურ ინტეგრაციაში. ამგვარად, პრობაციას წვლილი შეაქვს საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და მართლმსაჯულების სამართლიან ადმინისტრირებაში.
2. პრობაციის ორგანოებმა პატივი უნდა სცენ პრობაციონერის უფლებებს. მათი მხრიდან ნებისმიერი სახის ჩარევა მიმართული უნდა იყოს მსჯავრდებულთა ღირსების, ჯანმრთელობის დაცვის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისაკენ.
3. ყველა იმ საქმის წარმოებისას, რომელიც უკავშირდება დაზარალებულს, პრობაციის ორგანოებმა პატივი უნდა სცენ მის უფლებებსა და საჭიროებებს.
4. პრობაციის ორგანოებმა სრულად უნდა მიიღონ მხედველობაში მსჯავრდებულთა ინდივიდუალური მახასიათებლები, გარემოებები და საჭიროებები, რათა უზრუნველყონ თითოეული პრობაციონერის საქმის სამართლიანად და კანონის დაცვით აღსრულება. პრობაციის ორგანოების მსჯავრდებულებთან მუშაობა (ინტერვენციები) უნდა განხორციელდეს ნებისმიერი საფუძვლით დისკრიმინაციის გარეშე, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული და სოციალური წარმომავლობის, ეთნიკური უმცირესობისადმი მიკუთვნების, საკუთრების, დაბადებისა ან სხვა ნებისმიერი სტატუსის მიუხედავად.
5. არც ერთი სასჯელის აღსრულების დროს პრობაციის ორგანოებმა არ უნდა დააკისრონ პრობაციონერს იმაზე მეტი და მძიმე ვალდებულების შესრულება ან

უფლებრივი შეზღუდვები, ვიდრე ეს განსაზღვრულია სასამართლოს ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს გადანყვეტილებით, რომელსაც თითოეული ინდივიდუალური საქმე მოითხოვს დანაშაულის სიმძიმისა ან განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის შეფასებიდან გამომდინარე.

6. რამდენადაც ეს შესაძლებელია, პრობაციის ორგანოებმა უნდა მოიპოვონ პრობაციონერის ინფორმირებული თანხმობა და თანამშრომლობა იმ ინტერვენციასთან (ჩარევასთან) დაკავშირებით, რომელიც მათზე გარკვეულ გავლენას ახდენს.
7. ნებისმიერი ინტერვენცია, რომელიც განხორციელდა სასამართლოს მიერ დამნაშავედ საბოლოოდ ცნობამდე, დაფუძნებული უნდა იყოს ბრალდებულის ინფორმირებულ თანხმობაზე, მისი უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვით.
8. პრობაციის ორგანოების არსებობა, მათი ამოცანები და ვალდებულებები, აგრეთვე, მათი ურთიერთობები საჯარო ხელისუფლების ორგანოებთან და სხვა პირებთან უნდა განისაზღვროს კანონით.
9. პრობაცია უნდა იყოს საჯარო სამსახურის ვალდებულების სფერო მაშინაც კი, როდესაც უშუალო სერვისებს განახორციელებენ სხვა ორგანოები და მოხალისეები.
10. პრობაციის ორგანოები აღჭურვილი უნდა იყვნენ სათანადო უფლებამოსილებით და უნდა გააჩნდეთ შესაბამისი აღიარება და ადეკვატური რესურსები.
11. გადანყვეტილების მიმღებმა ხელისუფლების ორგანოებმა საჭიროებისამებრ უნდა გამოიყენონ პრობაციის ორგანოების პროფესიული კონსულტაციები და საქმიანობა, რათა შეამცირონ განმეორებითი დანაშაულის ჩადენა და ხელი შეუწყონ თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივების გამოყენებას.
12. პრობაციის ორგანოებმა უნდა ითანამშრომლონ სხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ

მოსახლეობასთან, რათა ხელი შეუწყონ მსჯავრდებულთა სოციალურ ინტეგრაციას. კოორდინირებული უწყებათაშორისი და მულტიდისციპლინარული მუშაობა აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მსჯავრდებულთა კომპლექსური საჭიროებების დაკმაყოფილება და გაძლიერდეს საზოგადოებრივი უსაფრთხოება.

13. პრობაციის ორგანოებმა ყველა მოქმედება და ინტერვენცია უნდა განახორციელონ უმაღლესი ეროვნული და საერთაშორისო ეთიკური და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.
14. უნდა არსებობდეს პრობაციის ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებით გასაჩივრების ხელმისაწვდომი, მიუკერძოებელი და ეფექტური პროცედურები.
15. პრობაციის ორგანოების საქმიანობა უნდა ექვემდებარებოდეს სახელმწიფოს მხრიდან რეგულარულ შემოწმებას (ინსპექტირებას) და/ან დამოუკიდებელ მონიტორინგს.
16. შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა გააძლიერონ პრობაციის ეფექტურობა კვლევების წახალისებით, რაც, თავის მხრივ, გამოყენებული იქნება პრობაციის პოლიტიკისა და პრაქტიკის სწორად წარმართვისთვის.
17. უფლებამოსილმა ხელისუფლების და პრობაციის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მედიის და ზოგადად საზოგადოების ინფორმირება პრობაციის ორგანოების მუშაობის შესახებ, რათა ნაახალისონ საზოგადოებაში პრობაციის როლისა და ღირებულების სწორი აღქმა.

ნაწილი II: ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალი

ორგანიზაციული მოწყობა

18. პრობაციის ორგანოების სტრუქტურა, სტატუსი და რესურსები უნდა შეესაბამებოდეს მათზე დაკისრებ-

ული ამოცანებისა და ვალდებულებების მოცულობას და ასახავდეს იმ საჯარო ფუნქციის მნიშვნელობას, რომელსაც ახორციელებენ.

19. იმის მიუხედავად, პრობაციის სერვისის განხორციელება ხდება საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების მიერ, ორგანოებმა უნდა იმუშაონ უფლებამოსილი ხელისუფლების მიერ შემუშავებული ინსტრუქციებისა და წესების შესაბამისად.
20. ნებისმიერი კერძო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სერვისებს პრობაციონერებისათვის, დამტკიცებულ უნდა იქნეს უფლებამოსილი ხელისუფლების მიერ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

პერსონალი

21. პრობაციის ორგანოებმა უნდა იმოქმედონ ისე, რომ დაიმსახურონ მათი პერსონალის მუშაობისა და სტატუსის მიმართ მართლმსაჯულების სხვა ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების პატივისცემა. უფლებამოსილი ხელისუფლების ორგანოები უნდა შეეცადნენ, ხელი შეუწყონ ამ მიზნის წარმატებით განხორციელებას შესაბამისი რესურსების უზრუნველყოფით, პერსონალის შერჩევით და აყვანით, პერსონალის ადეკვატური ანაზღაურებითა და კარგი მართვით.
22. პერსონალი უნდა შეირჩეს წინასწარ დამტკიცებულ კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც აქცენტირებული იქნება კეთილსინდისიერებაზე, ჰუმანურობაზე, პროფესიონალიზმსა და პერსონალურ შესაბამისობაზე იმ კომპლექსური სამუშაოსადმი, რისი შესრულებისთვისაც არიან შერჩეული.
23. ყველა თანამშრომელს ხელი უნდა მიუწვდებოდეს მისი ფუნქციებისა და პროფესიული მოვალეობების დონის შესაბამის განათლებასა და ტრენინგებზე.

24. საბაზისო ტრენინგი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყველა თანამშრომლისათვის, რაც მიზნად უნდა ისახავდეს საჭირო უნარ-ჩვევების, ცოდნისა და ღირებულებების ჩანერგვას. პერსონალი უნდა შეფასდეს აღიარებული წესით და მიენიჭოს კვალიფიკაცია, რომელიც ასახავს მათ კომპეტენციას.
25. თავიანთი კარიერის განმავლობაში პრობაციის თანამშრომლებმა უნდა შეინარჩუნოს და გაიუმჯობესოს ცოდნა და პროფესიული შესაძლებლობები რეგულარული სწავლებისა და სხვა განვითარების საშუალებებით.
26. პრობაციის პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგები და მიეცეს შესაძლებლობა, გამოიყენონ დისკრეციული უფლებამოსილება კანონის ფარგლებში, ეთიკის, ორგანიზაციული პოლიტიკის, განახლებული მეთოდოლოგიური სტანდარტებისა და ქცევის კოდექსის გათვალისწინებით.
27. პერსონალს, რომელიც მუშაობს, ან უნდა იმუშაოს იმ პრობაციონერებთან, რომელთაც ჩადენილი აქვთ სპეციფიკური დანაშაული, უნდა ჩაუტარდეს სათანადო სპეციალიზებული ტრენინგები.
28. ტრენინგებზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ პრობაციონერებსა და, საჭიროებისამებრ, იმ დაზარალებულებზე, რომელთაც გააჩნიათ გამოკვეთილი საჭიროებები ან შეიძლება იყვნენ განსაკუთრებით დაუცველნი.
29. პრობაციის ორგანოებს უნდა ჰყავდეთ საკმარისი რაოდენობის პერსონალი, რათა ეფექტურად განახორციელონ თავიანთი საქმიანობა. პერსონალის თითოეულ წევრს უნდა ჰქონდეს საქმეთა ის რაოდენობა, რაც მათ საშუალებას მისცემს, ეფექტურად და ჰუმანურად გაუწიონ ზედამხედველობა და დახმარება პრობაციონერებს, ხოლო სადაც საჭიროა, იმუშაონ მათი ოჯახის წევრებთან და დაზარალებულებთან. თუ არსებობს საქმეების დიდი რაოდენობა, ხელმძღვან-

ელობა ვალდებულია, ეძიოს პრობლემის მოგვარების გზები და ინსტრუქციები მისცეს პერსონალს იმის თაობაზე, თუ რომელი ამოცანებია პრიორიტეტული.

30. ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს პრობაციის სამუშაოს ხარისხი, ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის განწესება და პერსონალის მოტივაციის გზით. პერსონალი ანგარიშვალდებული უნდა იყოს იმ სამუშაოზე, რომელსაც ისინი ახორციელებენ.
31. ადმინისტრაცია უნდა ეცადოს, რომ განავითაროს და შეინარჩუნოს ჯანსაღი სამუშაო ურთიერთობები და კარგი კონტაქტი სხვა სააგენტოებსა და პარტნიორებთან, მოხალისეებთან, საჯარო დაწესებულებებთან, მედიასა და ფართო საზოგადოებასთან.
32. უნდა არსებობდეს შესაბამისი სისტემა ადმინისტრაციისათვის, რათა მათ კონსულტაციები აწარმოონ პერსონალთან ზოგად საკითხებზე მათ პროფესიულ პრაქტიკასა და სამუშაო პირობებთან დაკავშირებით.
33. პერსონალის ანაზღაურება, შეღავათები და სამუშაო პირობები უნდა იყოს მათი პროფესიონალიზმის შესაბამისი და სამუშაოს ხასიათის ადეკვატური, რათა მიიზიდონ და შეინარჩუნონ შესაბამისი პერსონალი.
34. მოხალისეები შესაძლებელია ჩართული იყვნენ პრობაციის მუშაობის გარკვეულ ასპექტებში. ისინი უნდა იყვნენ სათანადოდ შერჩეულნი, რესურსებით უზრუნველყოფილნი და გაეწიოთ დახმარება.

ნაწილი III: ანგარიშვალდებულება და სხვა უწყებებთან ურთიერთობა

35. პრობაციის ორგანოებს, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა ჰქონდეთ კონტაქტი და მიაწოდონ ინფორმაცია სასამართლო ხელისუფლებას და, საჭიროებისამებრ, სხვა კომპეტენტურ ორგანოებს. როგორც წესი, ეს მოიცავს ინფორმაციას თავისუფლების აღკვეთის შესაძლო შედეგების და არასა-

- პატიმრო სასჯელების ან სხვა ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ ზოგად და კონკრეტულ საქმეებში. როდესაც საჭიროა ინდივიდუალური ანგარიშების წარდგენა, მიწოდებული ინფორმაცია ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული.
36. პრობაციის ორგანოებმა სათანადოდ უფლებამოსილ ხელისუფლების ორგანოებს რეგულარულად უნდა მიანოდონ ზოგადი ანგარიშები და ინფორმაცია მათი მუშაობის შესახებ.
 37. პრობაციის ორგანოებმა უნდა იმუშაონ მართლმსაჯულების სხვა ორგანოებთან, დამხმარე ორგანიზაციებსა და ფართო სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, რათა ეფექტურად შეასრულონ დაკისრებული ამოცანები და მოვალეობები.
 38. პრობაციის ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ და დახმარება გაუწიონ დამხმარე ორგანიზაციებს მათი ჩვეული ვალდებულებების შესრულებაში, რათა მათ მსჯავრდებულთა, როგორც საზოგადოების წევრთა, საჭიროებებს უპასუხონ.
 39. იმის მიუხედავად პრობაციის ორგანოები და ციხის სისტემა წარმოადგენს თუ არა ერთიან სამსახურს, ამ ორგანოებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ, რათა ხელი შეუწყონ მსჯავრდებულის წარმატებულ გადასვლას ციხეში ცხოვრებიდან საზოგადოებაში ცხოვრებაზე.
 40. სადაც მიზანშეწონილია, უწყებათაშორისი შეთანხმება უნდა იყოს გაფორმებული სათანადო პარტნიორებთან, სადაც განსაზღვრული იქნება თანამშრომლობის პირობები და დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობები, როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ საქმეებში.
 41. ინფორმაციის კონფიდენციალურობის, დაცულობის და გაცვლის პირობებთან დაკავშირებით, ოფიციალური და ნათელი წესები უნდა განისაზღვრებოდეს ეროვნული კანონმდებლობით და ყოველ კონკრეტულ

შემთხვევაში უნდა იყოს კონკრეტულად მითითებული, როდესაც მსგავსი პარტნიორობა მყარდება.

ნაწილი VI: პრობაცია

სასჯელის შეფარდებამდე მომზადებული ანგარიშები

42. იმის მიხედვით, თუ რამდენად იძლევა ამის შესაძლებლობას ეროვნული სამართლებრივი სისტემა, პრობაციის ორგანოებს შეუძლიათ მოამზადონ ანგარიში ცალკეული ბრალდებული პირის შესახებ, რათა, საჭიროებისამებრ, დაეხმარონ სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს გადაწყვეტილების მიღებაში სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების ან შესაბამისი სასჯელის ან სხვა ღონისძიების შეფარდების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, პრობაციის ორგანოები რეგულარულად უნდა უკავშირდებოდნენ სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს იმ გარემოებების თაობაზე, სადაც ასეთი ანგარიში შესაძლოა საჭირო იყოს.
43. სასჯელის შეფარდებამდე მომზადებული ანგარიში უნდა იყოს დაფუძნებული პირველ წყაროზე და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, გადამოწმებული და განახლებული იქნეს სასამართლო პროცესის მსვლელობისას.
44. განსასჯელებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, ჩართული იყვნენ ანგარიშის შედგენაში და მათი მოსაზრება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აისახოს ანგარიშში. აგრეთვე, ანგარიშის შინაარსი უნდა გაეცნოს მათ და/ან მათ სამართლებრივ წარმომადგენელს.

სხვა საკონსულტაციო ანგარიშები

45. ეროვნული სამართლებრივი სისტემის შესაბამისად, პრობაციის ორგანოებს შეუძლიათ შეიმუშაონ ანგარიში, რომელიც საჭიროა სათანადოდ უფლებამოსილი

ხელისუფლების ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს რეკომენდაციას:

- ა. მსჯავრდებულის გათავისუფლების შესაძლებლობის შესახებ;
- ბ. რაიმე სპეციალურ პირობებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას;
- გ. რაიმე სახის ინტერვენციას, რომელიც აუცილებელია მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მოსამზადებლად.

46. სამართალდამრღვევებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, როცა ეს მიზანშეწონილია, მონაწილეობა მიიღონ ანგარიშის მომზადებაში და მათი მოსაზრებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იქნეს ანგარიშში. აღნიშნული დოკუმენტის შინაარსი უნდა გაეცნოს სამართალდამრღვევს და/ან მის სამართლებრივ წარმომადგენელს.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა

47. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არის საზოგადოებრივი სასჯელის სახე ან ღონისძიება, რომელიც გულისხმობს პრობაციის ორგანოს მიერ საზოგადოების სასარგებლოდ უსასყიდლო შრომის აღსრულების ორგანიზებას და მასზე ზედამხედველობას, სამართალდამრღვევის მიერ მიყენებული ზიანის რეალური ან სიმბოლური ანაზღაურების სახით. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას არ უნდა ჰქონდეს დამამცირებელი (მასტიგმატიზირებელი) ხასიათი და პრობაციის ორგანოები უნდა შეეცადნენ ისეთი სამუშაოს მოძიებას, რომელიც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის უნარ-ჩვევების განვითარებას და მის სოციალურ ჩართულობას.

48. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ შეიძლება განხორციელდეს პრობაციის ორგანოების ან მათი

პერსონალისათვის მოგების ან რაიმე კომერციული სარგებლის მისაღებად.

49. შესაფერისი სამუშაოს მოძიებისას პრობაციის ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ საზოგადოებისა და, აგრეთვე, სამუშაოს პირდაპირი მოსარგებლეების (ბენეფიციარების) უსაფრთხოება.
50. ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების ზომები სათანადოდ უნდა იცავდეს სამართალდამრღვევებს მათ მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულებისას. ასეთი ზომები არ უნდა იყოს იმაზე ნაკლები, ვიდრე ჩვეულებრივი მუშაკებისთვის დადგენილი სტანდარტები.
51. პრობაციის ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის პროგრამები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა სახის დავალებებს მსჯავრდებულთა უნარებისა და საჭიროებების შესაბამისად. განსაკუთრებით, უნდა არსებობდეს შესაბამისი სამუშაო მსჯავრდებული ქალებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ახალგაზრდა და მოხუცი მსჯავრდებულებისათვის.
52. მსჯავრდებულებს უნდა ჰკითხონ, თუ რა სახის სამუშაოების შესრულება შეუძლიათ.

ზედამხედველობის ზომები

53. ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, პრობაციის ორგანოებს შეუძლიათ, ზედამხედველობა განახორციელონ სასამართლო პროცესამდე, პროცესის დროს და შემდეგ, სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე განსასჯელის პირობით გათავისუფლებისას, გირაოს, პირობითი მსჯავრის, სასჯელის გადავადებისა ან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას.
54. იმისათვის, რომ ზედამხედველობა სრულად იქნეს განხორციელებული, პრობაციის სამსახურებმა მხედ-

ველობაში უნდა მიიღონ ინდივიდუალური სამართალ-დამრღვევის სხვადასხვა საჭიროება.

55. ზედამხედველობა არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც მხოლოდ კონტროლის ვალდებულება, არამედ იგი მოიცავს მსჯავრდებულისათვის რჩევების მიცემას, დახმარების აღმოჩენას და ნახალისებას. სადაც საჭიროა, ეს უნდა განხორციელდეს სხვა ინტერვენციებთან ერთობლიობაში, რომელიც შესაძლებელია მიწოდებულ იქნეს პრობაციის ან სხვა ორგანოების მიერ, როგორცაა ტრენინგები, უნარების განვითარება, დასაქმების შესაძლებლობა და რეაბილიტაცია.

მსჯავრდებულის ოჯახთან მუშაობა

56. საჭიროების შემთხვევაში, პრობაციის ორგანოებმა, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, თვითონ ან სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, დახმარება უნდა გაუწიონ მსჯავრდებულთა ოჯახებს და მიაწოდონ საჭირო რჩევა და ინფორმაცია.

ელექტრონული მონიტორინგი

57. როდესაც ელექტრონული მონიტორინგი გამოიყენება, როგორც პრობაციის ზედამხედველობის ღონისძიება, აუცილებელია, იგი შეთავსებულ იქნეს იმ საშუალებებთან, რომლებიც მიზნად ისახავს რეაბილიტაციასა და ახალი დანაშაულის პრევენციას.
58. ტექნიკური ზედამხედველობის დონე არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ეს საჭიროა ცალკეულ შემთხვევაში, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და საზოგადოების უსაფრთხოებისათვის შესაძლო რისკების გათვალისწინებით.

საზოგადოებაში ხელახლა დამკვიდრება (რეინტეგრაცია)

59. როდესაც პრობაციის ორგანოები პასუხისმგებელნი არიან მსჯავრდებულთა ზედამხედველობაზე მათი

გათავისუფლების შემდეგ, მათ უნდა იმუშაონ ციხის ადმინისტრაციასთან, მსჯავრდებულსა და მის ოჯახთან, აგრეთვე, საზოგადოებასთან, რათა ხელი შეუწყონ მსჯავრდებულთა დაბრუნებას და საზოგადოებაში ხელახლა დამკვიდრებას. მათ უნდა დაამყარონ კონტაქტები უფლებამოსილ სამსახურებთან ციხეებში, რათა დაეხმარონ მსჯავრდებულებს სოციალურ და სამსახურებრივ ინტეგრაციაში გათავისუფლების შემდეგ.

60. პრობაციის ორგანოებს უნდა ჰქონდეთ ყველა აუცილებელი ხელმისაწვდომობა მსჯავრდებულთან, რაც საშუალებას მისცემს, დაეხმარონ გათავისუფლებისათვის მომზადებასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესის დაგეგმვაში, რათა გარანტირებული იყოს უწყვეტი მზრუნველობა იმ კონსტრუქციულ მუშაობაზე დაყრდნობით, რაც დაინყო სასჯელაღსრულების დანესებულებაში.
61. ვადაზე ადრე გათავისუფლების შემდგომი ზედამხედველობის მიზანი უნდა იყოს მსჯავრდებულის საჭიროებების დაკმაყოფილება, როგორცაა სამსახურის მოძებნა, ბინათმონყოფა, განათლება, აგრეთვე, გათავისუფლების პირობების შესრულების უზრუნველყოფა, რათა შემციოდეს დანაშაულის ხელახლა ჩადენისა და სერიოზული ზიანის მიყენების რისკი.

გათავისუფლების შემდგომი თანადგომა

62. როგორც კი ვადაზე ადრე გათავისუფლების პირობები შესრულდება, პრობაციის ორგანოებმა შეიძლება განაგრძონ დახმარების განწევა იქ, სადაც ეს კანონით დასაშვებია; მოხალისეობრივ სანყისებზე შესთავაზონ გათავისუფლების შემდგომი სერვისები ყოფილ მსჯავრდებულებს, რათა დაეხმარონ მათ, განაგრძონ კანონმორჩილი ცხოვრება.

პრობაციის მუშაობა უცხოეთის მოქალაქე მსჯავრდებულებთან და იმ მოქალაქეებთან, რომლებიც უცხოეთში იქნენ გასამართლებული

63. პრობაციის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთი სერვისების ხელმისაწვდომობა უცხოელი მსჯავრდებულებისათვის, განსაკუთრებით მათი ზედამხედველობისა და რეინტეგრაციის კუთხით.
64. უცხოელი მსჯავრდებულები, მათ მიმართ კანონით დადგენილი პრობაციის სამუშაოს განხორციელებისას, ინფორმირებული უნდა იყვნენ თავიანთი უფლებების შესახებ. რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა გაგრძელდეს ან ჩამოყალიბდეს თანამშრომლობა უცხოელ მსჯავრდებულთა წარმომობის ქვეყნის პრობაციის სამსახურებთან, რათა კოორდინაცია გაეწიოს ზედამხედველობის სისტემას აღნიშნული პირის საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ.
65. პრობაციის ორგანოებმა, ეროვნული ხელისუფლების თანხმობით, მიზნად უნდა დაისახონ იმ მსჯავრდებულებთან კონტაქტის დამყარება და მათი დახმარება, რომლებიც სხვა ქვეყანაში იყვნენ გასამართლებული, აგრეთვე, წაახალისონ ისინი, გაუწიონ სათანადო დახმარება მათი დაბრუნების შემდგომ.

ნაწილი V

ზედამხედველობის პროცესი

შეფასება

66. ზედამხედველობის განხორციელებამდე და მის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, უნდა მოხდეს მსჯავრდებულთა შეფასება თითოეული საქმის სისტემატური და ძირეული შესწავლის საფუძველზე, რაც მოიცავს რისკის, პოზიტიური ფაქტორებისა და საჭიროებების განსაზღვრას, იმ ინტერვენციების დადგენას, რომელიც აუცილებელია ამ საჭიროებების

დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე, ამ ჩარევისადმი სამართალდამრღვევის პასუხისმგებლობის განსაზღვრას.

67. სადაც შესაძლებელია, მსჯავრდებულებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, აქტიური ნვლილი შეიტანონ ოფიციალურ შეფასებაში, რაც გულისხმობს ანგარიშის განწევას მსჯავრდებულის მოსაზრებისა და მისწრაფებებისადმი, აგრეთვე, მისი პიროვნების ძლიერი მხარეებისა და შემდგომი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების პასუხისმგებლობისადმი.
68. სამართალდამრღვევებს უნდა ეცნობოთ შეფასების პროცესისა და შედეგების შესახებ.
69. შეფასება განგრძობადი პროცესია და მისი სიზუსტე და შესაბამისობა პერიოდულად უნდა გადაისინჯოს.
70. შეფასება რეკომენდებულია:
 - ა. შესაფერისი სასჯელის ან სხვა ღონისძიების განსაზღვრისას, ან როდესაც განიხილება ფორმალური სისხლის სამართლის სისტემიდან პირის განრიდება;
 - ბ. ზედამხედველობის პერიოდის დასაწყისში;
 - გ. როდესაც რაიმე განსაკუთრებული ცვლილებები ხდება სამართალდამრღვევის ცხოვრებაში.;
 - დ. როდესაც განიხილება ზედამხედველობის დონის ან ხასიათის შეცვლა;
 - ე. ზედამხედველობის ღონისძიების დასრულებისას.
71. პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგები შეფასების ჩატარების შესახებ წინამდებარე წესების მიხედვით. იქ, სადაც ეროვნული სისტემები იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს, პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგები, რათა მათ ისწავლონ ამ ინსტრუმენტების პოტენციური ღირებულება და შეზღუდვები, გამოიყენონ იგი პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებისას.

დაგეგმვა

72. სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა მოამზადონ ყველა სასჯელისა და ღონისძიების აღსრულების სამუშაო გეგმა და ის უნდა ჩაიდოს კონკრეტული საქმის მასალებში. ეს გეგმა უნდა იყოს სახელმძღვანელო პრობაციის ორგანოებისათვის მუშაობის პროცესში. ის აგრეთვე უნდა დაეხმაროს პერსონალს და მსჯავრდებულს, შეაფასონ დასახული მიზნების მიღწევის პროგრესი.
73. სამუშაო გეგმა უნდა იყოს განხილული და შეძლების-დაგვარად შეთანხმებული მსჯავრდებულთან.
74. სამუშაო გეგმა უნდა დაეფუძნოს პირველად შეფასებას და მასში უნდა აისახოს ღონისძიებები, რომლებიც მომავალში იქნება განხორციელებული.
75. შეფასების გადახედვის შემდეგ სამუშაო გეგმაც შესა-ბამისად, საჭიროებისამებრ უნდა განახლდეს.

ინტერვენციული (ჩარევის) ღონისძიებები

76. ინტერვენცია მიზნად უნდა ისახავდეს რეაბილიტა-ციას და ახალი დანაშაულის აცილებას, შესაბამის-ად, უნდა იყოს კონსტრუქციული და შეფარდებული სასჯელის პროპორციული.
77. პრობაციის ორგანოებს უნდა ჰქონდეთ შესაძლე-ბლობა, გამოიყენონ სხვადასხვა მეთოდი, რომლებიც დაფუძნებული იქნება მულტიდისციპლინურ მიდგო-მასა და შესაბამისი კვლევების ჩატარებით მიღებულ საფუძვლიან ცოდნაზე.
78. მსჯავრდებულები წინასწარ სრულად უნდა იყვნენ ინფორმირებული ნებისმიერი შეთავაზებული ინტერ-ვენციის შესახებ. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათ-ვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მსჯავრდებულთა აქტიური მონაწილეობა ასეთ ღონისძიებებში.
79. ინტერვენციების განხორციელებისა და მიმართვის გაკეთებისას პრობაციის ორგანოები, საჭიროები-

სამებრ, მოუნოდებენ შესაბამის ორგანოებს დახმარებისათვის.

80. იმის მიუხედავად, თუ რამდენი პირი მუშაობს მსჯავრდებულთან, უნდა არსებობდეს ერთი პასუხისმგებელი თანამშრომელი, რომლის ამოცანა იქნება, შეაფასოს, შეიმუშაოს და კოორდინაცია გაუწიოს ზოგადსამუშაო გეგმას, უზრუნველყოს მსჯავრდებულთან შესაბამისი კონტაქტი და მის მიერ დაკისრებული პირობების შესრულება. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც მსჯავრდებულის მიმართ რამდენიმე ინტერვენციული ღონისძიება ხორციელდება ან ჩართულია ერთზე მეტი ორგანო.

შეფასება

81. ცალკეული მსჯავრდებულის პროგრესი უნდა შეფასდეს რეგულარული ინტერვალით და ეს პროცესი უნდა აისახოს სამუშაო გეგმაზე ზედამხედველობის დარჩენილი ვადის განმავლობაში. შეფასება უნდა წარმოადგენდეს საქმის ჩანაწერის ნაწილს და, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიმართ შემდგომ ანგარიშშიც აისახოს.
82. შეფასება უნდა ასახავდეს იმასაც, თუ რა სახის სამუშაოები იქნა გეგმით განსაზღვრული, როგორ შესრულდა და რა შედეგები იქნა მიღწეული. პრობაციის ორგანოებს უნდა შეეძლოთ, საჭიროებისამებრ, მიმართონ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს ზედამხედველობის შეცვლის ან შეწყვეტის მოთხოვნით.
83. მსჯავრდებულთა მოსაზრებები ზედამხედველობის მიზანშეწონილობის შესახებ ასახული უნდა იყოს შეფასებაში.
84. ზედამხედველობის პერიოდის დასრულებისას უნდა ჩატარდეს საბოლოო შეფასება. სამართალდამრღვევებს უნდა ეცნობოთ, რომ ეს შეფასება

დარჩება მათ პირად საქმეში და შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მომავალში.

აღსრულება და პირობების შესრულება

85. პრობაციის ორგანოებმა უნდა იმუშაონ იმისათვის, რომ უზრუნველყონ მსჯავრდებულთა მიერ ზედამხედველობისა და შეფარდებული პირობების აქტიური შესრულება. ამასთანავე, მსჯავრდებულთა მხრიდან თანამშრომლობის მიღწევისას პრობაციის სამსახურები არ უნდა ეყრდნობოდნენ მხოლოდ შესაძლო სანქციების გამოყენებაზე მითითებას, შეუსრულებლობის შემთხვევაში.
86. მსჯავრდებულებს უნდა განემარტოთ, თუ რა მოეთხოვებათ მათ, როგორია პრობაციის პერსონალის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები და როგორი იქნება პირობების შეუსრულებლობის შედეგები.
87. როდესაც მსჯავრდებულები არ ასრულებენ დადგენილ პირობებს, პრობაციის პერსონალმა უნდა მოახდინოს აქტიური და დაუყოვნებელი რეაგირება. რეაგირებისას აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული ყველა არსებული გარემოება, რომელიც თან ახლდა პირობების შეუსრულებლობას.

საქმისწარმოება, ინფორმაცია და კონფიდენციალურობა

88. პრობაციის ყველა ორგანომ უნდა აწარმოოს ოფიციალური, ზუსტი და განახლებული მონაცემები თავისი საქმიანობის შესახებ. ასეთი ჩანაწერები, როგორც წესი, მოიცავს პერსონალურ მონაცემებს კონკრეტული პირების შესახებ, მათი სასჯელის ან სხვა ზომის აღსრულებასთან დაკავშირებით, პრობაციის ორგანოსთან მათი კონტაქტისა და მათთან განუყოფელი მუშაობის შესახებ. აღნიშნულ ჩანაწერებში (პირად საქმეში) შენახული უნდა იყოს შეფასების, დაგეგმვის,

განეული მუშაობისა და საბოლოო შეფასების შესახებ მონაცემები.

89. პირადი საქმეები უნდა ექვემდებარებოდეს ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის პრინციპებს. აღნიშნულ დოკუმენტაციაში მოცული კონფიდენციალური ინფორმაციის გაზიარება შესაბამის უწყებებთან შეიძლება მოხდეს მხოლოდ მკაცრი პროცედურების დაცვით და ზუსტად განსაზღვრული მიზნების შესაბამისად.
90. პირადი საქმეები არის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი საშუალება. ისინი შემონახული უნდა იქნეს რეგულარულად ადმინისტრაციის მიერ და, საჭიროების შესაბამისად, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ოფიციალური ინსპექციისა და მონიტორინგისათვის.
91. პრობაციის ორგანოებს უნდა შეეძლოთ ანგარიშის ნარდგენა სასამართლოსა და სხვა უფლებამოსილი ორგანოებისათვის შესრულებული სამუშაოს, მსჯავრდებულთა პროგრესისა და მათზე დაკისრებული პირობების შესრულების შესახებ.
92. მსჯავრდებულებს უნდა გააჩნდეთ თავიანთ საქმის მასალებზე (პირად საქმეზე) ხელმისაწვდომობა ისეთი დოზით, რაც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით და რაც არ არღვევს სხვათა კონფიდენციალურობას. მსჯავრდებულებს უნდა ჰქონდეთ უფლება, იდავონ პირადი საქმის ჩანაწერების შინაარსზე.

ნაწილი VI

პრობაციის ორგანოების სხვა სამუშაოები

დაზარალებულებთან მუშაობა

93. როცა პრობაციის ორგანოები უზრუნველყოფენ სერვისს დაზარალებულისთვის, ისინი ასევე უნდა დაეხმარონ დაზარალებულებს დანაშაულის შედეგებთან გამკლავებაში სხვადასხვა საჭიროების გათვალისწინებით.
94. სადაც საჭიროა, პრობაციის ორგანოებმა უნდა ითანამშრომლონ დაზარალებულთა დახმარების ცენტრებთან, რათა გათვალისწინებული იყოს მათი საჭიროებები.
95. იმ შემთხვევაში, როდესაც პრობაციის ორგანოები თანამშრომლობენ დაზარალებულებთან ან/და ცდილობენ მათი აზრის გათვალისწინებას, მათ გარკვევით უნდა განემარტოთ, რომ გადანყვეტილება სამართალდამრღვევის დასჯის შესახებ მიიღება არა მხოლოდ იმ ზიანის მიხედვით, რაც კონკრეტულ დაზარალებულს მიადგა, არამედ სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებითაც.
96. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პრობაციის ორგანოები პირდაპირ დაზარალებულებთან არ აწარმოებენ მუშაობას, ჩარევისას მხედველობაში უნდა მიიღონ მათი უფლებები და საჭიროებები. ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს მსჯავრდებულის ცნობიერების ამაღლებას პასუხისმგებლობის შესახებ იმ ზიანთან დაკავშირებით, რომელიც მიადგა დაზარალებულს.

აღდგენითი (შერიგების) მართლმსაჯულების პრაქტიკა

97. როდესაც პრობაციის ორგანოები ჩართული არიან აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში, მაშინ სამართალდამრღვევის, დაზარალებულისა და საზოგადოების უფლებები და მოვალეობები ნათლად

უნდა იქნეს განსაზღვრული და გაცნობიერებული. პრობაციის პერსონალს უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი ტრენინგები. რა ინტერვენციაც არ უნდა ხორციელდებოდეს, მისი ძირითადი მიზანი უნდა იყოს მიყენებული ზიანის გამოსწორება.

დანაშაულის პრევენცია

98. იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული კანონმდებლობა ამას ითვალისწინებს, პრობაციის ორგანოების ცოდნა და გამოცდილება გამოყენებულ უნდა იქნეს დანაშაულის შემცირების სტრატეგიის შემუშავებაში. ეს შეიძლება მოიცავდეს ერთობლივ ინტერვენციებსა და პარტნიორობას.

ნაწილი VII

საჩივრების პროცედურა, ინსპექცია და მონიტორინგი

99. ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ნათლად განსაზღვრული, ხელმისაწვდომი და ეფექტური პროცედურების არსებობას პრობაციის პრაქტიკასთან დაკავშირებული საჩივრების გამოძიების და მათზე რეაგირებისათვის.
100. ეს პროცედურები უნდა იყოს სამართლიანი და მიუკერძოებელი.
101. ნებისმიერ შემთხვევაში, მომჩივანი სათანადოდ უნდა იყოს ინფორმირებული გამოძიების პროცესისა და შედეგების შესახებ.
102. პრობაციის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ სანდო სისტემის შექმნა, თავიანთი საქმიანობის მონიტორინგისა და გაუმჯობესების მიზნით, ასევე, დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.
103. პრობაციის ორგანოები ანგარიშვალდებული არიან უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების წინაშე და

უნდა ექვემდებარებოდნენ სახელმწიფოს მიერ რეგულარულ ინსპექციას და/ან დამოუკიდებელ მონიტორინგს, ასევე, სრულად უნდა ითანამშრომლონ ამ სახის შემოწმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დამოუკიდებელი მონიტორინგის ორგანოების მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგები უნდა იყოს საჯარო.

ნაწილი VIII

კვლევა, შეფასება, მედიასა და საზოგადოებასთან მუშაობა

104. პრობაციის პოლიტიკა და პრაქტიკა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად, მტკიცებულებებზე დაფუძნებული. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს საჭირო რესურსების მოძიება შესაბამისი კვლევებისა და შეფასებების ჩასატარებლად.
105. არსებული კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის გადახედვა (შეფასება) უნდა ეფუძნებოდეს ღრმა მეცნიერულ ანალიზსა და კვლევებს, რომლებიც, თავის მხრივ, შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.
106. მედიასა და საზოგადოებას რეგულარულად უნდა მიეწოდოს ფაქტობრივი ინფორმაცია პრობაციის ორგანოების მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. მათი ინფორმირება უნდა მოხდეს განუყოფელი საქმიანობის მიზნებისა და შედეგების შესახებ, რათა ამაღლდეს ცნობიერება საზოგადოებაში პრობაციის როლისა და მნიშვნელობის შესახებ.
107. უფლებამოსილი ორგანოები უნდა იქნენ წახალისებული, რათა მათ რეგულარულად გამოაქვეყნონ ანგარიშები პრობაციის სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.
108. პრობაციის ორგანოების პოლიტიკასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული განცხადებები უნდა იყოს

ხელმისაწვდომი სხვა უწყებებისათვის, პრობაციის სერვისის მომხმარებლებისა და ფართო საზოგადოებისათვის, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე, რათა გაიზარდოს ნდობა ამ სამსახურის მიმართ და გაუმჯობესდეს პრობაციის სტანდარტები და პრაქტიკა.

რეკომენდაცია CM/Rec (2010)1—ის დანართი II

გამოყენებული ტერმინების განმარტება

გათავისუფლების შემდგომი თანადგომა/მზრუნველობა გულისხმობს მსჯავრდებულის რეინტეგრაციის პროცესს, ნებაყოფლობით საფუძველზე, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მისი გათავისუფლების შემდგომ, საზოგადოებაში დაბრუნებას კონსტრუქციული, დაგეგმილი და კონტროლირებადი სახით. წინამდებარე ნესების მიხედვით, აღნიშნული განსხვავდება ტერმინისაგან „ხელახალი დაფუძნება (რეინტეგრაცია)“, რაც გულისხმობს კანონით დადგენილ ჩართულობას საპატიმროდან გათავისუფლების შემდეგ.

შეფასება ნიშნავს მსჯავრდებულის რისკის, საჭიროებისა და ძლიერი მხარეების შეფასების პროცესს ინტერვენციის დაგეგმვამდე; სასამართლო ან სხვა შესაბამისი ხელისუფლების ორგანოსათვის რჩევების მიცემამდე. გარდა ამასა, შეფასების მიზანია, გამოავლინოს დანაშაულის ჩადენის მიზეზები და დაადგინოს, შესაძლებელია თუ არა ღონისძიებების გატარება დანაშაულის განმეორებითი ჩადენის აღბათობის შესამცირებლად.

დახმარება გაგებულ უნდა იქნეს, როგორც ზედამხედველობის განუყოფელი ნაწილი კონტროლის პარალელურად. ჩვეულებისამებრ, ეს მოიცავს ერთ ან მეტ შემდეგი სახის მომსახურებას: დახმარების განწვევა საცხოვრებელი ადგილის მოძებნაში, დასაქმებასა და განათლების მიღებაში; ოჯახისთვის დახმარების მიწოდება და ა.შ. ზოგიერთ

სამართლებრივ სისტემაში აღნიშნული შესაძლოა უზრუნველყოფილ იქნეს ცალკეული უწყებების მიერ.

საჩივრები გულისხმობს სასამართლოსადმი ან/და ადმინისტრაციული ორგანოსადმი განცხადებით მიმართვას.

საზოგადოებრივი სანქციები და ღონისძიებები ნიშნავს იმ სანქციებს და ღონისძიებებს, რომელთა აღსრულება ხდება სამართალდამრღვევის საზოგადოებაში დარჩენით და გულისხმობს მისი თავისუფლების გარკვეულ შეზღუდვას იმ ვალდებულებების ან პირობების მიხედვით, რომელიც მას აქვს შეფარდებული. დეფინიცია მოიცავს ნებისმიერ სანქციას, რომელიც შეფარდებულია სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, აგრეთვე, ნებისმიერ სხვა ზომას, რომელიც მიღებულია სასჯელის შეფარდებამდე ან მის ნაცვლად, ან იმ საშუალებებს, რომელთა დახმარებითაც ხდება საპატიმრო სასჯელის აღსრულება სასჯელაღსრულების დაწესებულების გარეთ.

პირობები და ვალდებულებები ნიშნავს ნებისმიერ მოთხოვნას, რომელიც ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს მიერ შეფარდებული სასჯელის ან სხვა ღონისძიების შემადგენელი ნაწილია.

კონტროლი გულისხმობს მოქმედებებს, რომლებიც შემოიფარგლება იმის დადგენით თუ უზრუნველყოფით, თუ რამდენად ასრულებს მსჯავრდებული მისთვის სასჯელის ღონისძიებით დაკისრებულ ვალდებულებებს და პირობებს. ასეთი მოქმედება, როგორც წესი, მოიცავს უფრო მკაცრი სანქციის გამოყენებას ან გამოყენების მუქარას, პირის მიერ დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. კონტროლის ცნება უფრო ვიწროა, ვიდრე ზედამხედველობა.

დანაშაულის პრევენცია გულისხმობს, დანაშაულის პრევენციის (ან შემცირების) მიზნით, ნებისმიერი პოლიტიკის ან პრაქტიკის იმპლემენტაციას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ნებისმიერი ორგანოს ან სხვა უფლებამოსილი უწყების მიერ.

გადაწყვეტილების მიმღები ხელისუფლება გულისხმობს სასამართლო ადმინისტრაციულ ან სხვა კანონით განსაზღვრულ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია, შეუფარდოს ან გააუქმოს საზოგადოებრივი სასჯელი ან ზომა, ან შეცვალოს პირობები და ვალდებულებები.

ნებაყოფლობითი თავის დანებება (Desistance) გულისხმობს პროცესს, რომლის საშუალებით/დახმარებით და გამოყენებით, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების უწყებების ჩარევით ან მათ ჩაურევლად, სამართალდამრღვევები წყვეტენ დანაშაულებრივ ქცევას და აგრძელებენ ცხოვრებას დანაშაულის ჩადენის გარეშე საკუთარი ადამიანური რესურსის (როგორცაა ინდივიდუალური უნარები და ცოდნა) და სოციალური რესურსების (როგორცაა დასაქმება, ოჯახი, სოციალური კავშირები და სამოქალაქო საზოგადოებაში ჩართულობა) განვითარების გზით.

ვადაზე ადრე გათავისუფლება მოიცავს ნებისმიერი სახის გათავისუფლებას საპატიმრო დაწესებულებიდან სასჯელის სრულად მოხდამდე, როგორცაა, სასჯელის გადავადება, პირობით ვადამდე გათავისუფლება ან პირობით შეწყალება.

შეფასება არის სრული მოცულობით მიმოხილვა იმისა, თუ რა დონეზე იქნა მიზანი მიღწეული. ამ პროცესში ხდება გადაწყვეტილების მიღება შემდგომი საჭიროებების შესახებ.

იმპლემენტაცია გულისხმობს პრობაციის ორგანოების მიერ პრაქტიკული სამუშაოების განხორციელებას საზოგადოებრივი სანქციებისა და ლონისძიებების სათანადო აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით.

ინტერვენცია ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც განხორციელებულია სამართალდამრღვევის ზედამხედველობის, რეაბილიტაციის, დახმარებისა და ხელმძღვანელობის მიზნით, რათა მოხდეს დანაშაულის ხელმეორედ ჩადენისაგან მისი აცილება და კანონმორჩილ მოქალაქედ ჩამოყალიბება. შესაბამისად, ინტერვენცია არ მოიცავს ინფორმაციის მოგროვებას ან ანგარიშების წარდგენას.

სასამართლო ხელისუფლება ნიშნავს სასამართლოს, მოსამართლეს ან პროკურორს.

ეროვნული კანონმდებლობა გულისხმობს არა მხოლოდ ძირითად კანონმდებლობას, რომელიც მიღებულია ეროვნული საკანონმდებლო ორგანოს მიერ, არამედ, აგრეთვე, ნებისმიერ სხვა სავალდებულო რეგულაციას და ბრძანებებს, სასამართლო გადაწყვეტილებებს და სხვა აქტებს, თუ მათი მიღების ფორმატი და წესი განსაზღვრულია ეროვნულ საკანონმდებლო სისტემაში.

სამართალდამრღვევი გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელმაც ჩაიდინა ან ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით მიჩნეულია დანაშაულის ჩამდენად. ამ რეკომენდაციის მიზნებისათვის, აგრეთვე, უდანაშაულობის პრეზუმფციისა და სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, ტერმინი „სამართალდამრღვევი“ გაგებული უნდა იქნეს, როგორც ნებისმიერი პირი, რომლის მიმართაც სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესი მიმდინარეობს.

გათავისუფლების შემდგომი ზედამხედველობა გულისხმობს ვადაზე ადრე გათავისუფლების პერიოდში განხორციელებულ ზედამხედველობას.

პრობაცია დაკავშირებულია საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების აღსრულებასთან, რომელიც კანონით არის განსაზღვრული და სამართალდამრღვევისათვის შეფარდებული. ის, აგრეთვე, მოიცავს სხვადასხვა მოქმედებას და ინტერვენციას, როგორცაა ზედამხედველობა, ხელმძღვანელობა და დახმარება, რომელიც ხორციელდება სამართალდამრღვევის სოციალური ადაპტაციისა და საზოგადოების უსაფრთხოების მიზნით.

პრობაციის ორგანო გულისხმობს ნებისმიერ კანონით განსაზღვრულ დაწესებულებას, რომელიც ზემოთ აღნიშნულ ვალდებულებებს ახორციელებს. იმის მიხედვით, თუ როგორ არის მოწყობილი ეროვნული საკანონმდებლო სისტემა, პრობაციის მუშაობა შესაძლოა აგრეთვე

მოიცავდეს სასამართლოსა და სხვა ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას, რათა დაეხმაროს მათ სამართლიანი და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში; სამართალდამრღვევების ხელმძღვანელობას და დახმარებას საპატიმრო დაწესებულებაში, რათა მოახდინოს მათი მომზადება გათავისუფლებისა და საზოგადოებაში ხელახალი დამკვიდრებისათვის; მონიტორინგი და დახმარება გაუწიოს იმ პირებს, რომლებიც თავისუფლებიან ვადაზე ადრე გათავისუფლების სისტემით; განახორციელოს აღდგენითი მართლმსაჯულების ინტერვენციები და დახმარება შესთავაზოს დაზარალებულებს.

რეაბილიტაცია ფართო ცნებაა და მოიცავს სხვადასხვა სახის ინტერვენციას, რომლებიც მიზნად ისახავს დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღებას და მსჯავრდებულის ქცევას კანონმორჩილ ადამიანად.

ხელახლა დამკვიდრება იწყება პატიმრობის პერიოდში. ეს არის მსჯავრდებულთა საზოგადოებაში დაბრუნების პოზიტიური და სათანადო მართვით განხორციელებული პროცესი. ამ წესებში „ხელახლა დამკვიდრება“ ეხება ზედამხედველობის პერიოდს მას შემდეგ, რაც მსჯავრდებულმა დატოვა საპატიმრო, თუმცა, ჯერ კიდევ ექვემდებარება კანონით განსაზღვრულ გარკვეულ ვალდებულებებს, მაგალითად, პირობით ვადამდე გათავისუფლების შემდგომ დაკისრებული პირობები. ამ ტერმინის განსხვავება უნდა მოხდეს ტერმინისაგან „გათავისუფლების შემდგომი თანადგომა“.

აღდგენითი მართლმსაჯულება მოიცავს სხვადასხვა მიდგომასა და პროგრამას, რომელიც ეფუძნება რამდენიმე ფუძემდებლურ ვარაუდს:

- ა. რომ დანაშაულზე რეაგირებამ უნდა გამოასწოროს ის ზიანი, რაც დაზარალებულისათვის იქნა მიყენებული;
- ბ. სამართალდამრღვევებმა უნდა გაიგონ, რომ მათი ქმედება არ არის მისაღები და მან იქონია ფაქტობრივი შედეგები დაზარალებულსა და საზოგადოებაზე;
- გ. რომ სამართალდამრღვევებს შეუძლიათ და უნდა აიღონ კიდევ პასუხისმგებლობა თავიანთ ქმედებაზე;

- დ. დაზარალებულებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გამოსატონ თავიანთი საჭიროებები და მონაწილეობა მიიღონ სამართალდამრღვევის მიერ საკუთარი ქმედების გამოსწორებისათვის ყველაზე უპრიანი გზების ძიებაში;
- ე. საზოგადოებას აქვს პასუხისმგებლობა, საკუთარი წვლილი შეიტანოს ამ პროცესში.

ზედამხედველობა მიუთითებს, ერთი მხრივ, დახმარებაზე, რომელიც აღმასრულებელი ორგანოს ან უფლებამოსილი პირის მიერ ხორციელდება და რომლის მიზანია, შეინარჩუნოს სამართალდამრღვევი საზოგადოებაში, მიიღოს ზომები, საჭიროებისამებრ, კონტროლის ჩათვლით, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამართალდამრღვევი შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და დადგენილ პირობებს. ზედამხედველობა შესაძლოა განხორციელდეს ნებაყოფლობით (სამართალდამრღვევის თხოვნით) ან სავალდებულო წესით.

დაზარალებული გულისხმობს პირს, რომელსაც მიადგა ფიზიკური ან მორალური ზიანი, ემოციური ტანჯვა ან ეკონომიკური დანაკარგი და რომელიც გამოწვეული იყო ისეთი ქმედებით ან უმოქმედობით, რამაც დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა. ტერმინი „დაზარალებული“ აგრეთვე შეიძლება მოიცავდეს უშუალო დაზარალებულის ოჯახს და მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.

მოხალისე არის პირი, რომელიც აღასრულებს საპრობაციო ღონისძიებებს და რომლისთვისაც ეს საქმე არ არის ძირითადი სამსახური. ეს არ გამორიცხავს მოხალისეთათვის მინიმალურ ანაზღაურებას მათ მიერ განხორციელებული სამუშაოს ხარჯების დასაფარავად.

**ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის
რეკომენდაცია Rec(2006)2 ნაპრი
სასაქონლო უფლებისადმი ევროპულ ციხის
წესებთან დაკავშირებით²**

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11
იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი, თანახმად ევროპის საბჭოს წესდების
მე-15 ბ მუხლის პირობებისა,

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის
უფლებათა ევროპის სასამართლოს პრეცედენტული
სამართლის გათვალისწინებით;

ასევე წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყ-
რობისა თუ სასჯელის აღკვეთის ევროპული კომიტეტის
მუშაობისა და, განსაკუთრებით, მის ანგარიშებში შემუშავე-
ბული სტანდარტების გათვალისწინებით;

იმის გამეორებით, რომ არავის უნდა აღეკვეთოს თავისუფ-
ლება, გარდა უკიდურესი შემთხვევისა და კანონით დად-
გენილი პროცედურის გათვალისწინებით;

იმის ხაზგასმით, რომ საპატიმრო სასჯელების აღსრულება
და პატიმრებთან მოპყრობა საჭიროებს უსაფრთხოების,
უშიშროებისა და დისციპლინის საკითხების გათვალისწინე-
ბას, ასევე, ციხის ისეთი პირობების უზრუნველყოფას, რო-
მელიც არ ხელყოფს ადამიანის ღირსებას, არამედ იძლევა
პატიმართათვის სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწი-
ლეობის და დასაქმების საშუალებას, რითაც მათ ამზადებს
საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის,

მნიშვნელოვნად მიიჩნევს რა, რომ ევროპის საბჭოს წევრმა
ქვეყნებმა განაგრძონ პენიტენციურ პოლიტიკასთან დაკავ-
შირებული საერთო პრინციპების განახლება და დაცვა;

² ქართული თარგმანი შესრულებულია ორგანიზაციის „ციხის საერთაშორისო
რეფორმა“ (PRI) მიერ.

უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი საერთო პრინციპების დაცვა და შესრულება გააძლიერებს საერთაშორისო თანამშრომლობას ამ სფეროში;

აღნიშნავს რა სოციალურ ცვლილებებს, რომელთაც ზეგავლენა მოახდინეს ევროპაში პენიტენციურ სფეროში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში;

ხელახლა ადასტურებენ რა ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებში მოცემულ სტანდარტებს, რომლებიც ეხება პენიტენციური პოლიტიკისა და პრაქტიკის სპეციფიკურ ასპექტებს და განსაკუთრებით No. R (89) 12 ციხეებში განათლების შესახებ, No. R (93) 6 რომელიც შეეხება ციხეს და ციხეში გადამდები დაავადებების, მათ შორის შიდსის და სხვა პრობლემების კონტროლის კრიმინოლოგიურ ასპექტებს, No. R (97) 12 კადრების შესახებ, რომელიც ასრულებს სანქციებს და ზომებს, No. R (98) 7 რომელიც ეხება ციხეებში ჯანდაცვის ეთიკურ და ორგანიზაციულ ასპექტებს, No. R (99) 22 რაც შეეხება ციხეების გადატვირთულობას და ციხის მოსახლეობის ინფლაციას, Rec(2003)22 პირობით ვადამდე გათავისუფლებას და Rec (2003)33 ციხეების ადმინისტრაციის მიერ უვადო პატიმრობამისჯილებისა და სხვა გრძელვადიანი სასჯელმისჯილების მართვას;

გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების გათვალისწინებით;

იმის გათვალისწინებით, რომ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R (87) 3 ევროპულ ციხის წესების შესახებ საჭიროებს არსებით დამუშავებას და განახლებას, რათა ასახოს პენიტენციურ პოლიტიკაში, სასჯელის მისჯის პრაქტიკასა და ევროპაში ციხეების მართვის სისტემაში მომხდარი ცვლილებები და განვითარებები;

რეკომენდაციას იძლევა, რომ წევრმა სახელმწიფოებმა:

- საკუთარ კანონმდებლობაში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში იხელმძღვანელონ იმ წესებით, რომლებიც მოცემულია ამ რეკომენდაციის დანართში და მინისტრთა

კომიტეტის ევროპული ციხის წესების შესახებ რეკომენდაცია R. (87) 3-ის ადგილს იკავებს;

- უზრუნველყონ, რათა ეს რეკომენდაცია და თანდართული კომენტარები ითარგმნოს და გავრცელდეს რაც შეიძლება ფართოდ, უფრო კონკრეტულად, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის, ციხეების პერსონალსა და პატიმრებში.

რეკომენდაცია Rec(2006)2-ის დანართი

ნაწილი I

ძირითადი პრინციპები

1. ყველა თავისუფლებაალკვეთილ ადამიანს უნდა მოეპყრონ მისი უფლებების პატივისცემით.
2. თავისუფლებაალკვეთილი პირები ინარჩუნებენ ყველა უფლებას, რომლებიც კანონიერად არ ერთმევათ იმ გადანყვეტილების საფუძველზე, რომლითაც მათ უსჯიან სასჯელს ან უფარდებენ პატიმრობას.
3. თავისუფლებაალკვეთილ პირთა მიმართ დანესებული შეზღუდვები უნდა იყოს მინიმალურად აუცილებელი და იმ ლეგიტიმური ამოცანის თანაზომიერი, რომლისთვისაც ხდება მათი დანესება.
4. ადამიანის უფლებების შემლახავი ციხის პირობების არსებობა არ არის გამართლებული რესურსების ნაკლებობით.
5. ციხეში ცხოვრება შეძლებისდაგვარად უნდა უახლოვდებოდეს საზოგადოებაში ცხოვრების პოზიტიურ ასპექტებს.
6. პატიმრობის მართვა ისე უნდა მოხდეს, რომ ხელი შეუწყოს თავისუფლებაალკვეთილ პირთა რეინტეგრაციას თავისუფალ საზოგადოებაში.
7. უნდა ხდებოდეს სამოქალაქო საზოგადოების შეძლებისდაგვარად ჩართვა ციხის ცხოვრებაში და თანამშრომლობა სოციალურ სამსახურებთან.

8. ციხის პერსონალი ახორციელებს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ სამსახურს, შესაბამისად, მათი დასაქმება, პროფესიული მომზადება და მუშაობის პირობები უნდა იყოს ისეთი, რომ პატიმრებზე ზრუნვის მაღალი სტანდარტები შეინარჩუნონ.
9. ყველა ციხე უნდა ექვემდებარებოდეს რეგულარულ სამთავრობო ინსპექტირებას და დამოუკიდებელ მონიტორინგს.

არეალი და გამოყენება

- 10.1 ევროპული ციხის წესები გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომელთა მოთავსება მოხდა საპატიმროში სასამართლო ხელისუფლების მიერ, ან რომელთაც გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე აღეკვეთათ თავისუფლება.
- 10.2 პრინციპში, პირები, რომელთა მოთავსება მოხდა საპატიმროში, ან რომელთაც აღეკვეთათ თავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, მხოლოდ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ანუ ამ ორი კატეგორიის პირთათვის განკუთვნილ დაწესებულებებში უნდა იყვნენ მოთავსებულნი.
- 10.3 ეს წესები, აგრეთვე, შეეხება იმ პირებს, რომლებიც:
 - ა. იმყოფებიან ციხეში ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო; ან
 - ბ. საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსებულ იქნენ სასამართლო ხელისუფლების მიერ, ან თავისუფლება აღეკვეთათ გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე და, რაიმე მიზეზის გამო, სხვაგან არიან მოთავსებული.
- 10.4 ყველა პირი, რომლებიც მოთავსებულნი არიან ციხეში, ან 10.3.ბ პარაგრაფში მითითებული წესისამებრ არიან დაკავებულნი, ამ წესების მიხედვით ინოღებიან პატიმრებად.

- 11.1 18 წლამდე ასაკის ბავშვები არ უნდა იყვნენ მოთავსებული მოზრდილთა ციხეში, არამედ მათთვის სპეციალურად განკუთვნილ დაწესებულებაში.
- 11.2 თუ, იშვიათ შემთხვევებში, ბავშვები მაინც არიან მოთავსებული ასეთ დაწესებულებაში, უნდა არსებობდეს სპეციალური დებულებები, რომლებიც ითვალისწინებს მათ სტატუსს და საჭიროებებს.
- 12.1 პირები, რომლებიც ფსიქიკურად არიან დაავადებულნი და მათი ფსიქიკური მდგომარეობა შეუთავსებელია ციხეში პატიმრობასთან, უნდა მოთავსდნენ სპეციალურად მათთვის განკუთვნილ დაწესებულებაში.
- 12.2 მიუხედავად ამისა, თუ ასეთი პირები მაინც იმყოფებიან პატიმრობაში, უნდა არსებობდეს სპეციალური რეგულაციები, რაც ითვალისწინებს მათ სტატუსსა და საჭიროებებს.
13. ამ წესების გამოყენება უნდა მოხდეს მიუკერძოებლად, დისკრიმინაციის გარეშე, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მოსაზრების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, საკუთრების, წარმომავლობის ან სხვა მდგომარეობის საფუძველზე.

ნაწილი II

მიღება

14. არც ერთი პირის მიღება ან მოთავსება საპატიმრო დაწესებულებაში არ უნდა მოხდეს შესაბამისი სათანადო აქტის გარეშე, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.
- 15.1 მიღებისას თითოეულ პატიმართან დაკავშირებით უნდა მოხდეს შემდეგი დეტალების დაუყოვნებლივ დაფიქსირება:

- ა. პატიმრის პირადობის დამადასტურებელი ინფორმაცია;
 - ბ. დაპატიმრების მიზეზი და პასუხისმგებელი პირი, რომელმაც გასცა შესაბამისი განკარგულება;
 - გ. მიღების დღე და საათი;
 - დ. პატიმრის პირადი ნივთების ნუსხა, რომლებიც უნდა მოთავსდეს საპატიმრო დაწესებულების შემნახველ განყოფილებაში 31-ე წესის შესაბამისად;
 - ე. ყოველი ხილული დაზიანება და საჩივარი დაწესებულებაში მიყვანამდე განცდილი ცუდად მოპყრობის შესახებ;
 - ვ. სამედიცინო საიდუმლოებას დაქვემდებარებული ნებისმიერი ინფორმაცია პატიმრის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, რომელსაც მნიშვნელობა აქვს პატიმრის ან სხვათა ფიზიკური ან ფსიქიკური კეთილდღეობისთვის.
- 15.2 მიღებისას ყველა პატიმარს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია 30-ე წესის შესაბამისად.
- 15.3 მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა გაიცეს შეტყობინება პატიმრის საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ, 24.9 წესის შესაბამისად.
16. მიღებიდან შეძლებისდაგვარად მალე:
- ა. პატიმრის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას უნდა დაემატოს სამედიცინო შემოწმების ჩატარება, 42-ე მუხლის შესაბამისად;
 - ბ. პატიმრისათვის უსაფრთხოების სათანადოდონე უნდა განისაზღვროს 51-ე წესის შესაბამისად;
 - გ. უსაფრთხოებისადმი საშიშროება, რომელსაც პატიმარი წარმოადგენს, უნდა განისაზღვროს 52-ე მუხლის შესაბამისად;
 - დ. პატიმრის სოციალური მდგომარეობის შესახებ

არსებული ნებისმიერი ინფორმაცია უნდა შეფასდეს, რათა მოხდეს მისი პირადი საქიროებების გადანყვეტა; ე. მსჯავრდებულების შემთხვევაში, დადგენილ უნდა იქნეს საქირო ზომები იმ პროგრამების განსახორციელებლად, რომლებიც გათვალისწინებულია ამ წესების VIII ნაწილით.

განაწილება და განთავსება

- 17.1 პატიმრების განთავსება უნდა მოხდეს შეძლებილ-სდაგვარად ახლოს მათ სახლებსა ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილებთან.
- 17.2 განთავსება ასევე უნდა ითვალისწინებდეს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაგრძელების მოთხოვნებს, ასევე, უსაფრთხოებისა და უშიშროების და ყველა პატიმრისათვის სათანადო რეჟიმების უზრუნველყოფის საქიროებებს.
- 17.3 რამდენადაც შესაძლებელია, პატიმრებთან უნდა ჩატარდეს კონსულტაცია მათი საწყისი განთავსების ადგილის შესახებ, ასევე, ერთი დანესებულებიდან სხვა დანესებულებაში შემდგომი გადაყვანისას.
- 18.1 პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი შენობა, განსაკუთრებით კი, საძინებელი კორპუსი, უნდა პასუხობდეს ადამიანის ღირსების პატივისცემის და, შეძლებისდაგვარად, ასევე, განმარტოების მოთხოვნებს. გარდა ამისა, დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნები, კლიმატური პირობებისა და, განსაკუთრებით, ფართის ოდენობის, ჰაერის მოცულობის, განათების და ვენტილაციის პირობების გათვალისწინებით.
- 18.2 ყველა შენობაში, სადაც პატიმრები ცხოვრობენ, მუშაობენ ან იკრიბებიან:
 - ა. ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა საშუალება მისცეს პატიმრებს, იკითხონ ან

იმუშაონ ბუნებრივი განათებისას ნორმალურ პირობებში. ასევე, აუცილებელია, ხდებოდეს სუფთა ჰაერის მოძრაობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ჰაერის კონდიციონერების სისტემა;

- ბ. ხელოვნური განათება უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს; გ. უნდა არსებობდეს სიგნალიზაციის სისტემა, რაც საშუალებას მისცემს პატიმრებს, დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ პერსონალს.
- 18.3 კონკრეტული მინიმალური მოთხოვნები, 1-ელ და მე-2 პარაგრაფში მოცემული საკითხების გათვალისწინებით, მოცემული უნდა იყოს ეროვნულ კანონმდებლობაში.
- 18.4 ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს იმას, რომ ამ მოთხოვნების დარღვევა არ მოხდეს ციხეების გადატვირთულობით.
- 18.5 პატიმრების განთავსება ღამით, ჩვეულებრივ, უნდა მოხდეს ინდივიდუალურ საკნებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უმჯობესია მათი მოთავსება საერთო საძინებელში.
- 18.6 საცხოვრებლის საერთო გამოყენება უნდა იყოს შესაძლებელი მხოლოდ მაშინ, თუ ეს ამ მიზნის შესაბამისია და პატიმრებიც ეთავსებიან ერთმანეთს.
- 18.7 პატიმრებს შეძლებისდაგვარად უნდა მიეცეთ არჩევანის შესაძლებლობა, სანამ მიეთითებათ საძინებლის ერთობლივი გამოყენება.
- 18.8 პატიმრების კონკრეტულ დანესებულებაში მოთავსების ან სასჯელალსრულების დანესებულების კონკრეტულ განყოფილებებში განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, უნდა მოხდეს საპატიმროში მოთავსების შემდეგი პირობების სათანადო გათვალისწინება:

- ა. მიუსჯელი პატიმრების განცალკევებით მოთავსება მისჯილებისაგან;
 - ბ. მამაკაცი პატიმრების ქალი პატიმრებისაგან განცალკევებით მოთავსება; და
 - გ. ახალგაზრდა მოზრდილი პატიმრების შედარებით ასაკიანი პატიმრებისაგან ცალკე მოთავსება.
- 18.9 მე-8 პარაგრაფში მოცემული განცალკევებით მოთავსების მოთხოვნების მიმართ შეიძლება გამოწვევის დაშვება, რათა პატიმრებს ღონისძიებებში ერთობლივი მონაწილეობის საშუალება მიეცეთ. თუმცა, ეს ჯგუფები განცალკევებით უნდა მოათავსონ ღამით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი თანხმობას აცხადებენ ერთად მოთავსებაზე და ციხის ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ ეს ყველა პატიმრისთვის საუკეთესო ვარიანტი იქნება.
- 18.10 ყველა პატიმრის სადგომში უნდა იყოს ისეთი პირობები, რომელიც შეესაბამება მათი გაქცევის, საკუთარი თავისა ან სხვისთვის ზიანის მიყენების შესაძლო რისკს და მოიცავს ყველაზე ნაკლებად შემზღვევად უსაფრთხოების ზომებს.

ჰიგიენა

- 19.1 ციხის ყოველი ნაწილი უნდა იყოს შენახული სათანადოდ სუფთა მდგომარეობაში.
- 19.2 როდესაც პატიმრები მიჰყავთ ციხეში, სუფთა უნდა იყოს ის საკნები და სხვა განყოფილებები, სადაც პატიმართა განთავსება ხდება.
- 19.3 პატიმრებს იოლად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი სანიტარიულ სადგომებზე, რომლებიც ჰიგიენურია და განმარტობის საშუალებას იძლევა.
- 19.4 უნდა მოხდეს ადეკვატური სამყოფლის უზრუნველყოფა, რათა ყოველმა პატიმარმა შეძლოს შხაპით ან აბაზანით სარგებლობა კლიმატისადმი შესა-

ტყვისი ტემპერატურის პირობებში, თუ ეს შესაძლებელია – დღიურად, ან კვირაში ორჯერ მაინც (თუ საჭიროა, უფრო ხშირადაც), ზოგადი ჰიგიენის ინტერესებიდან გამომდინარე.

- 19.5 პატიმრებმა სუფთად და მონესრიგებულად უნდა იქონიონ ტანსაცმელი და საძინებელი, ასევე, პირად ჰიგიენას მიაქციონ ყურადღება.
- 19.6 ამისათვის ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ისინი შესაბამისი საშუალებებით, ტუალეტისა და ჰიგიენური საშუალებებით და მასალებით.
- 19.7 უნდა მოხდეს ქალთა სანიტარიული საჭიროებების სპეციალური უზრუნველყოფა.

ტანსაცმელი და ქვეშაგები

- 20.1 პატიმრები, რომელთაც არა აქვთ სათანადო ტანსაცმელი, ან არ გააჩნიათ საკუთარი სამოსი, უზრუნველყოფილი უნდა იქნენ კლიმატის შესაბამისი ტანსაცმლით.
- 20.2 ამგვარი ტანსაცმელი არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი ან ღირსების დამამცირებელი.
- 20.3 ყველა ტანსაცმელი კარგ მდგომარეობაში უნდა იყოს შენარჩუნებული და, საჭიროებისამებრ, შეიცვალოს.
- 20.4 პატიმრებს, რომელთაც ეძლევათ ციხიდან გასვლის ნებართვა, არ უნდა მოეთხოვოთ ისეთი ტანსაცმლის ტარება, რომელიც შესამჩნევს განხდის მათ სტატუსს.
21. ყოველი პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცალკე საწოლით და ცალკე ქვეშაგებით, რომელიც მონესრიგებულ მდგომარეობაში უნდა იქონიოს და შეიცვალოს იმდენად ხშირად, რომ მისი სისუფთავე იყოს დაცული.

კვება

- 22.1 პატიმრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სათანადო საკვებით, მათი ასაკის, ჯანმრთელობის და ფიზიკური მდგომარეობის, რელიგიის, კულტურის და მუშაობის ხასიათის გათვალისწინებით.
- 22.2 საკვები რაციონის მოთხოვნები, როგორცაა კალორიულობა და ცილების შემცველობა, გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით.
- 22.3 საკვების მომზადება და საჭმელად გამოტანა უნდა ხდებოდეს ჰიგიენურ პირობებში.
- 22.4 გათვალისწინებული უნდა იყოს სამჯერადი კვება, გონივრულ ინტერვალებში.
- 22.5 პატიმრებისათვის სუფთა სასმელი წყალი უნდა იყოს ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი.
- 22.6 ექიმმა ან კვალიფიციურმა მედამ უნდა მოითხოვოს საკვები რაციონის შეცვლა კონკრეტული პატიმრისათვის, როდესაც ეს საჭიროა სამედიცინო მოსაზრებით.

იურიდიული კონსულტაცია

- 23.1 ყოველ პატიმარს აქვს იურიდიული კონსულტაციის მიღების უფლება და ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს სათანადო ფართი ასეთი დახმარების ხელმისაწვდომობისათვის.
- 23.2 პატიმრებს საკუთარი შეხედულებისამებრ ნებისმიერ იურიდიულ საკითხზე შეუძლიათ მიმართონ მათ მიერვე შერჩეულ იურისტ-კონსულტანტს საკუთარი ხარჯებით.
- 23.3 თუ არსებობს უფასო იურიდიული კონსულტაციის პროგრამა, ციხის ადმინისტრაციამ ამის თაობაზე უნდა აცნობოს ყველა პატიმარს.
- 23.4 კონსულტაციები და სხვა კომუნიკაციები, ასევე,

კორესპონდენცია სამართლებრივ საკითხებზე პატიმრებს შორის და მათსა და იურიდიულ კონსულტანტებს შორის უნდა იყოს კონფიდენციალური.

- 23.5 სასამართლო ხელისუფლებას შეუძლია, გამონაკლის შემთხვევებში, შეზღუდვები დაანესოს ასეთ კონფიდენციალურობაზე, სერიოზული დანაშაულის ან ციხის უსაფრთხოებისა და უშიშროების დარღვევის თავიდან ასაცილებლად.
- 23.6 პატიმრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ, ანდა თვითონ ინახავდნენ მათი საქმის სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.

კონტაქტი გარესამყაროსთან

- 24.1 პატიმრებს ნებართვა უნდა მიეცეთ, რაც შეიძლება ხშირად იქონიონ ურთიერთობა წერილით, ტელეფონით თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებით თავიანთ ოჯახებთან, სხვა პირებთან და გარე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე, დაენიშნონ პაემნები ამ ადამიანებთან.
- 24.2 კომუნიკაციები და პაემნები შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს და მონიტორინგს, რომელიც საჭირო იქნება სისხლის სამართლის გამოძიების გასაგრძელებლად, წესრიგის შესანარჩუნებლად, უსაფრთხოებისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად და სისხლის სამართლის დანაშაულთა აღსაკვეთად, დანაშაულის მსხვერპლთა დასაცავად. მაგრამ სასამართლო ხელისუფლების მიერ დაწესებული ასეთი შეზღუდვები, მათ შორის კონკრეტული შეზღუდვები, მაინც უნდა აკმაყოფილებდეს კონტაქტის დასაშვებ მინიმალურ დონეს.
- 24.3 ეროვნული კანონმდებლობა უნდა აკონკრეტებდეს ეროვნულ და საერთაშორისო ორგანოებს და თანამდებობის პირებს, რომლებთანაც კომუნიკაცია პატიმრებს არ უნდა შეეზღუდოთ.

- 24.4 პაემნების ორგანიზება ისე უნდა განხორციელდეს, რომ პატიმრებს საშუალება მიეცეთ, შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები შეძლებისდაგვარად ნორმალურ გარემოში.
- 24.5 ციხის ადმინისტრაცია უნდა დაეხმაროს პატიმრებს გარე სამყაროსთან ადეკვატური კონტაქტის შენარჩუნებაში და უნდა უზრუნველყოს ისინი შესაბამისი მხარდაჭერით.
- 24.6 ნებისმიერი ინფორმაცია პატიმრის ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სერიოზული ავადმყოფობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პატიმარს.
- 24.7 როდესაც გარემოებები იძლევა ამის საშუალებას, პატიმარს უფლება უნდა მიეცეს, დატოვოს ციხე ბადრაგის თანხლებით, ან მარტომ, ავადმყოფი ნათესავის მოსანახულებლად, სატირალში მისასვლელად ან სხვა ჰუმანიტარული მოსაზრებებით.
- 24.8 პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, დაუყოვნებლივ შეატყობინონ თავიანთ ოჯახებს დაპატიმრებისა ან სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ, ანდა სერიოზული დაავადებისა თუ დაზიანების შესახებ, რომელიც მათ აწუხებთ.
- 24.9 ციხეში პატიმრის მოყვანისას, ასევე, პატიმრის გარდაცვალებისა ან მძიმე ავადმყოფობისას, ანდა საავადმყოფოში გადაყვანისას, ციხის ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მის მეუღლეს ან პარტნიორს. თუ პატიმარი დაუოჯახებელია, ამის შესახებ უნდა ეცნობოს მის უახლოეს ნათესავს ან პატიმრის მიერ დასახელებულ პირს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პატიმარი თვითონ ითხოვს შეუტყობინებლობას.
- 24.10 პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, რეგულარულად შეიტყონ საზოგადოებრივი საქმეების შესახებ და ამისათვის გამოიწერონ და იკითხონ გაზეთები, პერიოდული გამოცემები და სხვა პუბლიკაციები, მოუსმინონ რადიოს ან სატელევიზიო გადაცემებს,

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო ხელისუფლების მიერ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ინდივიდუალურ შემთხვევაში, კონკრეტული აკრძალვაა დანესებული.

- 24.11 ციხის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს, რომ პატიმრებს შეეძლოთ მონაწილეობის მიღება არჩევნებში, რეფერენდუმში და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ასპექტებში, თუკი ასეთი უფლება არ არის შეზღუდული ეროვნული კანონმდებლობით.
- 24.12 პატიმრებს უნდა მიეცეთ მასმედიასთან ურთიერთობის ნებართვა, თუკი არ არსებობს ასეთი კომუნიკაციის აკრძალვის ანგარიშგასაწევი მიზეზი უსაფრთხოებისა და უშიშროების მოსაზრებიდან გამომდინარე, რომელიც განპირობებულია საზოგადოებრივი ინტერესით, ასევე, დაზარალებულის თუ სხვა პატიმრების ან პერსონალის დაცვის ინტერესებით.

ციხის რეჟიმი

- 25.1 ნებისმიერი პატიმრისთვის განკუთვნილი რეჟიმი უნდა შეიცავდეს ღონისძიებების ბალანსირებულ პროგრამას.
- 25.2 ეს რეჟიმი საშუალებას უნდა აძლევდეს ყველა პატიმარს, ყოველდღიურად რაც შეიძლება მეტი დრო გაატარონ საკნების გარეთ, რაც საჭიროა ადამიანური და სოციალური ურთიერთობების ადეკვატური დონის შესანარჩუნებლად.
- 25.3 რეჟიმი ასევე უნდა პასუხობდეს პატიმრის სოციალურ საჭიროებებს.
- 25.4 განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ პატიმრების საჭიროებებს, რომელთაც გადაიტანეს ფიზიკური, მორალური ან სექსუალური შეურაცხყოფა.

სამუშაო

- 26.1 სასჯელალსრულების დაწესებულებაში პატიმრის მუშაობა უნდა აღიქმებოდეს როგორც ციხის რეჟიმის პოზიტიური ელემენტი და არასდროს არ უნდა იქნეს გამოყენებული სასჯელის სახით.
- 26.2 ციხის ხელმძღვანელობა უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები სასარგებლო ხასიათის საკმარისი სამუშაოთი უზრუნველყოს.
- 26.3 პატიმრისათვის განკუთვნილი სამუშაო შედეგების დაგვარად ისეთი უნდა იყოს, რომ უნარჩუნებდეს ან ავითარებდეს პატიმრის მიერ გათავისუფლების შემდგომ თავის რჩენის უნარს.
- 26.4 მე-13 წესის თანახმად, უზრუნველყოფილი სამუშაოს ტიპთან მიმართებით, არ უნდა არსებობდეს დისკრიმინაცია გენდერული საფუძვლით.
- 26.5 სამუშაოზე, რომელიც ასევე მოიცავს პროფესიულ სწავლებას, უნდა დასაქმდნენ პატიმრები, რომლებსაც შეუძლიათ მისგან სარგებლობის მიღება, განსაკუთრებით, ახალგაზრდა პატიმრები.
- 26.6 პატიმრებს უნდა შეეძლოთ, თავად შეარჩიონ საქმიანობის ის ტიპის, რომელში მონაწილეობის სურვილიც აქვთ — არსებული სამუშაოს ლიმიტის ფარგლებში, აგრეთვე, სათანადო პროფესიული შერჩევის, წესრიგისა და დისციპლინის მოთხოვნების შესაბამისად.
- 26.7 სასჯელალსრულების დაწესებულებებში მუშაობის ორგანიზება და მეთოდები შედეგების დაგვარად მიახლოებული უნდა იყოს საზოგადოებაში არსებულ სამუშაო სტანდარტებთან, რათა მოხდეს პატიმართა მომზადება ჩვეულებრივი პროფესიული ცხოვრებისათვის.
- 26.8 მიუხედავად იმისა, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებებში სამრეწველო კომპანიების მიერ ფინანსური მოგების მიღების მიზნით საქმიანო-

- ბების განხორციელება შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს სტანდარტების გაუმჯობესებისა და წვრთნის ხარისხის ამაღლებისათვის, მაგრამ პატიმართა ინტერესები არ უნდა დაექვემდებაროს ამ მიზანს.
- 26.9 პატიმრებისთვის სამუშაოს უზრუნველყოფის სასჯელალსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობა საკუთარი სახსრებით ან კერძო კონტრაქტორებთან თანამშრომლობით, როგორც სასჯელალსრულების დაწესებულებაში, ისე მის გარეთ.
- 26.10 ყველა შემთხვევაში უნდა ხდებოდეს პატიმართა სამუშაოს სამართლიანი ანაზღაურება.
- 26.11 პატიმრებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, რომ მათ მიერ გამომუშავებული თანხის ნაწილი მაინც დახარჯონ საკუთარი მოხმარებისთვის, დაშვებული საგნების შესაძენად, ასევე, ანაზღაურების ნაწილი მოახმარონ საკუთარ ოჯახს.
- 26.12 შეიძლება პატიმრების ნახალისება, რომ მათ გამო-მუშავებული ანაზღაურების ნაწილი დაზოგონ, რომელიც გათავისუფლებისას გადაეცემათ ან გამოყენებული იქნება სხვა შეთანხმებული მიზნებისათვის.
- 26.13 მუშაობისას პატიმრების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომები უნდა იყოს ადეკვატური და ისინი არ უნდა იყვნენ იმაზე ნაკლებად დაცულნი, ვიდრე ციხის გარეთ მომუშავე მუშაკები.
- 26.14 პატიმართათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამრეწველო ტრავმისას ანაზღაურების მიღების გარანტია, მათ შორის, პროფესიული დაავადების დროს და მისი პირობები არ უნდა იყოს იმაზე ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე კანონმდებლობით არის გათვალისწინებული ჩვეულებრივ მომუშავე მუშაკთათვის.
- 26.15 პატიმართა მაქსიმალური დღიური და ყოველკვირეული სამუშაო საათები უნდა იყოს დაფიქსირებული ადგილობრივი წესების მიხედვით, რომლებიც

არეგულირებს თავისუფალ მუშაკთა დასაქმების პირობებს.

- 26.16 პატიმრებს უნდა ჰქონდეთ მინიმუმ ერთი დასვენების დღე კვირაში და საკმარისი დრო განათლებისა და სხვა საქმიანობისათვის.
- 26.17 მომუშავე პატიმრები შეძლებისდაგვარად უნდა ჩართონ ეროვნული სოციალური უსაფრთხოების სისტემებში.

ვარჯიში და დასვენება

- 27.1 ყოველ პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ყოველდღიურად მინიმუმ ერთი საათი მაინც ივარჯიშოს სუფთა ჰაერზე, თუ ამინდი იძლევა ამის საშუალებას.
- 27.2 ავდრის პირობებში, პატიმრებს ალტერნატიული შესაძლებლობა უნდა მიეცეთ სავარჯიშოდ.
- 27.3 სათანადოდ ორგანიზებული ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს სიჯანსაღეს და უზრუნველყოფს ფიზიკურ ვარჯიშსა და დასვენებას, უნდა წარმოადგენდეს რეჟიმის განუყოფელ ნაწილს.
- 27.4 სასჯელალსრულების დანესებულებების ხელმძღვანელობა ხელს უნდა უწყობდეს მსგავს ღონისძიებებს შესაბამისი აღჭურვილობისა თუ ბაზის უზრუნველყოფის მეშვეობით.
- 27.5 დანესებულების ადმინისტრაციამ უნდა მოაგვაროს სპეციალური ღონისძიებების ორგანიზების საკითხები იმ პატიმართათვის, რომლებიც ამას საჭიროებენ.
- 27.6 დასვენების საშუალებები, მათ შორის სპორტი, თამაშები, კულტურული ღონისძიებები, ჰობი და თავისუფალი დროის გატარების სხვა ხერხები, უნდა იქნეს უზრუნველყოფილი და პატიმრებს, შეძლებისდაგვარად, უნდა მიეცეთ მათი ორგანიზების შესაძლებლობა.

- 27.7 პატიმრებს ერთმანეთთან ურთიერთობის შესაძლებლობა უნდა მიეცეთ ვარჯიშის დროს და სარეკრეაციო ღონისძიებებში მონაწილეობისას.

განათლება

- 28.1 ყოველი სასჯელაღსრულების დაწესებულება უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც იქნება შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი და უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით.
- 28.2 პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს პატიმრებს, რომელთაც წერა-კითხვის და ანგარიშის სწავლის საჭიროება აქვთ და აკლიათ საბაზისო და პროფესიული განათლება.
- 28.3 განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა და სპეციალური საჭიროებების მქონე პატიმრების განათლებას.
- 28.4 განათლებას არ უნდა მიენიჭოს ნაკლები სტატუსი, ვიდრე მუშაობას ციხის რეჟიმის ფარგლებში და პატიმრები არ უნდა ჩააყენონ ფინანსურად ან სხვაგვარად არახელსაყრელ პირობებში საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის მიღების გამო.
- 28.5 ყოველ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ბიბლიოთეკა ყველა პატიმრის სარგებლობისთვის, რომელიც სათანადოდ იქნება აღჭურვილი როგორც რეკრეაციული, ასევე საგანმანათლებლო რესურსებით, წიგნებით და სხვა საშუალებებით.
- 28.6 სადაც შესაძლებელია, ციხის ბიბლიოთეკა უნდა მოეწყოს საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის სამსახურებთან თანამშრომლობით.

28.7 რამდენადაც განხორციელებადი იქნება, პატიმართა განათლება უნდა:

- ა. იყოს ინტეგრირებული ქვეყნის საგანმანათლებლო და პროფესიული განათლების სისტემასთან, იმგვარად, რომ პატიმართა გათავისუფლების შემდგომ მათ შეძლონ სწავლის ან პროფესიული განათლების გაგრძელება სიძნელეების გარეშე; და
- ბ. მიმდინარეობდეს გარე საგანმანათლებლო დაწესებულებების ეგიდით.

აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება

29.1 პატივი უნდა ეცეს პატიმართა აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლებას.

29.2 ციხეების რეჟიმი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ შეძლებისდაგვარად საშუალება მისცეს პატიმრებს, თავიანთ რელიგიას და რწმენას მისდიონ, რელიგიის და სარწმუნოების აკრედიტებული წარმომადგენლების მიერ ჩატარებულ ღვთისმსახურებას და შეხვედრებს დაესწრონ, კერძოდ, შეხვდნენ თავიანთი რელიგიის წარმომადგენლებს და საკუთრებაში იქონიონ თავის რელიგიასთან ან მრწამსთან დაკავშირებული ლიტერატურა ან წიგნები.

29.3 პატიმრებს არ უნდა აიძულებდნენ, მისდიონ რელიგიას ან სარწმუნოებას, დაესწრონ ღვთისმსახურებას ან შეხვედრებს, მიიღონ მონაწილეობა რელიგიურ ცერემონიაში ან შეხვდნენ რომელიმე რელიგიის ან სარწმუნოების წარმომადგენლებს.

ინფორმაცია

30.1 მიღებისას და შემდგომ, საჭიროებისამებრ, პატიმრებს ხშირად უნდა ეცნობოთ წერილობით და ზეპირად, მათთვის გასაგებ ენაზე, თავიანთი უფლებების, მოვალეობებისა და ციხის დისციპლინის მარეგულირებელი წესების შესახებ.

- 30.2 პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, საკუთრებაში იქონიონ მათთვის მიწოდებული ინფორმაციის წერილობითი ვერსია.
- 30.3 პატიმრებს უნდა შეატყობინონ მათთან დაკავშირებით მიმდინარე სამართალწარმოებისა თუ საპროცესო მოქმედებების შესახებ, ანდა, მსჯავრდებულების შემთხვევაში — მოსახდელი ვადისა და პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების შესაძლებლობების შესახებ.

პატიმრის საკუთრება

- 31.1 პატიმრის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ნივთი, რომელიც აკრძალულია ციხის შიდა რეგულაციებით (ნორმატიული აქტებით), შენახული უნდა იქნეს პატიმრის დაწესებულებაში მიღებისას.
- 31.2 პატიმარმა, რომლის საკუთრებაში არსებული ნივთები ინახება დაწესებულებაში, ხელი უნდა მოაწეროს ამ ნივთების ჩამონათვალს.
- 31.3 ამ საკუთრების კარგ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად უნდა გატარდეს ზომები.
- 31.4 თუ საჭიროდ იქნა ცნობილი ასეთი საკუთრების განადგურება, ეს უნდა დაფიქსირდეს და პატიმარს ეცნობოს ამის შესახებ.
- 31.5 პატიმრებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, შეიძინონ ან სხვაგვარად მიიღონ საქონელი, საკვების და სასმელის ჩათვლით, საკუთარი გამოყენებისთვის, ჰიგიენის, წესრიგისა და უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინებით, იმ ფასებში, რომლებიც ბევრად არ აღემატება თავისუფალ საზოგადოებაში არსებულ ფასებს.
- 31.6 თუ პატიმარი შემოიტანს მედიკამენტებს, ექიმმა უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორ მოხდეს მათი გამოყენება.
- 31.7 თუ პატიმრებს უფლება ეძლევათ, საკუთრებაში

არსებული ნივთები თან იქონიონ, დაწესებულების ხელმძღვანელობამ ზომები უნდა მიიღოს მათ დასაცავად.

პატიმართა გადაყვანა

- 32.1 პატიმრების გადაყვანისას ციხეში და ციხიდან, ან სხვა ადგილას, როგორცაა სასამართლო ან საავადმყოფო, ისინი რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ეჩვენონ საზოგადოებას. მათი ანონიმურობის დასაცავად სათანადო საშუალებები უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.
- 32.2 პატიმართა ტრანსპორტირება საბადრაგო მანქანით, რომელსაც არ აქვს ადეკვატური ვენტილაცია ან განათება, ან რომელიც მათ ზედმეტ ფიზიკურ დისკომფორტს ან უხერხულობას უქმნის, უნდა იქნეს აკრძალული.
- 32.3 პატიმართა ბადრაგირება უნდა განხორციელდეს საჯარო ხელისუფლების ხარჯებით და მითითებებით.

პატიმართა გათავისუფლება

- 33.1 ყველა პატიმარი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს პატიმრობის შესახებ სასამართლო ბრძანების ვადის გასვლის შემდგომ, ან როცა სასამართლო ან სხვა ორგანო მათი გათავისუფლების შესახებ აქტს გამოსცემს.
- 33.2 გათავისუფლების თარიღი და დრო უნდა დაფიქსირდეს.
- 33.3 ყველა პატიმარს უნდა გაენიოს შეღავათი მათი მომზადებისას გათავისუფლების შემდგომ თავისუფალ საზოგადოებაში დასაბრუნებლად.
- 33.4 გათავისუფლებისას ყველა ნივთი და ფული, რომელიც პატიმარს ეკუთვნის და რომელიც ჩამოერთ-

ვა შესანახად, უნდა დაუბრუნდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ფულის გამოტანა ხორციელდება ნებართვით ან ის გაიგზავნა დანესებულებიდან, ან საჭიროდ იქნა მიჩნეული ზოგიერთი ნივთის განადგურება, ჰიგიენური მოსაზრებებიდან გამომდინარე.

- 33.5 პატიმარი, მისი კუთვნილი ნივთების დაბრუნებისას, ხელს აწერს ქვითარს.
- 33.6 როდესაც გათავისუფლება წინასწარ ორგანიზებულია, პატიმარს უნდა შესთავაზონ სამედიცინო შემოწმება 42-ე წესის მიხედვით, გათავისუფლებამდე რაც შეიძლება ახლო ხანებში.
- 33.7 უნდა განხორციელდეს ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ გათავისუფლებისას პატიმრებს საჭიროებისამებრ ჰქონდეთ სათანადო დოკუმენტები და პირადობის დამადასტურებელი საბუთები, ასევე, მათ დახმარება უნდა გაეწიოთ შესაბამისი ბინისა და სამსახურის მოძებნაში.
- 33.8 უნდა გატარდეს სათანადო ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ გათავისუფლებისას პატიმრებს გააჩნდეთ არსებობის საშუალება, კლიმატისა და სეზონის შესაბამისი ტანსაცმელი, ასევე, დანიშნულების ადგილამდე მისაღწევი სახსრები.

ქალები

- 34.1 გარდა სპეციფიკური დებულებებისა, რომლებიც მოცემულია ამ წესებში და ეხება ქალ პატიმრებს, სასჯელალსრულების დაწესებულების ხელმძღვანელობა, ქალთა პატიმრობის რაიმე ასპექტთან მიმართებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას, ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს ქალთა საჭიროებებს, როგორცაა მათი ფიზიკური, პროფესიული, სოციალური და ფსიქოლოგიური საჭიროებები.

- 34.2 განსაკუთრებული ღონისძიებები უნდა გატარდეს იმ ქალ პატიმართა სპეციალური სამსახურების უზრუნველყოფისათვის, რომელთაც აქვთ 25.4 წესში მოცემული საჭიროებები.
- 34.3 პატიმარ ქალებს უნდა მიეცეთ საშუალება, იმშობიარონ ციხის გარეთ, მაგრამ, თუ ბავშვის დაბადება ხდება ციხეში, ხელმძღვანელობამ საჭირო დახმარება და ბაზა უნდა უზრუნველყოს.

პატიმარი არასრულწლოვნები

- 35.1 როცა, გამონაკლის შემთხვევებში, 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნები მოთავსებული არიან მოზრდილებისთვის განკუთვნილ ციხეში, ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა პატიმრისათვის განეული მომსახურებების გარდა, არასრულწლოვან პატიმრებს აგრეთვე გაენიოს სოციალური, ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო მომსახურება, რელიგიური მზრუნველობა და გაჯანსაღების ღონისძიებები, ან საზოგადოებაში ბავშვთათვის არსებულ მსგავსი პროგრამების ეკვივალენტური ღონისძიებები.
- 35.2 ყოველ არასრულწლოვან პატიმარს, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო განათლებას, ხელი უნდა მიუწვდებოდეს ასეთ განათლებაზე.
- 35.3 დამატებითი დახმარება უნდა გაენიოს ბავშვებს, რომელთა გათავისუფლება ხდება ციხიდან.
- 35.4 თუ არასრულწლოვნები მოთავსებული არიან ციხეში, ისინი უნდა იმყოფებოდნენ ცალკე განყოფილებაში, რომელიც გამოყოფილია მოზრდილი პატიმრებისათვის განკუთვნილი ნაწილისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მიჩნეულ იქნება, რომ ეს ბავშვის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ჩვილი ბავშვები

- 36.1 ჩვილი ბავშვები შეიძლება დატოვებულ იქნენ მშობლებთან ციხეში მხოლოდ მაშინ, თუ ეს ბავშვის აუცილებელ ინტერესებში შედის. მათ არ უნდა მოეპყრონ როგორც პატიმრებს.
- 36.2 როდესაც ჩვილებს უფლება აქვთ, ციხეში მშობლებთან ერთად იმყოფებოდნენ, განსაკუთრებულად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მათთვის ბავშვის არსებობა. ბავშვთა დაკომპლექტებული უნდა იყოს კვალიფიციური მომვლელით, სადაც ჩვილ ბავშვთა მოთავსება მოხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელი მონანიღობს ღონისძიებებში, რომლებზეც ბავშვთა დასწრება არ არის შესაძლებელი.
- 36.3 სპეციალური სადგომი უნდა იყოს გამოყოფილი ჩვილების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

უცხოელი მოქალაქეები

- 37.1 უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოთ, რომ აქვთ უფლება, მოითხოვონ კონტაქტი და სათანადო საშუალებები თავიანთი სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლებთან.
- 37.2 პატიმრები, რომლებიც არიან იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომელსაც არ გააჩნია აღნიშნულ სახელმწიფოში დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობა, არიან დევნილები ან მოქალაქეობის არმქონე პირები, უნდა იქნენ უზრუნველყოფილი მსგავსი საკომუნიკაციო საშუალებით იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან დასაკავშირებლად, რომელიც იცავს მათ ინტერესებს, ეროვნულ ან საერთაშორისო ხელმძღვანელობასთან, რომლის ამოცანაა ასეთი კატეგორიის პირების ინტერესების დაცვა.
- 37.3 ციხეში მყოფი უცხოელი მოქალაქეების ინტერე-

სებიდან გამომდინარე, რომელთაც შეიძლება გააჩნდეთ განსაკუთრებული საჭიროებები, ციხის ადმინისტრაციამ სათანადოდ უნდა ითანამშრომლოს ამ პატიმართა დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლებთან.

- 37.4 იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებით კონკრეტული ინფორმაცია უნდა მიენოდოს პატიმრებს, რომლებიც უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან.
- 37.5 პატიმრებს, რომლებიც უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან, უნდა ეცნობოთ იმის შესახებ, რომ მათ აქვთ თავიანთი სასჯელების სხვა ქვეყანაში აღსრულების მოთხოვნის შესაძლებლობა.

ეთნიკური ან ენობრივი უმცირესობები

- 38.1 ეთნიკური ან ენობრივი უმცირესობების წარმომადგენლების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სპეციალური ღონისძიებები უნდა გატარდეს.
- 38.2 სხვადასხვა ჯგუფების კულტურული პრაქტიკა შეძლებისდაგვარად უნდა გაგრძელდეს ციხეში.
- 38.3 ენასთან დაკავშირებული საჭიროებების დაკმაყოფილება უნდა მოხდეს კომპეტენტური თარჯიმნების მეშვეობით და კონკრეტულ ციხეში გამოყენებული სხვადასხვა ენაზე შესრულებული წერილობითი ინფორმაციის მიწოდებით.

ნაწილი III

ჯანმრთელობა

ჯანდაცვა

39. ციხის ხელმძღვანელობამ უნდა დაიცვას მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი პატიმრების ჯანმრთელობა.

ციხეში ჯანდაცვის ორგანიზაცია

- 40.1 ციხეში სამედიცინო სამსახური უნდა იყოს ორგანიზებული სახელმწიფოსა ან საზოგადოების ზოგადი ჯანდაცვის ადმინისტრაციასთან ახლო თანამშრომლობით.
- 40.2 ციხეებში ჯანდაცვის პოლიტიკა უნდა იყოს ინტეგრირებული და ეთავსებოდეს ეროვნული ჯანდაცვის პოლიტიკას.
- 40.3 პატიმრებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ქვეყანაში არსებულ ჯანდაცვის სამსახურზე, მათი სამართლებრივი მდგომარეობის საფუძველზე, დისკრიმინაციის გარეშე.
- 40.4 ციხეში სამედიცინო სამსახურები უნდა ცდილობდნენ, გამოიკვლიონ და უმკურნალონ ფიზიკურ და ფსიქიკურ დაავადებებს ან დეფექტებს, რომელიც პატიმრებს აწუხებს.
- 40.5 პატიმრებს უნდა გაეწიოთ ყველა საჭირო სამედიცინო, ქირურგიული და ფსიქიატრიული მომსახურება, მათ შორის ისეთიც, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფარგლებში ტარდება.

სამედიცინო და ჯანდაცვის პერსონალი

- 41.1 ყოველი ციხე უნდა სარგებლობდეს მინიმუმ ერთი კვალიფიციური თერაპევტის მომსახურებით.
- 41.2 ღონისძიებები უნდა გატარდეს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კვალიფიციური მედიცინის მუშაკი მუდმივად იყოს დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში.
- 41.3 თუ პატიმრებს არ ჰყავთ სრულ განაკვეთზე მომუშავე ექიმი, რეგულარულად უნდა დადიოდეს ნახევარ განაკვეთზე მომუშავე მედიცინის მუშაკი.
- 41.4 ყოველ ციხეს უნდა ჰყავდეს ჯანდაცვის სფეროში სათანადოდ მომზადებული სამედიცინო პერსონალი.

- 41.5 ყოველი პაციმრისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს კვალიფიციური სტომატოლოგისა და ოკულისტიის დახმარება.

ექიმის მოვალეობები

- 42.1 მედიცინის მუშაკი ან კვალიფიციური მედდა, რომელიც ანგარიშვალდებულია ექიმის წინაშე, უნდა ნახულობდეს პაციმრებს მათი მიღებიდან შეძლებისდაგვარად მალე და ჩაუტაროს მათ სამედიცინო გამოკვლევა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ამკარად არ წარმოადგენს აუცილებლობას.
- 42.2 მედიცინის მუშაკი ან კვალიფიციური მედდა, რომელიც ანგარიშვალდებულია ექიმის წინაშე, უნდა სინჯავდეს პაციმრებს თხოვნისამებრ გათავისუფლებისას, სხვა შემთხვევებში კი – საჭიროებისამებრ.
- 42.3 პაციმრის გასინჯვისას, მედიცინის მუშაკი ან კვალიფიციური მედდა განსაკუთრებული გულისხმიერებით უნდა მოეპყროს შემდეგ საკითხებს:
- ა. სამედიცინო საიდუმლოების ნორმალური წესების დაცვა;
 - ბ. ფიზიკური ან ფსიქიატრიული დაავადების დიაგნოზირება და მის სამკურნალოდ საჭირო ზომების მიღება, ასევე, მიმდინარე სამედიცინო მკურნალობის გაგრძელება;
 - გ. პაციმართა მიმართ ძალადობრივი მოპყრობის ნებისმიერი ნიშნის ან გამოვლინების დაფიქსირება და შესაბამისი ხელმძღვანელობისთვის შეტყობინება;
 - დ. ნარკოტიკების, მედიკამენტებისა და ალკოჰოლის გამოყენების შედეგად გამოვლენილი აბსტინენციის სიმპტომების მკურნალობა;
 - ე. თავისუფლების აღკვეთის ფაქტით გამოწვეული ნებისმიერი ფსიქოლოგიური ან სხვა სტრესული ნიშნების გამოვლენა;

- ვ. იმ პატიმრების იზოლირება, რომელთაც სავარაუდოდ აქვთ ინფექციური ან გადამდები დაავადებები ინფექციის პერიოდის განმავლობაში და მათთვის სათანადო მკურნალობის უზრუნველყოფა;
 - ზ. იმის უზრუნველყოფა, რომ აივ ინფექციით დაავადებული პატიმრების იზოლირება არ მოხდეს მხოლოდ ამ ნიშნით;
 - თ. იმ ფიზიკური და ფსიქიკური დეფექტების შენიშვნა, რომლებმაც შეიძლება შეაფერხონ გათავისუფლების შემდგომი ადაპტაციის პროცესი.
 - ი. ყოველი პატიმრის მდგომარეობის მუშაობისა და ვარჯიშისათვის შესაბამისობის დადგენა;
 - კ. საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებების მიღწევა ნებისმიერი აუცილებელი სამედიცინო და ფსიქიატრიული მკურნალობის გაგრძელების შესახებ გათავისუფლების შემდგომ, თუ პატიმრები თანხმობას განაცხადებენ ასეთ შეთანხმებაზე.
- 43.1 სამედიცინო მუშაკი უნდა ზრუნავდეს პატიმართა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში მიღებული სტანდარტებისა და პირობების შესაბამისი სიხშირით უნდა ნახულობდეს ავადმყოფ პატიმრებს, რომლებიც უჩივიან რაიმე დაავადებას ან დაზიანებას და ნებისმიერ პატიმარს, ვის მიმართაც განსაკუთრებული ყურადღების მიქცევაა საჭირო.
- 43.2 მედიცინის მუშაკი ან კვალიფიციური მედდა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს იმ პატიმართა ჯანმრთელობას, რომლებიც სამართლო პატიმრობაში იმყოფებიან. ასეთ პატიმრებს ყოველდღე უნდა ნახულობდეს, უწევდეს მათ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას და მკურნალობას მათივე ან ციხის თანამშრომელთა თხოვნით.
- 43.3 ექიმმა უნდა აცნობოს ციხის დირექტორს, თუკი

მიიჩნევს, რომ პატიმრის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობა სერიოზულ რისკს ექვემდებარება პატიმრობის გაგრძელების ან მისი რომელიმე პირობის გამო, სამართლო პატიმრობის ჩათვლით.

44. ექიმი ან სხვა კომპეტენტური პირი რეგულარულად უნდა ამოწმებდეს, აგროვებდეს ინფორმაციას სხვა სათანადო წყაროებიდან და რეკომენდაციას უწევდეს დირექტორს შემდეგზე:
- ა. საკვების და წყლის რაოდენობა, ხარისხი, მომზადება და მიწოდება;
 - ბ. დანესებულების და პატიმრების ჰიგიენა და სისუფთავე;
 - გ. სასჯელალსრულების დანესებულების სანიტარიული მდგომარეობა, გათბობა, განათება და ვენტილაცია;
 - დ. პატიმართა ტანსაცმლისა და ქვეშაგების სისუფთავე და გამოსადეგობა.
- 45.1 დირექტორმა უნდა განიხილოს ანგარიშები და რჩევა, რომელსაც მას წარუდგენს ექიმი და სხვა კომპეტენტური პირი, 43-ე და 44-ე წესების შესაბამისად, განუთლი რეკომენდაციების თანახმად, მიიღოს გადაუდებელი ზომები მათ განსახორციელებლად.
- 45.2 თუ სამედიცინო მუშაკის რეკომენდაციები არ შედის დირექტორის კომპეტენციაში, ან თუ დირექტორი მათ არ ეთანხმება, მან დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს აღნიშნული რჩევები და პირადი ანგარიში ზემდგომ ორგანოს.

ჯანდაცვის უზრუნველყოფა

- 46.1 ავადმყოფი პატიმრები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალისტის მკურნალობას, გადაყვანილ უნდა იქნენ სპეციალიზებულ დანესებულებებში ან სამოქალაქო საავადმყოფოში, თუკი ასეთი მკურნალობის შესაძლებლობა არ არსებობს ციხეში.

- 46.2 თუ სასჯელაღსრულების სამსახურს გააჩნია საკუთარი სტაციონარი, ის სათანადოდ უნდა იყოს დაკომპლექტებული და აღჭურვილი პატიმართათვის შესაბამისი მზრუნველობისა და მკურნალობის გასანეგად.

ფსიქიკური ჯანმრთელობა

- 47.1 სამედიცინო კონტროლს დაქვემდებარებული სპეციალიზებული სასჯელაღსრულების დაწესებულებები ან განყოფილებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფსიქიკური დაავადების ან გადახრების მქონე იმ პატიმართა გამოსაკვლევად და სამკურნალოდ, რომლებიც მე-12 წესის დებულებებს არ ექვემდებარებიან.
- 47.2 ციხის სამედიცინო სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ფსიქიატრიული მკურნალობა ასეთი საჭიროების მქონე ყველა პატიმრისთვის და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თვითმკვლელობების (სუიციდი) თავიდან აცილებას.

სხვა საკითხები

- 48.1 პატიმრები არ უნდა გახდნენ ექსპერიმენტის ობიექტი მათივე თანხმობის გარეშე.
- 48.2 პატიმრებზე ექსპერიმენტები, რომლებიც იწვევს ფიზიკურ დაზიანებას, ფსიქიკურ აშლილობას ან ჯანმრთელობის სხვაგვარ დაზიანებას, უნდა აიკრძალოს.

ნაწილი IV

წესრიგი

ზოგადად წესრიგის საკითხების შესახებ

49. ცხეში წესრიგის შენარჩუნება უნდა მოხდეს უსაფრთხოების, უშიშროების და დისციპლინის მოთხოვნების გათვალისწინებით, ამავე დროს, პატიმართათვის ისეთი საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა უნდა ხდებოდეს, რომლებიც ადამიანის ღირსებას პატივს სცემს, სთავაზობს მათ, 25-ე წესის შესაბამისად, ღონისძიებებით დატვირთულ პროგრამას.
50. წესრიგის, უსაფრთხოებისა და უშიშროების საჭიროებების გათვალისწინებით, პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, განიხილონ საკითხები, რომლებიც შეეხება პატიმრობის ზოგად პირობებს. პატიმრებს ხელი უნდა შეეწყოს ხელმძღვანელობასთან ამ საკითხების განხილვაში.

უშიშროება

- 51.1 ინდივიდუალური პატიმრების მიმართ გამოყენებული უშიშროების ზომები უნდა იყოს მინიმალური, რაც კი საჭიროა მათი უსაფრთხო პატიმრობისათვის.
- 51.2 უშიშროება, რომელიც დაცულია ფიზიკური ბარიერებით და სხვა ტექნიკური საშუალებებით, განმტკიცებული უნდა იყოს დინამიური უსაფრთხოების მეშვეობით, რომელსაც უზრუნველყოფს პერსონალი, რომლებიც კარგად იცნობენ მათი კონტროლის ქვეშ მყოფ პატიმრებს.
- 51.3 მიღებიდან შეძლებისდაგვარად მალე უნდა მოხდეს პატიმართა შეფასება, რათა განისაზღვროს რისკები:
 - ა. რამდენად სახიფათოა შეიძლება იყვნენ ისინი საზოგადოებისათვის, გაქცევის შემთხვევაში;

- ბ. რამდენად შეეცდებიან ისინი გაქცევას და-
მოუქიდებლად ან გარეშეთა დახმარებით.
- 51.4 ამის შედეგად, ყოველი პატიმარი უნდა იმყოფე-
ბოდეს იმგვარი უშიშროების პირობებში, რომელიც
შეესაბამება სათანადო რისკის დონეს.
- 51.5 საჭირო უშიშროების დონე უნდა გადაისინჯოს
რეგულარული ინტერვალებით, პირის პატიმრობის
მთელი ვადის განმავლობაში.

უსაფრთხოება

- 52.1 მიღებიდან შეძლებისდაგვარად მალე, უნდა მოხ-
დეს პატიმრების შეფასება, რათა განისაზღვროს,
უქმნიან თუ არა საფრთხეს სხვა პატიმრების, ასევე
ციხის პერსონალის, ამ დაწესებულებაში მომუშავე
ან ვიზიტად მყოფი პირების უსაფრთხოებას, ან
რამდენადაა მოსალოდნელი, მიმართონ თვითდა-
ზიანებას.
- 52.2 უნდა არსებობდეს და მოქმედებდეს პროცედურე-
ბი, რომლებიც უზრუნველყოფს პატიმართა, ციხის
პერსონალის და ყველა ვიზიტორის უსაფრთხოებას
და მინიმუმამდე შეამციროს ძალადობის რისკი ან
უსაფრთხოების ხელმყოფი სხვა ინციდენტები.
- 52.3 ყოველნაირი ძალისხმევა უნდა გატარდეს, რათა
ყველა პატიმარს საშუალება მიეცეს, უსაფრთხოდ
სრული მონაწილეობა მიიღოს ყოველდღიურ
ღონისძიებებში.
- 52.4 პატიმრებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, დაუკა-
ვშირდნენ ციხის თანამშრომლებს დღე-ღამის ნები-
სმიერ დროს;
- 52.5 ციხეების უსაფრთხოება უნდა რეგულირდებოდეს
ეროვნული კანონმდებლობით.

უსაფრთხოების გაძლიერებული ღონისძიებები

- 53.1 უსაფრთხოების გაძლიერებული ღონისძიებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.
- 53.2 დანესებულებაში უნდა არსებობდეს პროცედურები, რომლებიც დაცული უნდა იქნეს ნებისმიერი პატიმრის მიმართ უსაფრთხოების გაძლიერებული ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში.
- 53.3 უსაფრთხოების გაძლიერებული ღონისძიების ხასიათი, ხანგრძლივობა და საფუძველი, რომლის გამოც შეიძლება გამოყენებული იყოს სპეციალური ზომები, განისაზღვრება ეროვნული კანონმდებლობით.
- 53.4 უსაფრთხოების გაძლიერებული ღონისძიებების გამოყენება თითოეულ შემთხვევაში უნდა იყოს ნებადართული შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ დროის განსაზღვრული პერიოდისათვის.
- 53.5 ნებისმიერი გადაწყვეტილება 53.4 წესში აღნიშნული დროის გაგრძელების შესახებ დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი კომპეტენტური თანამდებობის პირის მიერ.
- 53.6 უსაფრთხოების გაძლიერებული ღონისძიებები პატიმრების მიმართ გამოყენებული უნდა იყოს ინდივიდუალურად და არა ჯგუფურად.
- 53.7 ნებისმიერი პატიმარი, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა ასეთი სახის ღონისძიება, უნდა სარგებლობდეს საჩივრის უფლებით, რომელიც მოცემულია 70-ე წესში.

ჩხრეკა და კონტროლი

- 54.1 ეროვნული კანონმდებლობა დეტალურად უნდა განსაზღვრავდეს პროცედურებს, რომელიც უნდა გამოიყენონ დანესებულების თანამშრომლებმა შემდეგ ადგილებში ჩხრეკის ჩატარების დროს:

- ა. პატიმრის საცხოვრებელი ყველა ადგილი, სა-
მუშაო და შეხვედრის ადგილები;
 - ბ. პატიმრების სხეული;
 - გ. მსჯავრდებულის ახლობლები და მათი სა-
კუთრება;
 - დ. დაწესებულების თანამშრომლები.
- 54.2 სიტუაცია, რომელშიც ასეთი ჩხრეკის ჩატარება
აუცილებელია, აგრეთვე, ასეთი ღონისძიების ხა-
სიათი უნდა განისაზღვროს ეროვნული კანონმდე-
ბლობით.
- 54.3 დაწესებულების თანამშრომლებმა უნდა აითვი-
სონ ჩხრეკის ჩატარების ის სპეციფიკა, რომელიც
უზრუნველყოფს გაქცევის ნებისმიერი მცდელო-
ბის პრევენციას ან კონტრაბანდის დამალვას.
იმავედროულად, დაცული უნდა იყოს იმ ადამიან-
ების ღირსების პატივისცემა, რომლებსაც ჩხრეკა
უტარდებათ.
- 54.4 პირები, რომელთაც ჩხრეკა უტარდებათ, არ
შეიძლება მოცემულ პროცესში იყვნენ შეურა-
ცხყოფილნი.
- 54.5 პირებს შეიძლება ჩხრეკა ჩაუტარდეთ მხოლოდ
დაწესებულების იმავე სქესის თანამშრომლის მიერ.
- 54.6 არ შეიძლება პატიმრების შიდა სხეულის ჩხრეკა
ჩატარებული იყოს დაწესებულების თანამშრომლის
მიერ.
- 54.7 სხეულის ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ
პრაქტიკოსი ექიმის მიერ.
- 54.8 პატიმრები უნდა ესწრებოდნენ მათი პირადი
ნივთების ჩხრეკის პროცესს, გარდა იმ შემთხ-
ვევისა, როდესაც დაწესებულების ადმინისტრაცია
კრძალავს ამას საგამოძიებო ტექნიკის მიზნებით
ან პოტენციური საფრთხის არსებობის გამო.
- 54.9 უსაფრთხოებისა და უშიშროების დაცვის ვალდებ-
ულება არ შეიძლება არღვევდეს ვიზიტორების პი-
რად ხელშეუხებლობას.

54.10 პროფესიული ვიზიტების კონტროლთან დაკავშირებით გადანყვეტილება – როგორცაა დამცველი, სოციალური მუშაკი, ექიმი და ა.შ. – მიღებული უნდა იქნეს მათ პროფესიულ ორგანიზაციებთან კონსულტაციის შემდეგ, რათა დაბალანსებული იყოს უსაფრთხოება და უშიშროება კონფიდენციალურ პროფესიულ ხელმისაწვდომობასთან.

სისხლის სამართლის დანაშაულები

55. ციხეში ჩადენილი დანაშაული გამოძიებული უნდა იქნეს იგივე პროცედურებით, როგორც ეს იქნებოდა ჩვეულებრივ საზოგადოებაში ჩადენილი დანაშაულისას. გამოძიების პროცედურები უნდა ჩატარდეს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

დისციპლინა და დასჯა

56.1 დისციპლინური სასჯელი გამოყენებულ უნდა იყოს, როგორც უკიდურესი საშუალება.

56.2 ციხის ადმინისტრაციამ უნდა გამოიყენოს მედიაციის ყველა შესაძლებლობა, რათა გადაჭრას კამათი პატიმრებთან და პატიმრებს შორის.

57.1 მხოლოდ ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის წესრიგს, უსაფრთხოებას და უშიშროებას, შეიძლება ჩაითვალოს როგორც დისციპლინური გადაცდომა.

57.2 ეროვნული კანონმდებლობა უნდა განსაზღვრავდეს, რომ:

ა. პატიმარი დაუყოვნებლივ იყოს ინფორმირებული იმ ენაზე რომელიც გასაგებია მისთვის და დეტალურად ჰქონდეს მინოდებული ინფორმაცია იმ დანაშაულის შესახებ, რომელშიც ბრალი ედება;

ბ. პატიმარს გააჩნდეს ადეკვატური დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს დასაცავად;

- გ. პატიმარი იყოს უფლებამოსილი, დაიცვას თავი თვითონ ან ადვოკატის მეშვეობით, როდესაც სამართლიანობის ინტერესები ამას მოითხოვს;
 - დ. პატიმარი იყოს უფლებამოსილი, მოითხოვოს დამსწრეთა ყოფნა სასამართლო მოსმენებზე და მოითხოვოს მათი დაკითხვა;
 - ე. პატიმარს გააჩნდეს თავისუფალი ხელმისაწვდომობა თარჯიმანზე, თუ მას არ შეუძლია გაიგოს ან ისაუბროს იმ ენაზე, რომელიც გამოიყენება სასამართლო მოსმენისას.
- 60.1 ნებისმიერი სასჯელი, რომელიც შეფარდებული აქვს მსჯავრდებულს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის შემდეგ, შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნულ კანონმდებლობასთან.
- 60.2 ნებისმიერი სასჯელის სიმკაცრე უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის პროპორციული.
- 60.3 დასჯის თვალსაზრისით აკრძალულია: კოლექტიური და სხეულებრივი სასჯელი, დასჯა, რომელიც ითვალისწინებს ბნელ საკანში პირის მოთავსებას, სხვა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა დასჯის თვალსაზრისით.
- 60.4 სასჯელი არ შეიძლება მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას.
- 60.5 სასჯელის სახით კარცერში მოთავსება პატიმარს შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და მხოლოდ დროის განსაზღვრული პერიოდისათვის, რომელიც უნდა იყოს რაც შეიძლება ხანმოკლე.
- 60.6 დაუშვებელია უშიშროების ღონისძიების გამოყენება სასჯელის სახით.
- 61.1 პატიმარს, რომელსაც შეფარდებული აქვს დისციპლინური სასჯელი, უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, მიმართოს კომპეტენტურ და დამოუკიდებელ უმაღლეს ორგანოს.

- 61.2 ციხეში მყოფი პატიმარი არ შეიძლება იყოს დაწესებულების თანამშრომელი, ან გააჩნდეს დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ მიცემული სპეციალური უფლებამოსილება, რაიმე დისციპლინური დამსახურების საფუძველზე.

ორმაგი საშიშროება/საფრთხე

პატიმარი არ შეიძლება დაისაჯოს ორჯერ ერთსა და იმავე ქმედებისათვის.

ძალის გამოყენება

- 64.1 ციხის ადმინისტრაციამ არ შეიძლება გამოიყენოს ძალა პატიმრების წინააღმდეგ, გარდა თავდაცვის ან გაქცევის მცდელობის შემთხვევებისა, აგრეთვე, აქტიური ან პასიური ფიზიკური წინააღმდეგობისას, კანონის ფარგლებში და ყოველთვის როგორც უკანასკნელი ღონისძიება.
- 64.2 გამოყენებული ძალის ხარისხი უნდა იყოს საჭიროების მინიმუმი და გამოყენებულ იქნეს დროის ძალზედ მცირე პერიოდში.
65. უნდა არსებობდეს დეტალური პროცედურები ძალის გამოყენების შესახებ, შემდეგი პირობების ჩათვლით:
- ა. სხვადასხვა ძალა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს;
 - ბ. გარემოებები, რომელშიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონკრეტული სახეობის ძალა;
 - გ. ციხის თანამშრომლები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ სხვადასხვა სახის ძალა;
 - დ. რომელი ღონის თანამდებობის პირი გასცემს ნებართვას ძალის გამოყენების წინ ძალის გამოყენებაზე; და

- ე. ანგარიში ძალის გამოყენების შესახებ უნდა შედგეს მისი დასრულებისთანავე.
66. ციხის თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ პატიმრებთან მუშაობენ, უნდა გადიოდნენ სპეციალურ წვრთნას იმ ტექნიკურ საჭიროებებში, რომელიც უზრუნველყოფს ძალის შემდგომ გამოყენებას გარკვეული შეზღუდვების მიზნით, იმ პატიმრების მიმართ, რომლებიც არიან აგრესიულები.
- 67.1 სხვა სამართალდამცავი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელი შეიძლება ჩაერიოს ციხის შიგნით პატიმრებთან ურთიერთობაში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.
- 67.2 ასეთი სახის ურთიერთობა უნდა იყოს რეგულირებული ციხის ადმინისტრაციისა და სამართალდამცავი სახელმწიფო ორგანოს შორის დადებული შეთანხმებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ურთიერთობა უკვე აღარ რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით.
- 67.3 ასეთი შეთანხმება უნდა მოიცავდეს:
- ა. იმ გარემოებებს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც, შეიძლება სამართალდამცავი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლები შევიდნენ ციხეში კონკრეტული კონფლიქტის გადასაწყვეტად;
 - ბ. უფლებამოსილების ხარისხს, რომელიც უნდა გააჩნდეთ ასეთი სამართალდამცავი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლებს მათი ციხეში ყოფნისას;
 - გ. სხვადასხვა სახის ძალას, რომელიც შეიძლება გამოიყენოს ასეთი ორგანოს წარმომადგენელმა;
 - დ. ის გარემოებები, რომლის არსებობისასაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონკრეტული სახის ძალა;

- ე. თანამდებობის პირი, რომელიც გასცემს ძალის გამოყენების ნებართვას; და
- ვ. ანგარიში ძალის გამოყენების შესახებ უნდა შედგეს ძალის გამოყენების დასრულებისთანავე.

უშიშროების ღონისძიებები

- 68.1 ჯაჭვებისა და გაზის გამოყენება უნდა აიკრძალოს;
- 68.2 ხელბორკილების, დამანყნარებელი პერანგის და შეზღუდვის სხვა საშუალებები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:
 - ა. როდესაც აუცილებელია მისი გამოყენება, როგორც უსაფრთხოების ზომა გაქცევის საწინააღმდეგოდ, პატიმართა სასამართლოსა ან სხვა ადმინისტრაციულ სტრუქტურაში გადაყვანისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ციხის ადმინისტრაცია მიიღებს სხვაგვარ გადაწყვეტილებას;
 - ბ. ციხის დირექტორის ბრძანებით, თუ კონტროლის სხვა ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფს პატიმრის დაცვას თვითდაზიანებისაგან ან პატიმრის მიერ გარშემომყოფთა დაზიანებას, აგრეთვე იმისათვის, რომ აღკვეთილ იქნეს საკუთრების დაზიანება. ასეთ შემთხვევებში, ციხის დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს ექიმს და ციხის ადმინისტრაციას.
- 68.3 უშიშროების ღონისძიებები არ შეიძლება გამოიყენებოდეს იმაზე მეტ ხანს, ვიდრე ეს აუცილებელია.
- 68.4 უშიშროების ღონისძიების გამოყენების წესს უნდა განსაზღვრავდეს ეროვნული კანონმდებლობა.

იარაღი

- 69.1 გადაუდებელი საჭიროების შემთხვევების გარდა, ციხის თანამშრომელმა არ უნდა ატაროს სასიკვდილო იარაღი ციხის შიდა პერიმეტრზე.

- 69.2 ციხის პერიმეტრზე უნდა აიკრძალოს იარაღის ღიად ტარება, ხელკეტის ჩათვლით, იმ პირების მიერ, რომლებიც კონტაქტში იმყოფებიან პატიმრებთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია უსაფრთხოებისა და უშიშროების მოსაზრებებით კონკრეტული ინციდენტის არსებობისას.
- 69.3 ციხის თანამშრომლები არ უნდა ატარებდნენ იარაღს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათ გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება.
- 70.1 პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი შესაძლებლობა, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად მიმართონ საჩივრით ან მოთხოვნით ციხის დირექტორს ან სხვა კომპეტენტურ ორგანოს.
- 70.2 თუ, სავარაუდოდ, ჩანს, რომ მედიაცია ამართლებს, იგი გამოყენებული უნდა იყოს პირველ რიგში.
- 70.3 თუ მოთხოვნა ან საჩივარი უარყოფილი იქნა, პატიმარს უნდა განემარტოს მიზეზები და მიეცეს შესაძლებლობა, მიმართოს საჩივრით დამოუკიდებელ ორგანოს.
- 70.4 პატიმარი არ შეიძლება დაისაჯოს მოთხოვნით ან საჩივრით მიმართვის გამო.
- 70.5 შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს პატიმრის ახლობელთა საჩივრები, როდესაც მათ აქვთ საფუძველი, იფიქრონ, რომ დაირღვა პატიმრის უფლებები.
- 70.6 არ შეიძლება პატიმრის ადვოკატმა ან ორგანიზაციამ, რომელიც ზრუნავს პატიმრის კეთილდღეობაზე, შეიტანოს საჩივარი პატიმრის მაგნიტრად, მისი თანხმობის გარეშე.
- 70.7 პატიმრებს შეუძლიათ მოითხოვონ სამართლებრივი რჩევა საჩივრებსა და საჩივრებით მიმართვების პროცედურებთან დაკავშირებით, აგრეთვე, სამართლებრივი დახმარება, როდესაც ამას მოითხოვს სამართლიანობა.

ნაწილი V

მენეჯმენტი (ციხის მართვა) და დაწესებულების თანამშრომლები

ციხე, როგორც საჯარო სამსახური

71. ციხეებს უნდა გააჩნდეთ დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა და გამოყოფილი იყვნენ საჯარისო, საპოლიციო და სხვა სისხლის სამართლის საგამოძიებო სამსახურებიდან.
- 72.1 ციხეები უნდა იმართებოდეს შესაბამისი ეთიკური ნორმებით, რომელიც აღიარებს ვალდებულებას, პატიმრებს მოეპყრონ ადამიანურად და პატივი სცენ მის ადამიანურ ღირსებას.
- 72.2 ციხის თანამშრომლებმა უნდა გამოაცხადონ ციხის სისტემის გარკვეული, ზუსტი მიზანი. მენეჯმენტმა უნდა განსაზღვროს, თუ როგორ შეიძლება იქნეს მიღწეული ეს მიზანი.
- 72.3 ციხის თანამშრომლების ვალდებულებები გაზრდილია და, შესაბამისად, გათვალისწინებული უნდა იყოს იმის საჭიროება, რომ დაეხმარონ პატიმრებს სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებრივ რეინტეგრაციაში, დახმარებისა და სხვა პოზიტიური პროგრამების საშუალებით.
- 72.4 ციხის თანამშრომლები უნდა მოქმედებდნენ მაღალი პროფესიონალიზმის სტანდარტებით.
73. ციხის ადმინისტრაციის პრიორიტეტი უნდა იყოს, ზუსტად შეასრულოს ციხის თანამშრომლებთან დაკავშირებული წესები.
74. განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს ურთიერთობების მართვას ციხის მმართველ და მათთვის დაქვემდებარებულ თანამშრომლებს შორის.
75. ციხის თანამშრომლები ყოველთვის უნდა იქცეოდნენ და ასრულებდნენ საკუთარ ვალდებულებებს

ისე, რომ გავლენა მოახდინონ პატიმრებზე და იყვნენ კარგი მაგალითი, აგრეთვე, დაიმსახურონ პატივისცემა.

ციხის თანამშრომელთა შერჩევა

76. ციხის თანამშრომლები უნდა იყვნენ სათანადოდ შერჩეულნი და განვრთნილი, როგორც სანყის ასევე შემდგომ სტადიაზე. თანამშრომლებს უნდა გაჩნდეთ პროფესიონალი მუშაკების შესაბამისი ანაზღაურება და ჰქონდეთ ისეთი სტატუსი, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოება პატივს სცემს.
77. როდესაც ხდება ახალი თანამშრომლების შერჩევა, ციხის ადმინისტრაციამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ინტეგრაციის, ადამიანურობის და პროფესიონალიზმის მხარეებზე, აგრეთვე, პერსონალურ შესაბამისობაზე კომპლექსური სამუშაოსათვის, რომელიც მათ უნდა შეასრულონ შემდგომში.
78. ციხის პროფესიონალი თანამშრომლები, როგორც წესი, უნდა ინიშნებოდნენ მუდმივ სანყისებზე და ჰქონდეთ საჯარო მოსამსახურის სტატუსი, შესაბამისი დაცვის უზრუნველყოფით. აგრეთვე, უნდა იყვნენ აქტიურნი, კარგი ქცევის, კარგი ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის და ადეკვატური განათლების მქონენი.
- 79.1 ციხის თანამშრომელთა ხელფასები უნდა იყოს ადეკვატური, რათა მიიზიდოს და შეინარჩუნოს შესაბამისი თანამშრომლები.
- 79.2 არსებული პირობები და სარგებელი უნდა ასახავდეს აღნიშნული სამსახურის, როგორც სამართალდამცავი ორგანოს, ზუსტ ბუნებას.
80. როდესაც საჭიროა ნახევარ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლები, ეს კრიტერიუმი შესაბამისად უნდა იყოს გამოყენებული.

დაწესებულების თანამშრომელთა ტრენინგები

- 81.1 ციხის შერჩეულმა თანამშრომლებმა სამსახურის დაწყებამდე უნდა გაიარონ სპეციალური მომზადება მათ ზოგად და სპეციფიკურ ვალდებულებებში, აგრეთვე, უნდა მოეთხოვოთ, ჩააბარონ თეორიული და პრაქტიკული გამოცდები.
- 81.2 მენეჯმენტი ისე უნდა იყოს წარმართული, რომ თანამშრომლებმა შეძლონ საკუთარ პროფესიონალიზმზე ზრუნვა, განიმტკიცონ ცოდნა და პროფესიული დონე სხვადასხვა ტრენინგში მონაწილეობით.
- 81.3 ციხის თანამშრომლები, რომლებმაც, სავარაუდოდ, უნდა იმუშაონ პატიმართა სპეციფიკურ ჯგუფებთან, როგორებიც არიან უცხოელები, ქალები, არასრულწლოვანი ან გონებრივი შეზღუდულობის მქონე პატიმრები, მომზადებულ უნდა იქნენ იმ სპეციფიკურ საკითხებში, რომელიც გამომდინარეობს მათი სამუშაოს ხასიათიდან.
- 81.4 ციხის თანამშრომელთა ტრენინგები უნდა მოიცავდეს ინსტრუქციებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტების შესახებ, განსაკუთრებით ციხის ევროპულ წესებს.

ციხის მართვა

82. ციხის თანამშრომლები უნდა შეირჩნენ და დაინიშნონ თანასწორობის პრინციპის დაცვით, მიუხედავად მათი კანის ფერისა, რასისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, ეროვნული და ეთნიკური წარმომავლობისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა, სოციალური მდგომარეობისა, საკუთრებისა, დაბადებისა და სხვა სტატუსისა.
83. ციხის ადმინისტრაციამ ისე უნდა მართოს ციხე, რომ:

- ა. უზრუნველყოფილი იყოს ციხეების მართვა საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებთან შესაბამისობაში, და
- ბ. უზრუნველყოფილი იყოს კარგი დამოკიდებულება ციხეებს შორის, ასევე, სხვადასხვა დონის თანამშრომელთა შორის შესაბამის ციხეში. აღნიშნული, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოფდეს ციხეებში პატიმრებზე ზრუნვას და მათ რეინტეგრაციას.
- 84.1 ყველა ციხეს უნდა ჰყავდეს დირექტორი, რომელსაც ექნება შესაბამისი კვალიფიკაცია, ადმინისტრაციული და ორგანიზაციული თვისებები, შესაბამისი პროფესიული უნარები და გამოცდილება.
- 84.2 დირექტორი უნდა დაინიშნოს მუდმივ სამუშაო განაკვეთზე და მან უნდა მიუძღვნას საკუთარი სამუშაო საათები ოფიციალურად დაკისრებულ ვალდებულებებს.
- 84.3 ციხის სისტემის ხელმძღვანელობა უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა ციხეს ჰყავს დირექტორი, რომელიც შესაბამისად მუშაობს, აგრეთვე, დირექტორის მოადგილეები და სხვა ოფიციალური ხელმძღვანელობა.
- 84.4 თუ დირექტორს აკისრია პასუხისმგებლობა ერთზე მეტ ციხეზე, უნდა არსებობდნენ ადამიანები, რომელთაც ექნებათ იმავდროულად თითოეულ კონკრეტულ ციხეზე პასუხისმგებლობა.
85. უნდა გატარდეს ზომები ციხის თანამშრომლებში გენდერული ბალანსის მისაღწევად.
86. ციხის მენეჯმენტთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები განხილული უნდა იყოს ციხის თანამშრომლებთან ერთად იმ სპეციფიკურ საქმიანობებზე, რომლებსაც ისინი ასრულებენ.
- 87.1 ასეთი ტიპის განხილვები უნდა მოენწყოს ისე, რომ პერსონალი ნაახალისოს ურთიერთთანამშრომ-

ლობაზე, აგრეთვე, სხვა ციხის თანამშრომლებთან, დაწესებულებებსა და პატიმრებთან ურთიერთობების გაღრმავებაზე.

- 87.2 ციხის დირექტორი, ციხის მმართველები და სხვა თანამშრომლები უნდა საუბრობდნენ ციხეში მოთავსებულ პატიმართა უმრავლესობის ენაზე, ან იმ ენაზე, რომელიც მათ ესმით.
88. იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს პირადი/კომერციული ციხეები, ციხის ევროპული წესები უნდა მოქმედებდეს ერთპიროვნულად.

სპეციალიზირებული თანამშრომლები

- 89.1 რომელ ციხეშიც შესაძლებელია, უნდა არსებობდნენ სხვადასხვა სპეციალიზაციის თანამშრომლები: ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, მასწავლებლები, აგრეთვე, ფიზკულტურის, სპორტის და სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ინსტრუქტორები.
- 89.2 რომელ ციხეშიც შესაძლებელია, ნახევარ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლები ნახალისებულ უნდა იქნენ, რათა მათ საკუთარი წვლილი შეიტანონ პატიმართა აქტიურობაში.

საზოგადოებრივი ცნობიერება

- 90.1 ციხის სისტემის ხელმძღვანელობამ მუდმივად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას ციხის სისტემის მიზნებისა და იმ სამუშაოს შესახებ, რომელსაც ციხის თანამშრომლები ასრულებენ. აღნიშნული უნდა განხორციელდეს იმისათვის, რათა ამაღლდეს საზოგადოებრივი ცნობიერება ციხის სისტემასთან მიმართებით და მის როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
- 90.2 ციხის სისტემათა ხელმძღვანელობამ უნდა წახალისოს საზოგადოების წევრები, რათა გამოიჩინონ

ენტუზიაზმი და შეასრულონ გარკვეული სამუშაოები ციხეში, სადაც ეს შესაძლებელია.

კვლევა და შეფასება

91. ციხის სისტემათა ხელმძღვანელობამ მხარი უნდა დაუჭიროს ციხეებში კვლევისა და შეფასების პროგრამებს, რომლებიც ხორციელდება ციხის სისტემის გაძლიერების და მისი როლის ამაღლებით მიზნით დემოკრატიულ საზოგადოებაში. აგრეთვე, უნდა გააფართოვოს მისი მანდატი გამოკვლევისა და შეფასების სრულად განხორციელების მიზნით.

ნაწილი VI

ინსპექცია და მონიტორინგი

სახელმწიფო ინსპექცია

92. ციხეები მუდმივად უნდა იყვნენ ინსპექტირებული სახელმწიფო ორგანოს მიერ, რათა შეფასდეს ციხის მართვა და ადმინისტრირება საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

დამოუკიდებელი მონიტორინგი

- 93.1 თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და პატიმართა მოპყრობაზე უნდა ხორციელდებოდეს მონიტორინგი დამოუკიდებელი ორგანოს ან ორგანოების მიერ, რომლებიც საჯაროდ უნდა აცხადებდნენ აღმოჩენილი გარემოებების შესახებ.
- 93.2 ასეთი დამოუკიდებელი ორგანო ან ორგანოები უნდა წახალისდნენ და თანამშრომლობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც აგრეთვე უფლებამოსილი არიან, განახორციელონ მონიტორინგის ვიზიტები ციხეებში.

ნაწილი VII

მიუსჯელი პატიმრები (ბრალდებულები)

მიუსჯელი პატიმრების სტატუსი

- 94.1 ციხის ევროპული წესების მიზნებისათვის, მიუსჯელი პატიმრები არიან ის პირები, რომლებიც იმყოფებიან ციხეში სასამართლოს მიერ საბოლოო განაჩენის გამოტანამდე.
- 94.2 სახელმწიფოს შეუძლია პატიმრები მიიჩნიოს მიუსჯელად იმ შემთხვევაშიც, თუ მათ მიმართ სააპელაციო/საკასაციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება არ გამოუტანია.

მიუსჯელი პატიმრებისადმი მიდგომა

- 95.1 მიუსჯელი პატიმრებისთვის არსებული რეჟიმი არ უნდა გულისხმობდეს იმას, რომ პატიმრები შესაძლოა მომავალში გახდნენ მსჯავრდებულები.
- 95.2 ციხის წესების ამ ნაწილში მოცემული დებულებები წარმოადგენს დამატებითი უსაფრთხოების გარანტიებს მიუსჯელი პატიმრებისათვის.
- 95.3 წინასწარი პატიმრობის ციხეების ადმინისტრაციამ უნდა იხელმძღვანელოს ამ წესებით და ნება დართოს პატიმრებს, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობაში, რომლებიც მოცემულია წინამდებარე წესებში.

განთავსება

96. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ შეიძლება ამის პრაქტიკაში გატარება, მიუსჯელ პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, აირჩიოს, სურს თუ არა ოთახში მარტო ცხოვრება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეიძლება უკეთესი იყოს მიუსჯელ პატიმართან ერთად მისი ცხოვრება, ან სასამართლოს მიუსჯელი პატიმრის განთავსებასთან დაკავშირებით მიღებული აქვს სპეციალური გადაწყვეტილება.

ტანსაცმელი

- 97.1 მიუსჯელი პატიმრები უფლებამოსილნი უნდა იყვნენ, ატარონ საკუთარი ტანსაცმელი, თუ ეს კონკრეტულ ციხეში ყოფნის შესაბამისია.
- 97.2 იმ მიუსჯელ პატიმრებს, რომელთაც არ გააჩნიათ საკუთარი ტანსაცმელი, უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ციხის ადმინისტრაციის მიერ უნიფორმით, რომელიც, თავის მხრივ, უნდა იყოს ისეთივე, როგორსაც ატარებენ მისჯილი პატიმრები ციხეებში.

სამართლებრივი დახმარება

- 98.1 მიუსჯელი პატიმრები უნდა იყვნენ სრულად ინფორმირებულნი მათი უფლების შესახებ სამართლებრივი რჩევის მიღების თაობაზე.
- 98.2 ყველა ციხის შენობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი იმისათვის, რომ მიუსჯელ პატიმრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოემზადონ დასაცავად და შეხვდნენ საკუთარ წარმომადგენლებს/იურისტებს.

კონტაქტი გარესამყაროსთან

99. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სასამართლოს სპეციალური გადაწყვეტილება დროის განსაზღვრულ პერიოდზე და, კონკრეტულ შემთხვევებში, მიუსჯელ პატიმრებზე:
- ა. უნდა ჰქონდეთ ვიზიტები და იყვნენ უფლებამოსილნი, იკონტაქტონ საკუთარ ოჯახთან და სხვა პირებთან ისეთივე წესების დაცვით, როგორც მისჯილმა პატიმრებმა;
 - ბ. უნდა გააჩნდეთ დამატებითი ვიზიტები და ხელმისაწვდომობა სხვა სახის კომუნიკაციაზე; და
 - გ. უნდა გააჩნდეთ ხელმისაწვდომობა წიგნებზე, გაზეთებსა და სხვა საინფორმაციო საშუალებებზე.

სამუშაო

- 100.1 მიუსჯელ პატიმრებს უნდა შესთავაზონ სამუშაო, მაგრამ არ შეიძლება მოეთხოვოთ მუშაობა.
- 100.2 თუ მიუსჯელი პატიმარი გადაწყვეტს, რომ იმუშაოს, ამ წესების 26-ე წესი უპირობოდ გამოიყენება მის მიმართ, რაც მოიცავს მისთვის შესრულებულ სამუშაოს ანაზღაურებას.

მისჯილი პატიმრების ხელმისაწვდომობა რეჟიმებზე

101. თუ მიუსჯელი პატიმარი მოითხოვს, რომ ნება დაერთოს, ისარგებლოს იგივე რეჟიმით, რაც დადგენილია მისჯილი პატიმრებისათვის, ციხის ადმინისტრაციამ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნა.

ნაწილი VIII

რეჟიმის მიზნები მისჯილი პატიმრებისათვის

- 102.1 იმ წესების გარდა, რომლებიც ყველა პატიმარზე ვრცელდება, მისჯილი პატიმრებისათვის რეჟიმი ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ მათ შესაძლებლობა მიეცეთ, პასუხისმგებლობა აიღონ დანაშაულის ჩადენის გარეშე ცხოვრებაზე.
- 102.2 პატიმრობა თავისთავად არის თავისუფლების აღკვეთა სასჯელის სახით და, აქედან გამომდინარე, რეჟიმი მისჯილი პატიმრებისათვის არ უნდა იყოს დამამძიმებელი გარემოება, გამონვეული პატიმრობის გამო.

რეჟიმის იმპლემენტაცია მისჯილი პატიმრებისათვის

- 103.1 მისჯილი პატიმრისათვის რეჟიმი უნდა იწყებოდეს იმ მომენტიდან, როდესაც იგი ციხეში მოთავსდება მისჯილის/მსჯავრდებულის სტატუსით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რეჟიმი იწყება უფრო ადრე.

- 103.2 ასეთი ნებართვის მიღებისთანავე (დანყებულ იქნეს რეჟიმის აღსრულება), უნდა შემუშავდეს და გაინეროს ანგარიში თითოეული პატიმრისათვის მათი პიროვნული მდგომარეობის შესახებ, შემოთავაზებული უნდა იყოს პერსონალური გეგმა თითოეული პატიმრის სასჯელის მოხდასთან დაკავშირებით და, აგრეთვე, სტრატეგია პატიმართა გათავისუფლებისათვის მომზადებისა და მათი საზოგადოებაში დაბრუნების თაობაზე.
- 103.3 მისჯილი პატიმრები ნახალისებულნი უნდა იყვნენ, რომ მონაწილეობა მიიღონ სასჯელის მოხდის შესახებ მათი ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაში.
- 103.4 ასეთი გეგმა, რამდენადაც მისი პრაქტიკაში გატარება შესაძლებელია, უნდა მოიცავდეს:
- ა. სამუშაოს;
 - ბ. განათლებას;
 - გ. სხვა აქტივობებს;
 - დ. გათავისუფლებისათვის მომზადებას.
- 103.5 სოციალური სამუშაო, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება წარმოადგენს მთლიანი გეგმის განუყოფელ ნაწილს, რომელიც შემუშავებულია თითოეული პატიმრისათვის.
- 103.7 პატიმრები, რომელთაც თანხმობა გამოთქვეს ასეთ სამუშაოში მონაწილეობაზე, ჩართულნი უნდა იყვნენ სამართლიანობის აღდგენის პროგრამებში და, აგრეთვე, რეპარაციის განხორციელებაში მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებზე.
- 103.8 განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ შემუშავდეს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა უვადოდ თავისუფლებადაკვეთილი პირებისა და გრძელვადიანი პატიმრებისათვის.

მისჯილი პატიმრებისათვის სასჯელის მოხდის ორგანიზაციული ასპექტები

- 104.1 რამდენადაც შესაძლებელია, ცალკე ციხე ან ცალკე შენობა უნდა იქნეს გამოყენებული რეჟიმის მართვისათვის სხვადასხვა კატეგორიის პატიმრების მიმართ. ეს ამ წესების მე-17 წესის მოთხოვნასაც წარმოადგენს.
- 104.2 უნდა შემუშავდეს პროცედურები სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის რეგულარული გადახედვის შესახებ, სადაც შესაბამისი ანგარიშის მიღებასა და განხილვაში, აგრეთვე, შესაბამის თანამშრომელთა და პატიმართა შორის კონსულტაციებში შეძლებისდაგვარად უნდა მონაწილეობდნენ პატიმრები.
- 104.3 ასეთი ანგარიშებს, როგორც წესი, ამზადებენ ის თანამშრომლები, რომლებიც პირდაპირ შეხებაში არიან პატიმრებთან.

მისჯილ პატიმართა შრომა

- 105.1 შრომის სისტემატური პროგრამები ისე უნდა იყოს შემუშავებული, რომ შეესაბამებოდეს მისჯილი პატიმრებისათვის სასჯელის მოხდის მიზნებს.
- 105.2 მისჯილ პატიმრებს, რომლებსაც არ მიუღწევიათ შესაბამისი საპენსიო ასაკისათვის, უნდა მოეთხოვოთ, რომ იმუშაონ მათი ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც აგრეთვე დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი სამედიცინო სამსახურის წარმომადგენლის მიერ.
- 105.3 თუ მისჯილ პატიმრებს მოეთხოვებათ, რომ იმუშაონ, მათი სამუშაო პირობები უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს და კონტროლდებოდეს ისე, როგორც ეს ხდება გარე საზოგადოებაში.
- 105.4 მისჯილ პატიმარს უნდა უნაზღაურდებოდეს ის სამუშაო, რომელსაც იგი ასრულებს სამუშაო საა-

თების განმავლობაში და, იმავდროულად, მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში.

- 105.5 იმ შემთხვევაში, როდესაც მისჯილ პატიმარს თანხა უნაზღაურდება და ანგარიშზე ენახება, დანაზოგი შეიძლება გამოყენებული იქნეს რეპარაციის მიზნებისათვის, თუ ეს განსაზღვრულია სასამართლოს მიერ ან არსებობს პატიმრის თანხმობა.

მისჯილი პატიმრების განათლება

- 106.1 განათლების სისტემატური პროგრამები, უნარჩვევების ტრენინგების ჩათვლით, პატიმართა საერთო განათლების გაღრმავებისა და დანაშაულის გარეშე ცხოვრების ნახალისების მიზნით, რეჟიმების ძირითადი ნაწილი უნდა იყოს.
- 106.2 უნდა მოხდეს ყველა მისჯილი პატიმრის ნახალისება, რათა მონაწილეობა მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამებში.
- 106.3 საგანმანათლებლო პროგრამები მისჯილი პატიმრებისათვის უნდა განხორციელდეს ციხეში მათი ყოფნის პერიოდში.

მისჯილი პატიმრების გათავისუფლება

- 107.1 მისჯილ პატიმრებს უნდა დაეხმარონ, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროცედურასა და სპეციალურ პროგრამაში, რაც მათ დაეხმარება, მოახდინონ ტრანსფორმაცია ციხეში ცხოვრებიდან სამართალმორჩილი ცხოვრებისაკენ ნორმალურ საზოგადოებაში.
- 107.2 იმ პატიმართა შემთხვევაში, რომლებიც დიდი ვადით რჩებიან ციხეში, მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი ზომები, რათა თანდათან განხორციელდეს მათი დაბრუნება თავისუფალ, ჩვეულებრივ საზოგადოებაში.

- 107.3 ეს მიზანი შეიძლება მიღწეული იყოს ციხეებში გათავისუფლებისათვის მოსამზადებელი პროგრამების არსებობით, ანდა ნაწილობრივ ან პირობით გათავისუფლებით ზედამხედველობის ქვეშ, სათანადო სოციალურ დახმარებასთან კომბინაციაში.
- 107.4 ციხის ადმინისტრაციამ შეიძლება მჭიდროდ ითანამშრომლოს სხვადასხვა სააგენტოსა და ორგანოსთან, რომლებიც ახორციელებენ ზედამხედველობას და ეხმარებიან გათავისუფლებულ პატიმრებს საზოგადოებაში მათი ადგილის დამკვიდრებაში, განსაკუთრებით, საყოფაცხოვრებო და სამსახურებრივ სფეროში.
- 107.5 ასეთი სოციალური სამსახურების ან სააგენტოების წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, შევიდნენ ციხეში და დაეხმარონ მათ გათავისუფლებისათვის მომზადებაში, აგრეთვე, გათავისუფლების შემდგომი გეგმის შემუშავებაში.

ნაწილი IX

წესების განახლება/ახალი რედაქციით შემუშავება

108. ციხის ევროპული წესები შესაძლებელია განახლებულ იქნეს რეგულარულად.

შენიშვნა 1. ამ რეკომენდაციების მიღებისას, მე-10 „გ“ მუხლის განხორციელებასთან მიმართებით (რომელიც შეეხება მინისტრთა მოადგილეების შეხვედრების პროცედურებს), დანიის წარმომადგენელმა გააკეთა დათქმა, რითაც დანიის სახელმწიფომ უფლება დაიტოვა, თავად განსაზღვროს რეკომენდაციების დანართში მოცემული 43-ე წესის შესაბამისობა მე-2 პარაგრაფის მოთხოვნებთან. აღნიშნული განაპირობა დანიის ხელისუფლების წარმომადგენლის მოსაზრებამ იმის თაობაზე, რომ მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს პატიმართა განმარტოებით მოთავსებისას მათ ყოველდღიურ მონახულებას ექიმის მიერ, იწვევს ეთიკური თვალსაზრისით სერიოზულ შემოფოთებას სამედიცინო პერ-

სონალის შესაძლო როლის გამო, რაც გამოიხატება პატი-
მართა სამარტოო პატიმრობაში დატოვებისათვის მიზანშე-
წონილობის დადასტურების სახით.

**ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის
რეკომენდაცია Rec(2003)22 ნაპრი ქვეყნებისადმი
პირობით გათავისუფლების შესახებ (ვადამდე
გათავისუფლება)**

*(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის
24 სექტემბერს მინისტრთა მოადგილეების 853-ე
შეხვედრაზე)*

მინისტრთა კომიტეტი ევროპის საბჭოს წესდების 15.ბ მუხლის საფუძველზე,

ითვალისწინებს რა, რომ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ინტერესებშია, საპატიმრო სასჯელების აღსრულებასთან დაკავშირებით დაადგინონ საერთო პრინციპები ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებისთვის;

აღიარებს რა, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლება განმეორებითი სამართალდარღვევის აცილებისა და განსახლების განვითარების, პატიმართათვის დაგეგმვის, დახმარებისა და ზედამხედველობის გზით საზოგადოებაში ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და კონსტრუქციული საშუალებაა;

ითვალისწინებს რა, რომ ეს უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური პირობებისადმი მისადაგებული და მართლმსაჯულებისა და სამართლიანობის პრინციპებთან შესაბამისი გზებით;

ითვალისწინებს რა, რომ თავისუფლების აღკვეთის ხარჯი მძიმე ტვირთად აწვება საზოგადოებას, ამასთან, კვლევამ აჩვენა, რომ თავისუფლების აღკვეთას აქვს უკუშედეგი, რა დროსაც ვერ ხორციელდება სამართალდამრღვევთა რეაბილიტაცია;

შესაბამისად, ითვალისწინებს, რომ სასურველია საპატიმრო სასჯელების ხანგრძლივობის შემცირება შესაძლებლობის ფარგლებში და, ამასთან მიმართებით, სასჯელის სრულად მოხდამდე პირობით ვადამდე გათავისუფლება მნიშვნელოვანი საშუალებაა;

აღიარებს რა, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლების ღონისძიებებისთვის აუცილებელია პოლიტიკური ლიდერების, ადმინისტრაციული პროფილის სახელმწიფო მოსამსახურეთა, მოსამართლეთა, პროკურორთა, ადვოკატთა და საზოგადოების მხარდაჭერა, რომლებიც, თავის მხრივ, საჭიროებენ საპატიმრო სასჯელთა ადაპტირების მიზეზების დეტალურ ახსნას;

ითვალისწინებს რა, რომ ვადამდე გათავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა უნდა შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობაზე დამყარებული დემოკრატიული სახელმწიფოების ძირითად პრინციპებს, რომელთა უპირველესი ამოცანაა ადამიანის უფლებების გარანტირება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და პრეცედენტული სამართლის შესაბამისად;

პირობით მსჯავრდებულ და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ სამართალდამრღვევებზე ზედამხედველობის შესახებ ევროპული კონვენციის (ETS No. 51) გათვალისწინებით;

აღიარებს რა შემდეგი დოკუმენტების მნიშვნელობას:

რეზოლუცია (65) 1 გადავადებული სასჯელის, პრობაციისა და თავისუფლების აღკვეთის სხვა ალტერნატივების შესახებ;

რეზოლუცია (70) 1 პირობით მსჯავრდებული ან პირობით ვადამდე გათავისუფლებული სამართალდამრღვევებისთვის ზედამხედველობისა და შემდგომი ზრუნვის ღონისძიებების პრაქტიკული ორგანიზების შესახებ;

რეზოლუცია (76) 2 გრძელვადიანად თავისუფლებულ პატიმრებთან მოპყრობის შესახებ;

რეზოლუცია (76) 10 თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული კონკრეტული სადამსჯელო ღონისძიებების შესახებ;

რეკომენდაცია R (82) 16 საპატიმროდან დროებით გასვლის (შვებულების) შესახებ;

რეკომენდაცია R (87) 3 ევროპის ციხის წესების შესახებ;

- რეკომენდაცია R (89) 12 ციხეში განათლების შესახებ;
- რეკომენდაცია R (92) 16 საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ევროპული წესების შესახებ;
- რეკომენდაცია R (92) 17 სასჯელის მისჯისას თანმიმდევრულობის შესახებ;
- რეკომენდაცია R (97) 12 სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაში ჩართულ თანამშრომელთა შესახებ;
- რეკომენდაცია R (99) 22 ციხეების გადატვირთულობისა და პატიმართა რიცხვის ზრდასთან დაკავშირებით;
- რეკომენდაცია REC (2000) 22 საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ევროპული წესების იმპლემენტაციის გაუმჯობესების შესახებ,

რეკომენდაციას უწევს წევრი ქვეყნების მთავრობებს:

1. თავიანთი კანონმდებლობით შემოიღონ პირობით გათავისუფლება, თუ ეს ღონისძიება მანამდე არ არსებობდა;
2. პირობით გათავისუფლებასთან დაკავშირებით, თავიანთ კანონმდებლობაში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში იხელმძღვანელონ ამ რეკომენდაციის დანართში მითითებული პრინციპებით;
3. უზრუნველყონ პირობით გათავისუფლების შესახებ ამ რეკომენდაციისა და მისი განმარტებითი მემორანდუმის მაქსიმალურად ფართოდ გავრცელება.

Rec(2003)22 რეკომენდაციის დანართი

I. პირობით გათავისუფლების განმარტება

1. ამ რეკომენდაციის მიზნებისთვის პირობით გათავისუფლება ნიშნავს მსჯავრდებული პატიმრის ვადამდე გათავისუფლებას გათავისუფლების შემდგომი ინდივიდუალური პირობებით. ეს ცნება არ მოიცავს ამნისტიასა და შეწყალებას.

2. პირობით გათავისუფლება საზოგადოებრივი ღონისძიებაა. მისი კანონმდებლობაში დამკვიდრება და ინდივიდუალურ საქმეებში გამოყენება რეგულირდება საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების შესახებ ევროპული წესებით, რეკომენდაცია R (92) 16 და, ასევე, რეკომენდაცია (2000)22-ით საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ევროპული წესების იმპლემენტაციის გაუმჯობესების შესახებ.

II. ზოგადი პრინციპები

3. პირობით გათავისუფლება მიზნად უნდა ისახავდეს პატიმრის დახმარებას, ციხის ცხოვრება გარდაქმნას საზოგადოებაში კანონმორჩილ ცხოვრებად, გათავისუფლების შემდგომი პირობების შექმნითა და ზედამხედველობით, რაც ხელს უწყობს ამ მიზნის მიღწევას და წვლილი შეაქვს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და დანაშაულის შემცირებაში.
- 4.ა პატიმრობის უარყოფითი შედეგების შემცირებისა და საზოგადოების უსაფრთხოების გარანტირებით, პატიმართა განსახლების ხელშეწყობისთვის, კანონმა პირობით გათავისუფლება ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ყველა მსჯავრდებულ პატიმრისთვის, მათ შორის, უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი პირებისთვის.
- 4.ბ თუ თავისუფლების აღკვეთა იმდენად ხანმოკლეა, რომ პირობით გათავისუფლება შეუძლებელია, ამ მიზნის მიღწევის სხვა საშუალებები უნდა გამოინახოს.
5. სასჯელის მოხდის დაწყებისთანავე პატიმრებისთვის ცნობილი უნდა იყოს, როდის შეეძლება გათავისუფლების თხოვნით მიმართვა მას შემდეგ, რაც მოხდინა მინიმალურ ვადას (რომელიც პირდაპირ განსაზღვრულია და/ან მითითებულია სასჯელის პროპორცია) და ის კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება

გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას („დისკრეციული გათავისუფლების სისტემა“), ან როდის მიენიჭებათ გათავისუფლების უფლება, დადგენილი პერიოდის კონკრეტულ პირობებში მოხდის ან/და სასჯელის პროპორციაზე მითითების შედეგად („სავალდებულო გათავისუფლების სისტემა“).

6. დადგენილი პერიოდის მინიმუმი არ უნდა იყოს იმდენად ხანგრძლივი, რომ პირობით გათავისუფლების მიზანი ვერ იქნეს მიღწეული.
7. ყურადღება უნდა მიექცეს რესურსის დაზოგვას, რაც შეიძლება განხორციელდეს სავალდებულო გათავისუფლების სისტემის გამოყენებით სასჯელგანსაზღვრავი მიმართებით, როდესაც უარყოფითმა ინდივიდუალურმა შეფასებამ შეიძლება მხოლოდ მცირედ შეცვალოს გათავისუფლების თარიღი.
8. იმისათვის, რომ შემცირდეს პირობით გათავისუფლებულ პატიმართა მხრიდან რეციდივის რისკი, შესაძლებელი უნდა იყოს მათზე ინდივიდუალური პირობების დაწესება, როგორცაა:
 - დაზარალებულისთვის კომპენსაციის გადახდა ზიანის ანაზღაურების მიზნით;
 - ნარკოტიკული ნივთიერების ან ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებასა ან დანაშაულის ჩადენასთან აშკარად დაკავშირებული და მკურნალობას დაქვემდებარებული მიზეზების აღმოსაფხვრელად, სამკურნალო ღონისძიებებში ჩართვა;
 - მუშაობა ან სხვა განსაზღვრულ საქმიანობაში ჩაბმა, მაგალითად, განათლების ან პროფესიული გადამზადების პროგრამებში;
 - პიროვნული განვითარების პროგრამებში მონაწილეობა;
 - კონკრეტულ ადგილებში ცხოვრებისა და ამ ადგილებში ვიზიტის აკრძალვა.

9. პირობით გათავისუფლებას ასევე თან უნდა ახლდეს ზედამხედველობა, რომელიც შედგება დახმარებისა და კონტროლის ღონისძიებებისგან. ზედამხედველობის ბუნება, ხანგრძლივობა და ინტენსივობა უნდა განისაზღვროს თითოეული საქმისთვის ცალ-ცალკე. პირობებისადმი მორგება შესაძლებელი უნდა იყოს პირობითი მსჯავრის მთელი პერიოდის განმავლობაში.
10. პირობები ან ზედამხედველობის ღონისძიებები უნდა განისაზღვროს იმ პერიოდისთვის, რომელიც არ აჭარბებს საპატიმრო სასჯელის მოუხდელი ნაწილის პროპორციას.
11. პირობები და ზედამხედველობის ღონისძიებები შეიძლება განუსაზღვრელი ვადით დადგინდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აბსოლუტურად აუცილებელია საზოგადოების დასაცავად და შეესაბამება რეკომენდაცია Rec(2000) 22-ით შესწორებული საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების შესახებ ევროპული წესების მე-5 წესში ფორმულირებულ გარანტიებს.

III. პირობით გათავისუფლებისთვის მომზადება

12. პირობით გათავისუფლებისთვის მომზადების ორგანიზება უნდა მოხდეს საპატიმროში მომუშავე ყველა შესაბამისი პირისა და გათავისუფლების შემდგომ ზედამხედველობაში ჩართულ პირთა მჭიდრო თანამშრომლობით და დასრულდეს მინიმალურ ან წინასწარ განსაზღვრულ ვადაში.
13. საპატიმროს შესაბამისმა სამსახურებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პატიმრებს ჰქონდეთ გათავისუფლების წინა პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა. ასევე, ხელი შეუწყონ მათ ჩართვას საგანმანათლებლო და სასწავლო კურსებში, რომელთა მეშვეობითაც ისინი საზოგადოებაში ცხოვრებისთვის მოემზადებიან. მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული

საპატიმრო სასჯელის აღსრულების სხვადასხვა სახე, როგორცაა ნახევრად თავისუფალი, ღია რეჟიმები ან ექსტრამურალური განთავსება, იმისათვის რომ მომზადდეს პატიმართა განსახლება საზოგადოებაში.

14. პირობით გათავისუფლებისთვის მომზადება ასევე უნდა მოიცავდეს პატიმრებისთვის შესაძლებლობის შექმნას, რათა შეინარჩუნონ, დაამყარონ ან განაახლონ ურთიერთობები ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებთან. ასევე, კავშირი დაამყარონ იმ სამსახურებთან, ორგანიზაციებსა და მოხალისეთა ასოციაციებთან, რომელთაც შეუძლიათ ვადაძვე გათავისუფლებულ პატიმრებს დაეხმარონ საზოგადოებაში ცხოვრებასთან შეგუებაში. ამ მიზნებისთვის საპატიმროდან დროებით გათავისუფლების სხვადასხვა ფორმა უნდა იქნეს გამოყენებული.
15. გათავისუფლების შემდგომი პირობებისა და ზედამხედველობის ადრეული განხილვა უნდა ნახალისდეს. აღნიშნული პირობები, შესაძლო დახმარების ფორმები, კონტროლის მოთხოვნები და მათი შეუსრულებლობის შედეგები გულდასმით უნდა განემარტოთ პატიმრებს და განხილულ იქნეს მათთან ერთად.

IV. პირობით გათავისუფლება

დისკრეციული გათავისუფლების სისტემა

16. პირობით გათავისუფლების უფლების მოპოვებისთვის მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადა უნდა განისაზღვროს კანონით.
17. შესაბამისმა თანამდებობის პირებმა პატიმრის მიერ მინიმალური სასჯელის მოხდისთანავე უნდა დაინყონ პირობით გათავისუფლების შესახებ გადანყვეტილების მიღებისთვის აუცილებელი პროცედურა.
18. კრიტერიუმები, რომლებსაც პატიმარი უნდა აკმაყოფილებდეს პირობით გათავისუფლებისთვის, უნდა

იყოს ნათელი და კონკრეტული. ისინი ასევე უნდა იყოს რეალისტური იმ გაგებით, რომ უნდა ითვალისწინებდეს პატიმრის პიროვნულ მახასიათებლებს და სოციალურ და ეკონომიკურ გარემოებებს, ასევე განსახლების პროგრამების ხელმისაწვდომობას.

19. გათავისუფლებაზე მუშაობის პირობების არარსებობა არ უნდა იყოს პირობით გათავისუფლებაზე უარის ან გადავადების საფუძველი. ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული იმისკენ, რომ გამოინახოს დასაქმების სხვა ფორმები. მუდმივი საცხოვრებლის არარსებობა არ უნდა წარმოადგენდეს პირობით გათავისუფლებაზე უარის ან გადავადების საფუძველს. ასეთ შემთხვევაში, უნდა მოხდეს დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა.
20. პირობით გათავისუფლების კრიტერიუმები ისე უნდა იყოს გამოყენებული, რომ პირობით გათავისუფლების უფლებას ანიჭებდეს ყველა იმ პატიმარს, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონმორჩილი მოქალაქეობის მინიმალურ მოთხოვნებს. შესაბამის თანამდებობის პირთა ვალდებულებაა, დაამტკიცონ, რომ პატიმარი არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.
21. თუ გადაწყვეტილების მიმღები თანამდებობის პირი გადაწყვეტს, რომ არ დააკმაყოფილოს პირობით გათავისუფლების მოთხოვნა, მან უნდა დაადგინოს საკითხის ხელახალი განხილვის ვადა. ნებისმიერ შემთხვევაში, პატიმრებს საშუალება უნდა ჰქონდეთ, ხელახლა მიმართონ გადაწყვეტილების მიმღებთ, როგორც კი მდგომარეობა არსებითად მათ სასიკეთოდ შეიცვლება.

სავალდებულო გათავისუფლების სისტემა

22. კანონით უნდა განისაზღვროს სასჯელის ის პერიოდი, რომელიც პატიმარმა უნდა მოიხადოს იმისათვის, რომ გათავისუფლების უფლება მოიპოვოს.
23. მხოლოდ კანონით განსაზღვრულ საგამონაკლისო

შემთხვევებში უნდა იყოს შესაძლებელი გათავისუფლების გადავადება.

24. გათავისუფლების გადავადების გადანყვეტილებით უნდა განისაზღვროს გათავისუფლების ახალი თარიღი.

V. პირობების დადგენა

25. პირობების დადგენის და ზედამხედველობის საჭიროების განსაზღვრისას, გადანყვეტილების მიმღები თანამდებობის პირისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ანგარიშები, მათ შორის, ციხეში მომუშავე პერსონალის ზეპირი განცხადებები, რომლებიც იცნობენ პატიმრებს და მათ პირად მონაცემებს. გათავისუფლების შემდგომ ზედამხედველობაში ჩართულმა პროფესიონალებმა ან სხვა პირებმა, რომელთათვისაც ცნობილია პატიმრების სოციალური გარემოებები, ხელმისაწვდომი უნდა გახადონ ეს ინფორმაცია.
26. გადანყვეტილების მიმღები თანამდებობის პირები უნდა დარწმუნდნენ, რომ პატიმარმა გაიგო მისთვის დადგენილი პირობები, ის დახმარება, რაც შეიძლება მას გაუწიონ, კონტროლის მოთხოვნები და პირობების შეუსრულებლობის შესაძლო შედეგები.

VI. პირობით გათავისუფლება

27. თუ პირობით გათავისუფლება უნდა გადაიდოს, პატიმრები უნდა იმყოფებოდნენ მაქსიმალურად ისეთ პირობებში, როგორიც საზოგადოებაში დაბრუნებისას ექნებოდათ.
28. პირობით გათავისუფლებისა და ზედამხედველობის ღონისძიებების აღსრულება უნდა იყოს აღმასრულებელი ორგანოების პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების შესახებ ევროპული წესების მე-7, მე-8 და მე-11 წესების შესაბამისად.

29. აღსრულება და მისი ორგანიზება უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების შესახებ ევროპული წესების 37-ე და 75-ე წესების და საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების შესახებ ევროპული წესების იმპლემენტაციის გაუმჯობესების შესახებ რეკომენდაცია Rec(2000)22-ის 9-13 პრინციპებში ასახულ ეფექტურობის ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

VII. დადგენილი პირობების დარღვევის შედეგები

30. დადგენილი პირობების მცირედ დარღვევებზე აღსრულების ორგანოებმა რეაგირება უნდა მოახდინონ რჩევითა და გაფრთხილებით. ნებისმიერი მნიშვნელოვანი დარღვევის შესახებ აღსრულების ორგანომ ანგარიში უნდა წარუდგინოს გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. ამ ორგანომ უნდა გადაწყვიტოს, შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომა იქნება რჩევის მიცემა, გაფრთხილება, მკაცრი პირობების დადგენა თუ პირობით გათავისუფლების დროებით შეწყვეტა.
31. ზოგადად, დადგენილი პირობების შეუსრულებლობაზე რეაგირება უნდა მოხდეს საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების შესახებ ევროპული წესების 85-ე წესისა და, ასევე, ამავე წესების X თავის დებულებების შესაბამისად.

VIII. პროცედურული გარანტიები

32. პირობით გათავისუფლების მინიჭების, გადავადების ან შეწყვეტის, ასევე, პირობების და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების დადგენის ან შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებები კანონით განსაზღვრულმა თანამდებობის პირებმა უნდა მიიღონ შემდეგი გარანტიების საფუძველზე, კონკრეტული პროცედურის შესაბამისად:

- ა. პატიმარს უნდა ჰქონდეს უფლება, მას პირადად მოუსმინონ და მიიღოს დახმარება კანონის შესაბამისად;
 - ბ. გადანყვეტილების მიმღებმა ორგანომ ყურადღებით უნდა განიხილოს ნებისმიერი დეტალი, მათ შორის, მსჯავრდებული პირის მიერ თავის საქმესთან დაკავშირებით წარმოდგენილი განცხადებები;
 - გ. მსჯავრდებულს ადეკვატური ხელმისაწვდომობა უნდა ჰქონდეს თავის პირად საქმესთან;
 - დ. გადანყვეტილება უნდა შეიცავდეს შესაბამის საფუძვლებს და ეცნობოს მსჯავრდებულ პირს წერილობით.
33. მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, საჩივრით მიმართოს კანონის საფუძველზე შექმნილ ზემდგომ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ გადანყვეტილების მიმღებ ორგანოს, გადანყვეტილების არსთან დაკავშირებით, ასევე, პროცედურული გარანტიების დაუცველობის თაობაზე.
34. ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს პირობით გათავისუფლების აღსრულებასთან დაკავშირებული საჩივრის პროცედურა.
35. საჩივრის ყველა პროცედურა უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების შესახებ ევროპული წესების მე-13-დან მე-19 წესებში ასახულ გარანტიებს.
36. 32-ედან 35-ე პარაგრაფის ჩათვლით, არაფერი უნდა განიმარტოს ისე, რომ ზღუდავდეს ან გადაუხვევდეს ნებისმიერი იმ უფლებიდან, რომლებიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან მიმართებით.

IX. გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესების მეთოდები

37. რისკისა და საჭიროებების განსაზღვრის სარწმუნო ინსტრუმენტების განვითარება, რომლებიც სხვა მეთოდებთან ერთად ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღებას, უნდა იყოს ნახალისებული.
38. საინფორმაციო შეხვედრები და/ან სასწავლო პროგრამები უნდა შედგეს გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის, სამართლისა და სოციალური მეცნიერების სპეციალისტებისა და პირობით გათავისუფლებულთა განსახლების პროცესში ჩართულ პირთა მონაწილეობით.
39. გარკვეული ნაბიჯები უნდა გადაიდგას გადაწყვეტილების მიღების პროცესში შესაბამისი ხარისხის თანმიმდევრულობის მისაღწევად.

X. ინფორმაცია და კონსულტაცია პირობით გათავისუფლების შესახებ

40. პოლიტიკოსები, მართლმსაჯულების წარმომადგენლები, გადაწყვეტილების მიმღები და აღმასრულებელი ორგანოები, საზოგადოებრივი ლიდერები, დაზარალებულებისა და პატიმრების დამხმარე ასოციაციები, ასევე, უნივერსიტეტების მასწავლებლები და ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევარები ინფორმირებული უნდა იყვნენ და მათგან კონსულტაცია მიიღონ პირობით გათავისუფლების ფუნქციონირებისა და ამ სფეროში ახალი კანონმდებლობის/პრაქტიკის დამკვიდრების შესახებ.
41. გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ ინფორმაცია პირთა რაოდენობის შესახებ, რომელთა მიმართაც წარმატებით და წარუმატებლად იქნა გამოყენებული პირობით გათავისუფლება, ასევე, იმ გარემოებების შესახებ, რომლებმაც განაპირობა წარმატება ან წარუმატებლობა.

42. მედია და სხვა სახის კამპანია უნდა წარმოებდეს იმისთვის, რომ საზოგადოება ინფორმირებული იყოს პირობით გათავისუფლების ინსტიტუტის ფუნქციონირების, მისი გამოყენების სფეროში სიახლეებისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მისი როლის შესახებ. ეს ინფორმაცია მალევე უნდა მიეწოდოს საზოგადოებას პირობით გათავისუფლების პერიოდში დრამატული და გახმაურებული დარღვევების შემთხვევაში. რადგანაც ასეთი შემთხვევები მედიის ყურადღებას იპყრობს, უნდა გამოიკვეთოს პირობით გათავისუფლების დადებითი მხარეები.

XI. კვლევა და სტატისტიკა

43. იმისათვის, რომ დაგროვდეს მეტი ცოდნა პირობით გათავისუფლების სისტემების შესაბამისობისა და მათი განვითარების შესახებ, უნდა განხორციელდეს შეფასება და შეგროვდეს სტატისტიკური მონაცემები პირობით გათავისუფლების მიზნების შესრულებასთან დაკავშირებით, ამ სისტემების ფუნქციონირებისა და ეფექტურობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.
44. ზემოთ რეკომენდებულ შეფასებასთან ერთად, უნდა ნახალისდეს კვლევები პირობით გათავისუფლების სისტემის ფუნქციონირების შესახებ. ასეთი კვლევები უნდა მოიცავდეს პირობით გათავისუფლების შესახებ მართლმსაჯულებისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების, აღმასრულებელი ორგანოების, დაზარალებულების, საზოგადოების წარმომადგენელთა და პატიმართა შეხედულებებს, დამოკიდებულებებსა და მოსაზრებებს. შემდეგი ასპექტები, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს, არის პირობით გათავისუფლების ღირებულება, არის თუ არა მისი ხარჯი გონივრული, ამცირებს თუ არა ის განმეორებით სამართალდარღვევებს, როგორია პირობით გათავისუფლებული პატიმრის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მორგების ხარისხი და ის გავლენა, რაც პირობით

გათავისუფლების სქემის განვითარებას შეიძლება ჰქონდეს სანქციებისა და ღონისძიებების დაკისრება-სა და სასჯელის აღსრულებაზე. გათავისუფლებისთვის მოსამზადებელი პროგრამების ბუნება ასევე უნდა გახდეს დეტალური კვლევის საგანი.

45. უნდა წარმოებდეს სტატისტიკა ისეთ საკითხებზე, როგორცაა პატიმართა რაოდენობა, რომლებიც პირობით გათავისუფლდნენ, აკმაყოფილებდნენ თუ არა ისინი გათავისუფლების მოთხოვნებს, სასჯელის ხანგრძლივობა და დანაშაულის სახე, პირობით გათავისუფლებამდე მოხდილი სასჯელის პროპორცია, პირობით გათავისუფლების შეწყვეტის რაოდენობა, ხელახალი მსჯავრდების მაჩვენებლები, პირობით გათავისუფლებული პირის კრიმინალური ისტორია და სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები.

**ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის
რეკომენდაცია (2000)22 ნაპრი
სახელმწიფოებრივ საზოგადოებრივი
სამსახურებისა და ღონისძიებების აღსრულების
მარეგულირებელი ევროპული წესების
იმპლემენტაციის გაუმჯობესებაზე**

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2000 წლის 29 ნოემბერს, მინისტრთა მოადგილეების 731-ე შეხვედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების 15.ბ მუხლის პირობების თანახმად,

ხაზს უსვამს საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების შექმნის, დანესებისა და განხორციელების მნიშვნელობას, ევროპის საბჭოს საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების №(92) 16 რეკომენდაციაში მოცემულ პრინციპებზე დაყრდნობით;

ითვალისწინებს ევროპის კომიტეტის კვლევის შედეგებს ევროპული წესების იმპლემენტაციასთან, კერძოდ კი, წევრი ქვეყნების მიერ იმპლემენტაციასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ;

აღიარებს ევროპული წესების მე-5 ნესში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას, გამოკითხვის შედეგებსა და სამართალდამრღვევაზე ზედამხედველობის არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით;

აღიარებს, რომ დროთა განმავლობაში წარმოიშობა საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების უფრო ეფექტურად და ფართოდ გამოყენების ახალი შესაძლებლობები;

აღიარებს, რომ საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკასა და წევრი სახელმწიფოების მიერ განსაზღვრულ სხვა საკითხებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოითხოვს ევროპულ წესებში ასახული რამდენიმე პირობის დამატებით განმარტებასა და ინტერპრეტაციას;

ხაზს უსვამს, რომ საზოგადოებრივი სანქციები და ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ფუნდამენტური საკანონმდებლო უსაფრთხოების ზომების დაცვით, როგორც ეს აღნიშნულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში და ევროპული წესებით განსაზღვრულ პრინციპებში;

აღიარებს წინამდებარე რეკომენდაციასთან შემდეგი რეკომენდაციების შესაბამისობას – რეკომენდაცია №(92)17 სასჯელის მისჯის თანმიმდევრულობის შესახებ, №(97)12 სანქციებისა და ღონისძიებების განმახორციელებელი თანამშრომლების შესახებ, №(99)19 პირობითობის საკითხებთან დაკავშირებით მედიაციის შესახებ, №(99)22 ციხის გადატვირთულობის შესახებ;

რეკომენდაციას აძლევს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს:

- საზოგადოებრივი სანქციების და ღონისძიებების ხანგრძლივობის შესახებ საკუთარ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში იხელმძღვანელონ საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ევროპული წესების შესახებ №(92) 16 რეკომენდაციის განახლებული ტექსტის მე-5 მუხლით, რომელიც ამავე რეკომენდაციის I დანართშია მოცემული;
- საზოგადოებრივი სანქციების და ღონისძიებების შექმნის, გამოყენებისა და განხორციელების შესახებ კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის მიმოხილვისას, იხელმძღვანელონ წინამდებარე რეკომენდაციის II დანართში მოცემული პრინციპებით, საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების უფრო ეფექტური გამოყენების მისაღწევად;
- უზრუნველყონ საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების უფრო ეფექტურად გამოყენების მიღწევის შესახებ ევროპის კომიტეტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციისა და ანგარიშის რაც შეიძლება ფართოდ გავრცელება. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კონკრეტული ევროპული წე-

სების დამატებით ინტერპრეტაციას და განმარტებას, როგორც ეს ზემოხსენებული ანგარიშის 129-168 მუხლებშია წარმოდგენილი.

დანართი 1, რეკომენდაცია №(200)22

ცვლილებები საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების შესახებ ევროპული წესების მე-5 მუხლში

ჩვეულებრივ, საზოგადოებრივი სანქცია ან ღონისძიება არ უნდა იყოს განუსაზღვრელი ვადით.

გამონაკლისია განუსაზღვრელი ვადით საზოგადოებრივი სანქციის ან ღონისძიების დანიშვნა იმ სამართალდარღვევებისთვის, რომლებიც წინა ან ამჟამინდელი დანაშაულის გამო, ასევე, კონკრეტული პირადი მახასიათებლების გათვალისწინებით, მუდმივ საფრთხეს უქმნიან ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას. უნდა შეიქმნას საკანონმდებლო პირობები ამგვარი განუსაზღვრელი სანქციის ან ღონისძიების დაწესების რეგულარული გადახედვისათვის, რასაც განახორციელებს აღმასრულებელი ორგანოსაგან დამოუკიდებელი და კანონით უფლებამოსილი ორგანო.

საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ხანგრძლივობა უნდა განსაზღვროს ორგანომ, რომელიც უფლებამოსილია, მიიღოს ამგვარი გადაწყვეტილება კანონით დადგენილი პირობების ფარგლებში.

დანართი 2, რეკომენდაცია №(200)22

საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების უფრო ფართოდ და ეფექტურად გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები

კანონმდებლობა

1. მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი საკანონმდებლო ნორმები საკმარისი რაოდენობით სხვადასხვაგვარი საზოგადოებრივი სანქციისა და ღონისძიების შესახებ,

მაგალითად:

- წინასწარი პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიებები, როგორცაა სამართალდამრღვევისათვის მითითებულ მისამართზე ცხოვრების მოთხოვნის წაყენება, სასამართლო ხელისუფლების მიერ მითითებული ორგანოს მიერ ზედამხედველობისა და დახმარების განხორციელება;
 - პრობაცია, როგორც საპატიმრო სასჯელის გარეშე, დამოუკიდებლად დაკისრებული სანქცია;
 - დაკისრებული პირობების მეშვეობით, პატიმრობის ღონისძიების აღსრულების შეჩერება;
 - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა (საზოგადოების სასარგებლოდ, ანაზღაურების გარეშე მუშაობა);
 - დაზარალებულისათვის კომპენსაციის გადახდა/ზარალის ანაზღაურება/დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის მედიაცია;
 - ნარკოტიკების ან ალკოჰოლის მომხმარებელი და მათ დანაშაულებრივ ქცევასთან დაკავშირებული ფსიქიკური აშლილობის მქონე სამართალდამრღვევების მოპყრობის/მკურნალობის ბრძანება;
 - კონკრეტული კატეგორიის დამნაშავეთა ინტენსიური ზედამხედველობა;
 - თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა, მაგალითად, ბრძანება კომენდანტის საათის შესახებ ან ელექტრონული მონიტორინგის დაწესება ევროპული წესების 23-ე და 55-ე დაკვირვების წესების თანახმად;
 - ციხიდან პირობით გათავისუფლების შემდგომი ზედამხედველობა.
2. არასაპატიმრო სანქციებისა და ღონისძიებების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, განსაკუთრებით იქ, სადაც ახალი კანონმდებლობა იქმნება, კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საჭიროა არასაპატიმრო

სანქციის ან ზომის მითითება პატიმრობის ღონისძიების ნაცვლად, როგორც ალტერნატიული სანქცია კონკრეტულ დანაშაულებთან მიმართებით.

3. გათვალისწინებული უნდა იყოს იმ ფორმალური დებულებების გადახედვა და შემცირება, რომლებიც ზღუდავს საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების გამოყენებას სერიოზული და განმეორებით ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაში.
4. ზომები უნდა იქნეს მიღებული ახალი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების დასაწინააღმდეგებლად გამოსაცდელი ვადით.
5. ნებისმიერი გამოცდა უნდა ჩატარდეს ევროპული კანონების დაცვით და შესაბამისი მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებით. ექსპერიმენტი უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულ ეთიკურ სტანდარტებს.

სასჯელის დანიშვნის პრაქტიკა

6. უნდა განისაზღვროს სასჯელის დანიშვნის საფუძვლები იქ, სადაც ამის საშუალებას იძლევა კონსტიტუციური პრინციპები და საკანონმდებლო ტრადიციები. დროდადრო უნდა მოხდეს მათი გადახედვა კანონმდებლის ან სხვა კომპეტენტური ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ, რათა ხელი შეუწყონ პატიმრობის ღონისძიების გამოყენების შემცირებას, გაზარდონ საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების გამოყენება და დაზარალებულთა კომპენსაცია.
7. საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების გამოყენების პოლიტიკის შემუშავებისა და შესწორების პროცესში სასამართლო ხელისუფლებაც უნდა იყოს ჩართული და ინფორმირებული მიღწეული შედეგების შესახებ, მართლმსაჯულების ორგანოების წარმომადგენელთა მიერ სიტუაციის უკეთესად აღქმის უზრუნველსაყოფად.
8. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს

მიტიგაციის (შერიგების) ფაქტორების განსაზღვრაზე, რაც სასამართლო ხელისუფლებას საშუალებას მისცემს, თავიდან აიცილოს პატიმრობის გამოყენება და, სანაცვლოდ, საზოგადოებრივი სანქცია ან სხვა ღონისძიება გამოიყენოს.

საზოგადოებრივი სანქციების და ღონისძიებების ეფექტურად აღსრულებისთვის საჭირო ძირითადი მოთხოვნები.

9. უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი სანქციების და ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო ადეკვატური მომსახურებები, გამოიყოს საჭირო რესურსი და განვითარდეს, რათა სასამართლო ხელისუფლებას მეტი ნდობა გაუჩნდეს საზოგადოებრივი სანქციებისა და ზომების სარგებელთან დაკავშირებით, უზრუნველყოფილი იქნეს საზოგადოების უსაფრთხოება და გაუმჯობესდეს დამნაშავეთა პირადი და სოციალური მდგომარეობა.
10. განმახორციელებელ სამსახურებს უნდა ჰყავდეთ პროფესიონალი კადრები, რომლებიც შეირჩევიან, გაივლიან ტრენინგს და იმუშავენ კადრებთან დაკავშირებულ №(97) 12 რეკომენდაციაში მოცემული პრინციპების თანახმად, საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების განსახორციელებლად.
11. აღმასრულებელი სამსახურების მიერ შესრულებული სამუშაო უნდა ეფუძნებოდეს დეტალური პოლიტიკის დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს მათ ფუნქციას, მიზნებსა და ძირითად ღირებულებებს. პოლიტიკის დოკუმენტი უნდა მოიცავდეს სამართალდამრღვევთა ვალდებულებებსა და უფლებებს, მათ განსახლებასთან დაკავშირებით ეფექტურ ჩარევას და პროგრამებს, დაზარალებულთა კანონიერ ინტერესებს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ორგანიზაციულ ვალდებულებას, თანამშრომლობას ციხის თანამშრომლებთან, შესაბამის სააგენტოებსა და ორგანიზაციებთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან.

12. პოლიტიკის დოკუმენტს უნდა ერთვოდეს სამსახურის გეგმები და პრაქტიკა, რომლის მიზანია საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების განხორციელებაში ჩართული სხვადასხვა ორგანიზაციისა და ინდივიდუალური პირების ცნობიერების ამაღლება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მუშაობა საერთო მიზნების მისაღწევად და მუშაობის მეთოდების ერთმანეთისათვის გაზიარება.
13. ევროპული წესების მოთხოვნის შესაბამისად, აღმასრულებელი ორგანოების მუშაობის მარეგულირებელი ნორმების რეგულარული და დამოუკიდებელი გადახედვა უნდა ხორციელდებოდეს გამოცდილი პროფესიონალების მიერ.

საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების სანდოობის ამაღლება (სასამართლო ხელისუფლებაში, სხვა ორგანოებში, ფართო საზოგადოებასა და პოლიტიკოსებში)

14. უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამის სახელმწიფო ენაზე მომზადებული, საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ევროპულ წესებთან დაკავშირებული №(92)16 რეკომენდაციის ფართოდ გავრცელება.
15. პოლიტიკურმა და ადმინისტრაციულმა ლიდერებმა და ფართო საზოგადოებამ პერიოდულად უნდა მიიღონ ინფორმაცია ეკონომიკური და სოციალური შეღავათების შესახებ, რომლებიც მიიღება პატიმრობის რაოდენობის შემცირებითა და საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების რაოდენობის გაზრდით. მიწოდებული ინფორმაცია ხაზს უსვამდეს იმას, რომ საზოგადოებრივი სანქციები და ღონისძიებები მოიცავს დამნაშავეთა ეფექტურ ზედამხედველობასა და კონტროლს.
16. სასამართლო ხელისუფლებამ და აღსრულების სამსახურების თანამშრომლებმა უნდა შექმნან კომუნიკაციის არხები, რაც რეკომენდირებულია და მათ განხორციელებული საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების პრაქტიკული ასპექტების რეგულარულად განხილვის საშუალებას მისცემს.

17. რამდენადაც საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი დამნაშავეთა საზოგადოებაში ინტეგრაციაა, განმარტორციელებელმა სამსახურებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ ადგილობრივ მოსახლეობასთან, მაგალითად, საზოგადოების წარმომადგენლების დამნაშავეთა ზედამხედველობასა ან დანაშაულის პრევენციის ადგილობრივ სქემებში ჩართვით.
18. კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ახალი საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების დანერგვა ძლიერი საზოგადოებრივი ურთიერთობის კამპანიების თანხლებით უნდა განხორციელდეს, რაც საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვებას შეუწყობს ხელს.

ეფექტური პროგრამებისა და ინტერვენციის დაგეგმვა

19. უნდა განისაზღვროს ეფექტურობის კრიტერიუმი, რათა შესაძლებელი გახდეს პროგრამებსა და ინტერვენციასთან დაკავშირებული ხარჯის და მოგების შეფასება სხვადასხვა პერსპექტივიდან, მათი შედეგების ხარისხის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით.
20. პროგრამები და ინტერვენცია უნდა შემუშავდეს იმ ცოდნის საფუძველზე, რომელიც შესაბამისი კვლევიდან და სათანადოდ მომზადებული თანამშრომლებისგან მომდინარეობს.
21. დამნაშავის რეინტეგრაციის პროგრამები და ინტერვენცია უნდა ეფუძნებოდეს სხვადასხვა მეთოდს. საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების კონტექსტში, პროგრამებისა და ინტერვენციის შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მათ შესაძლო გავლენას სამართალდამრღვევებზე, განსაკუთრებით კი:
- ძირითად უნარ-ჩვევებს (მაგ. წერა-კითხვისა და თვლა-ანგარიშის ბაზისური ცოდნა, ზოგადი პრობლემების გადაჭრა, პირადი და ოჯახური ურთიერთობების მოგვარება, პროსოციალური ქცევა);

- მდგომარეობა განათლების ან დასაქმების თვალსაზრისით;
- ნარკოტიკებზე, ალკოჰოლსა და ნამლებზე შესაძლო დამოკიდებულება; და
- საზოგადოებაზე მორგებული გამოსწორება.

22. სამართალდამრღვევების კონკრეტულ პროგრამებსა და ინტერვენციაზე გადანაწილება დეტალურად განსაზღვრული კრიტერიუმის გამოყენებით უნდა მოხდეს. ეს კრიტერიუმები შეიძლება იყოს, მაგალითად, მათი ინტერვენციაზე რეაგირების უნარი, მათ მიერ საზოგადოებისა ან პროგრამის/ინტერვენციის განმახორციელებელი თანამშრომლისათვის შექმნილი შესაძლო საფრთხე და პირადი ან სოციალური ფაქტორები, რომლებიც დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობას უკავშირდება. ამისათვის საჭიროა, შემუშავებული იყოს შეფასების მეთოდები, რომლებიც შესაძლებელს გახდის ამგვარი გადანაწილების განხორციელებასა და გამოყენებას. ამ პროცედურების შესახებ ინფორმაცია დაინტერესებული ხელისუფლების წარმომადგენლების/პირებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

23. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პროგრამებისა და ინტერვენციის მომზადებას იმ სამართალდამრღვევთათვის, რომლებმაც განმეორებით ჩაიდინეს, ანდა დიდი ალბათობაა, რომ განმეორებით ჩაიდინენ სერიოზულ დანაშაულს. უკანასკნელი კვლევების შედეგების თანახმად, ასეთ პროგრამებსა და ინტერვენციაში განსაკუთრებით გამოყენებული უნდა იქნეს შემეცნებითი ქცევის მეთოდები, მაგალითად, სამართალდამრღვევთა სწავლება მათი დანაშაულებრივი ქცევის შესაძლო გავლენის შესახებ, მათი თვითშემეცნებისა და თვითკონტროლის უნარის გაზრდა, იმ სიტუაციების გააზრება და თავიდან აცილება, რომლებიც წინ უძღვის დანაშაულს და პროსოციალური ქცევის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობის მიცემა.

საზოგადოებრივ სანქციებსა და ღონისძიებებთან დაკავშირებული კვლევა

24. კვლევებში ადეკვატური ინვესტიცია უნდა ჩაიდოს, რათა შესაძლებელი გახდეს საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების განხორციელებისას მიწოდებული მომსახურების მონიტორინგი და პროგრამებისა და ინტერვენციების შედეგების შეფასება.
25. კვლევის მეშვეობით უნდა განისაზღვროს ის ფაქტორები, რომლებიც სამართალდამრღვევებს უზიძგებს, შემდგომში აღარ ჩაიდინონ დანაშაულები და, პირიქით, რომლებიც ამას ვერ ახერხებს.
26. საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების გავლენის კვლევა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ზედამხედველობის შემდგომი განსჯის დაფიქსირებით, არამედ, გამოყენებული უნდა იყოს უფრო ზუსტი კრიტერიუმი. მაგალითად, ამგვარი კვლევა ადგენს განმეორებითი დანაშაულის სიხშირეს და სერიოზულობას და საზოგადოებაში ინტეგრირების პირად და სოციალურ ინდიკატორებს, ასევე, სამართალდამრღვევთა მოსაზრებებს საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით.
27. რამდენადაც შესაძლებელია, კვლევა სხვადასხვა პროგრამის ეფექტურობის შედარების საშუალებას უნდა იძლეოდეს.
28. უნდა მომზადდეს სტატისტიკა, რომელიც რუტინულად აღწერს საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების გამოყენების მასშტაბსა და შედეგებს.
29. დროდადრო უნდა ჩატარდეს საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების განხორციელებისას თანამშრომელთა სამუშაო დატვირთვის მოცულობისა და ხარისხის შეფასება, რათა მიღწეულ იქნეს ეფექტურობის მაღალი დონე და თანამშრომლების მორალური და ფსიქიკური სტაბილურობა.

**ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის
რეკომენდაცია №(97) 12 ნაპრი
სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი
სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე
კანსუნისგებელი კადრების შესახებ**

*(დამტკიცებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1997
წლის 10 სექტემბერს, მინისტრთა მოადგილეების მე-600
შეხვედრაზე)*

მინისტრთა კომიტეტი ევროპის საბჭოს წესდების 15.ბ მუხ-
ლის პირობების თანახმად,

დანაშაულის კონტროლისა და ეჭვმიტანილთა ან მსჯავრდე-
ბულ სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის მიზნით,
ციხის პოლიტიკის საერთო პრინციპების დანერგვის კუთხ-
ით, ევროპის საბჭოს ინტერესებიდან გამომდინარე, იმავე-
დროულად, ადამიანის უფლებათა ეფექტურად პატივისცე-
მის ნიშნად;

აღიარებს №(66)26 რეზოლუციის მნიშვნელობას ციხის
თანამშრომელთა სტატუსის, შერჩევის და ტრენინგის შეს-
ახებ, ასევე №(68) 24 რეზოლუციას ციხის თანამშრომელთა
სტატუსის, შერჩევის და თანამდებობრივი რანგის მო-
საპოვებელი ტრენინგის შესახებ და ციხის ადმინისტრი-
რებისა და პროფესიული პრაქტიკის განახლების საჭიროე-
ბის გათვალისწინებით, რომელიც ამ პრაქტიკის მიღების
შედეგად წარმოიშვა, სხვებთან ერთად შეიმუშავეს №(87)3
რეკომენდაცია ევროპის ციხის წესების შესახებ;

ასევე, აღიარებს საზოგადოებრივი სანქციებისა და
ღონისძიებების ევროპული წესების №(92) 16 რეკომენდა-
ციაში გაცხადებული საზოგადოებრივი სანქციებისა და
ღონისძიებების აღსრულებაში ჩართული თანამშრომლების
შერჩევის, ტრენინგისა და სტატუსის დადგენის პრინცი-
პების დანესების აუცილებლობას;

აღიარებს, რომ საზოგადოებრივი და საპატიმრო სანქციები-

სა და ღონისძიებების დამაკმაყოფილებლად იმპლემენტაცია საჭიროებს კვალიფიციურ, კომპეტენტურ და ერთგულ კადრებს, რათა მიღწეულ იქნეს სანქციებისა და ღონისძიებების მიზნები;

უნდა ვალიაროთ, რომ საზოგადოებრივ და საპატიმრო სანქციათა და ღონისძიებათა რამდენიმე მიზნის განხორციელება განსაკუთრებით საჭიროებს აღსრულებაზე პასუხისმგებელი კადრების მჭიდრო თანამშრომლობას ორ სექტორს შორის, შესაბამისად, ყურადღება უნდა მიექცეს კადრების მობილურობის შესაძლებლობებსაც;

ითვალისწინებს, რომ სასურველია კადრების შერჩევა განხორციელდეს მათი კვალიფიკაციისა და პიროვნული თვისებების გათვალისწინებით, რაც აუცილებელია სხვადასხვა დავალების შესასრულებლად;

აქვე ამტკიცებს, რომ მათ უნდა მიეცეთ საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მუდმივად განვითარების მნიშვნელოვანი შესაძლებლობები, რათა კომპეტენტურად და ინოვაციურად შეასრულონ საკუთარი დავალებები და გაუმკლავდნენ ახალ გამოწვევებს;

ითვალისწინებს რა, რომ სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელ სხვადასხვა პირს შორის თანამშრომლობის ხელშესაწყობად, სამუშაო უნდა განხორციელდეს მიზნებისა და სამუშაო მეთოდების შესახებ საკუთარი ცოდნის ურთიერთგაზიარების საფუძველზე;

ითვალისწინებს, რომ სანქციებისა და ღონისძიებების იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი კადრების შერჩევა და პროფესიული განვითარება უნდა განხორციელდეს სამუშაოსადმი ერთიანი მიდგომის პრინციპების თანახმად;

მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლებს მიენიჭოთ შესაბამისი სტატუსი, რაც გულისხმობს იმ ძირითად ფუნქციებს, რომლებსაც ისინი ახორციელებენ საზოგადოების სახელით და აქვთ მუშაობის ისეთი პირობები, რომლებიც შეესაბამება მათ კვალიფიკაციას და ითვალისწინებს მათი სამუშაოს მოთხოვნებს;

ალიარებს საზოგადოებრივი და საპატიმრო სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი კადრების მიერ შესრულებული სამუშაოს ეთიკური საფუძვლების დეტალურობის მნიშვნელობას;

და ნევრი სახელმწიფოების მთავრობებს აძლევს რეკომენდაციებს, რომ:

- იხელმძღვანელონ იმ პრინციპებით, რომლებიც უპირატესია კადრების შერჩევის, ტრენინგის, სამუშაო პირობებისა და მობილურობის თვალსაზრისით სანქციებისა და ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით და მოცემულია ამ რეკომენდაციის I დანართში;
- შესაბამისი ქმედებების განხორციელება ეროვნული ეთიკური გაიდლაინების შესამუშავებლად იმ კადრებისათვის, რომლებიც ახორციელებენ სანქციებსა და ღონისძიებებს. ეს გაიდლაინები უნდა მომზადდეს ამ რეკომენდაციის II დანართში მოცემული ევროპული გაიდლაინების შესაბამისად, ან, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული ეთიკური გაიდლაინების მიღებით, რომლებიც შეესაბამება ევროპულ გაიდლაინებს;
- განხორციელდეს რეკომენდაციისა და მისი განმარტებითი მემორანდუმის რაც შეიძლება ფართოდ გავრცელების ხელშეწყობა.

№ (97) 12 რეკომენდაციის I დანართი

სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების შერჩევისა და ტრენინგის პრინციპები, თანამშრომელთა მუშაობისა და მობილურობის პირობები

1. ზოგადი პრინციპები

1. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელ თანამშრომელთა მოვალეობების დეტალური პოლიტიკა უნდა მომზადდეს ფორმალური დოკუმენტის ან დოკუმენტების სახით და მასში მოცემული უნდა იყოს შერჩევის, ტრენინგის,

სტატუსის დადგენის ძირითადი ასპექტები, მუშაობისა და მობილურობის პირობები. პოლიტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ამახვილებდეს კორპორაციული და ინდივიდუალური მოვალეობების ეთიკურ ხასიათსა და ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების ეროვნულ ასპექტებზე. მისი ფორმულირება უნდა მოხდეს თანამშრომლებსა და/ან პროფესიულ წარმომადგენლებთან ერთად. სამსახურის ბიუჯეტში უნდა გამოიყოს შესაბამისი ფინანსური რესურსები ამ პოლიტიკის განსახორციელებლად.

2. თანამშრომელთა მიმართ პოლიტიკაზე გავლენას ახდენს ცვლილებები, რომლებიც სანქციებისა და ღონისძიებების იმპლემენტაციის სფეროში ხორციელდება, უფრო ზოგადად კი, მიმდინარე ადმინისტრაციული, პროფესიული და სოციალური განვითარებები, ამიტომ უნდა მოხდეს პოლიტიკის პრინციპების გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, შეცვლა.
3. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების რაოდენობა საკმარისი უნდა იყოს დაკისრებული სხვადასხვა ვალდებულების ეფექტურად განსახორციელებლად. მათ უნდა გააჩნდეთ პიროვნული მახასიათებლები და ხასიათი, ასევე პროფესიული კვალიფიკაცია, რომელიც აუცილებელია დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად.

II. კადრების შერჩევა

4. შესაძლებელი უნდა იყოს კადრების შერჩევის პრინციპების ფართოდ გამოყენება არა მხოლოდ სამსახურში მიღების საწყის ეტაპზე, არამედ ასევე პრობაციისა და სასჯელაღსრულების სამსახურების სხვა პოზიციებისთვისაც.
5. სამსახურში მიღების ანარმის გადანყვეტილები-სას გამოყენებული უნდა იყოს სამუშაოს აღწერილ-

ობები, რომლებიც ნათლად და კონკრეტულად უნდა განმარტავდეს შესასრულებელი სამუშაოს მიზნებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას. ზუსტად უნდა იყოს განმარტებული ასევე დაქირავების პირობები, მათ შორის, დანიინაურების შესაძლებლობები.

6. შესაფერისი კანდიდატების მოსაზიდად, შესაბამისი განცხადება უნდა გაკეთდეს შერჩევის კრიტერიუმებისა და საჭირო კვალიფიკაციის შესახებ.
7. გარდა შესაბამისი განათლების, კარგი ხასიათისა და სათანადო გამოცდილებისა, აპლიკანტებს უნდა ჰქონდეთ მოქნილი და სტაბილური ხასიათი, იყვნენ მოტივირებულნი, გააჩნდეთ ადამიანებთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის უნარი და გააჩნდეთ სწავლის სურვილი.
8. კადრების შერჩევის პროცედურები უნდა იყოს დეტალური, ნათელი, სამართლიანი და არადისკრიმინაციული. სამსახურში აყვანა-არაყვანაზე პასუხისმგებელი ორგანო უნდა შედგებოდეს შესაბამისი გამოცდილების მქონე პირებისაგან და უნდა მუშაობდეს მიუკერძოებლად.
9. იმის მიუხედავად, თუ რა მეთოდები გამოიყენება პიროვნული მახასიათებლების შესარჩევად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საზომი მექანიზმების მიუკერძოებლობა, ვალიდურობა და კანონიერება.
10. კადრების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქალი და მამაკაცი კადრების სასურველი რაოდენობით წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, ასევე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა, რათა შესაძლებელი იყოს ეჭვმიტანილის ან მსჯავრდებულის საჭიროებების დაკმაყოფილება.
11. მაღალ თანამდებობებზე კადრების შერჩევა ეფუძნება პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას და მენეჯერულ პოტენციალს. ეფექტური მომსახურების ან მომსახურებების მინოდების

ინტერესებიდან გამომდინარე, მაღალი თანამდებობის კადრების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს კარიერული ზრდის შესაძლებლობები, ასევე, ახალი მიდგომებისა და კონკრეტული უნარჩვევების განვითარება. გარე შერჩევის შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შერჩეულ პიროვნებას გააჩნდეს შესაბამისი გამოცდილება და უნარები.

12. იმ შემთხვევებში, როდესაც კადრები დაქირავებული არიან კონტრაქტის საფუძველზე, ან მუშაობენ მთავრობის მიერ გრანტით დაფინანსებულ სამსახურში, რომელსაც ევალება სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულება, მათი შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ პიროვნული თვისებები და ფორმალური კვალიფიკაცია მათი პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების ადეკვატური იყოს.
13. უკმაყოფილების გამო სამსახურის დატოვებისა და სამუშაო ძალის ფუჭად დახარჯვის თავიდან ასაცილებლად, უნდა ჩამოყალიბდეს სოლიდური ტრენინგის ბაზა, ასევე შესაბამისი ზომები უნდა გატარდეს ახლად შერჩეული თანამშრომლების ორიენტირებისა და სამუშაოს შესახებ რეალისტური მოსაზრებების ჩამოყალიბებისათვის.

III. ტრენინგი

14. თანამშრომელთა ყველა ტრენინგზე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ დავალებებზე, რომლებსაც სამსახური სანქციებისა და ღონისძიებების იმპლემენტაციისას ასრულებს მათი მიზნების, შინაარსისა და მეთოდების თვალსაზრისით. სანქციებისა და ღონისძიებების აღმსრულებელმა სამსახურმა უნდა უზრუნველყოს თანამშრომლები ადეკვატური ტრენინგით, რაც ასევე მოიცავს შესაბამისი საერთაშორისო მექანიზმების ცოდნას.

15. იმ შემთხვევაში, თუკი თანამშრომელს შერჩევამდე არ გაუვლია საჭირო პროფესიული ტრენინგი, სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელმა სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ამგვარი ტრენინგის ჩატარება.
16. სანციის ტრენინგის მიზანია ახლად დაქირავებული თანამშრომლისათვის იმ დავალებების გაცნობა, რომლებიც უნდა განხორციელდეს პროფესიული უნარ-ჩვევების გამოყენებით, ასევე, სამუშაო გარემოს, კერძოდ კი, იმ პრობლემების გაცნობა, რომლებიც შეეხება დანაშაულს და შესაბამის სოციალურ კონტექსტს. ტრენინგი ასევე წარმოადგენს უქმნის თანამშრომელს მოცემული პროფესიის ძირითადი ფასეულობების შესახებ და, შესაბამისად, საშუალებას აძლევს, იპოვოს საკუთარი ადგილი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელ სამსახურში.
17. სანციის ტრენინგის პროგრამები უნდა მოიცავდეს თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, რომლებიც ინდივიდუალურ დავალებებსა და ფუნქციებს უკავშირდება, ასევე, სამსახურის მოწყობასა და ფუნქციების შესახებ ინფორმაციას. ტრენინგის ხანგრძლივობა შესაბამისი უნდა იყოს.
 პროგრამები უნდა მოიცავდეს ქცევის, კომუნიკაციისა და სხვა ადამიანური ურთიერთობების უნარ-ჩვევების დაკვირვებასა და ინტერპრეტაციის საკითხების შესწავლას.
 მათი შეცვლა უნდა განხორციელდეს სანქციებისა და ღონისძიებების იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი სამსახურის მიზნებისა და მეთოდების გათვალისწინებით. განსაკუთრებით ეს შეეხება იმ პროგრამებს, რომლებიც გულისხმობს კონკრეტული ფუნქციების ხასიათის შეცვლას და ნებისმიერ გარე განვითარებას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება აღნიშნულ საკითხებს.

18. თავდაპირველი ტრენინგები სწავლების ეფექტური პროცედურების გამოყენებით უნდა განხორციელდეს. საჭიროების შემთხვევაში, უნდა მოხდეს მასწავლებლების მონვევა სანქციებისა და ღონისძიებების აღმასრულებელ სამსახურში.
19. თავდაპირველი ტრენინგის პროცესი გულისხმობს მიღებული ცოდნის გადამონმებას და ტრენინგის მონაწილეთა შეფასების საშუალებას იძლევა. მიღებული უნდა იქნეს სპეციალური ზომები, რათა შეფასებები იყოს სამართლიანი როგორც ტრენინგის პერიოდში, ასევე ტრენინგის დასასრულს.
20. უწყვეტი ტრენინგის მიზანია, თანამშრომლებს მისცეს მუდმივი განვითარების შესაძლებლობა და, შესაბამისად, ხელი შეუწყოს მათი პროფესიონალიზმის ზრდას. ტრენინგის შედეგი, როგორც წესი, კონკრეტულ საგანსა ან საგნებში ეროვნული კვალიფიკაციის მიღებაა.
- ამგვარი ტრენინგი შესაბამის პირებთან კონსულტაციების საფუძველზე უნდა დაიგეგმოს. უწყვეტი ტრენინგი სავალდებულო უნდა იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც განსახორციელებელი განვითარებების შედეგად სამსახურს ახალი და მნიშვნელოვანი მოთხოვნები ეკისრება და ტრენინგი სწორედ ამგვარი ცვლილებების განხორციელებამდე უნდა მოეწყოს. სავალდებულო უნდა იყოს იმ შემთხვევებშიც, როდესაც ამას კონკრეტული დავალებების ასპექტები მოითხოვს.
- რამდენადაც შესაძლებელია, ტრენინგი უნდა მოიცავდეს საერთაშორისო დონეზე არსებული გამოცდილებების გაზიარებას, თუკი ეს ინდივიდუალური პირის განვითარებას შეუწყობს ხელს, ან როდესაც ეს რომელიმე კონკრეტულ სამსახურს ესაჭიროება.
21. უწყვეტი ტრენინგის შინაარსი, რამდენადაც შესაძლებელია, მიმართული უნდა იყოს თანამშრომელთა

მიერ სამუშაოსთან დაკავშირებით გამოთქმულ საჭიროებებზე. პროცედურები, რომლებიც ამგვარი საჭიროებების გამოხატვის საშუალებას იძლევა, თანამშრომლებთან კონსულტაციის საფუძველზე უნდა მომზადდეს.

22. თუკი დანინაურებისათვის უწყვეტი ტრენინგის კონკრეტული ფორმების გამოყენების აუცილებლობა არსებობს, სანქციებისა და ღონისძიებების აღმსრულებელმა სამსახურმა ძალისხმევა უნდა მოახმაროს ამგვარი პირების სპეციალური ტრენინგებით უზრუნველყოფას.
23. ტრენინგების ჩასატარებლად მონვეულნი უნდა იყვნენ სპეციალისტები, რომლებიც არ მუშაობენ სანქციებისა და ღონისძიებების იმპლემენტატორ სამსახურში. ამგვარი ტრენინგი სამსახურის გარე უწყებებთან თანამშრომლობით უნდა ჩატარდეს.
24. სპეციალური ზომები უნდა გატარდეს სამუშაო საათების დაგეგმვასთან დაკავშირებით, რათა თანამშრომლებს უწყვეტ ტრენინგებზე დასწრების საშუალება მიეცეთ ჩვეულებრივი სამუშაო საათების პერიოდში.
25. მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, უწყვეტი ტრენინგი უნდა მოიცავდეს სხვადასხვა კატეგორიის თანამშრომლებთან ჩასატარებელ პროგრამებს, განურჩევლად მათი წოდებისა და ფუნქციებისა, რათა გაუმჯობესდეს სამსახურში სხვადასხვა კატეგორიის კადრებს შორის თანამშრომლობა. შესაბამისად, ტრენინგის პროგრამები სხვადასხვა სპეციალობის მქონე ნევრებისაგან შემდგარი ჯგუფის ერთად მუშაობის სწავლებას უნდა ისახავდეს მიზნად.
26. მენეჯმენტის ტრენინგები თანამშრომლებს სხვადასხვა შინაარსისა და მეთოდების პროგრამებს უნდა სთავაზობდეს, რომელთა მიზანი იქნება ადმინისტრაციული და გუნდის ხელმძღვანელობის ინ-

სტიტუციური განვითარება და, საჭიროების შემთხვევაში, გარე რესურსების მობილიზაციის საშუალებას მოგვცემს. სხვადასხვა თემას შორის სპეციალური ადგილი უნდა დაეთმოს პასუხისმგებლობის დელეგირების საკითხს.

დაკისრებული მოვალეობების შინაარსის შესაბამისი მენეჯმენტის ტრენინგი სავალდებულო უნდა იყოს როგორც მაღალი ნოდების მენეჯერთათვის, ასევე მათთვის, ვისაც უშუალოდ ევალება სამმართველოების ხელმძღვანელობა.

27. უნდა განხორციელდეს ტრენინგების სისტემატიური შეფასება ტრენინგების ეფექტურობის გაზომვის მიზნით, რათა გაირკვეს, ერთი მხრივ, რა შეისწავლეს მონაწილეებმა და, მეორე მხრივ, რამდენად იყენებენ მიღებულ ცოდნას სამსახურში. ამგვარი შეფასებების შედეგების საფუძველზე, საჭირო ცვლილებები უნდა განხორციელდეს ტრენინგის პროგრამებსა ან ტრენინგის შედეგების გამოყენების პირობებში.
28. რამდენადაც ტრენინგთა შერჩევა მთლიანად ტრენინგის სახეობაზეა დამოკიდებული, უნდა არსებობდეს ფართო არჩევანის საშუალება. კანდიდატებს უნდა გააჩნდეთ პროფესიული მიდგომა, თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ცოდნის გამოცდილება, ქცევის ანალიზის და სხვების მოსმენის უნარი.
29. ტრენინგები იმ პროცედურების მეშვეობით უნდა შეირჩნენ, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი ხარისხის ადამიანური და პროფესიული ჩვევებით, რაც აუცილებელია მათი ფუნქციების განსახორციელებლად. ამისათვის ისინი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ყველა საჭირო ფუნქციით და საკმარისი დროით.
30. როდესაც ტრენინგები სანქციებისა და ღონისძიებების აღმასრულებელი სამსახურიდან არიან შერჩეული, მათი თანამდებობები და ვალდებულებები

ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული. საჭიროების შემთხვევაში, ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების განახლებისათვის ისინი უნდა დაუბრუნდნენ სავსელ სამუშაო ადგილს. ნებისმიერი დრო, რომელიც ტრენინგის საქმიანობების განხორციელებისათვის საჭირო დროებითი დავალების შესრულებას მოხმარდა, აღიარებული უნდა იყოს კარიერული თვალსაზრისით.

31. რამდენადაც ნებისმიერი წოდების თანამშრომელთა ტრენინგი ეფექტურობის მიღწევისათვის მნიშვნელოვან ინვესტიციად უნდა ჩაითვალოს, სანქციებისა და ღონისძიებების აღმასრულებელი სამსახურის ბიუჯეტიდან ადეკვატური თანხა უნდა გამოიყოს ტრენინგის ხარჯებისათვის.

სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებასთან დაკავშირებული პოლიტიკის არსებითი ცვლილება, რომელიც თანამშრომელთა ტრენინგის საჭიროებას გამოიწვევს, უნდა მოიცავდეს შესაბამისი საბიუჯეტო საჭიროებების გამოთვლებს. ეს განსაკუთრებით ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც სპეციალური პროექტები მზადდება ეჭვმიტანილთა ან მსჯავრდებულთათვის, რამაც შეიძლება ამ საქმიანობაში ჩართული თანამშრომლების დამატებითი ტრენინგის საჭიროება წარმოშვას.

32. ტრენინგის საქმიანობების დეცენტრალიზაციას ყოველთვის თან უნდა სდევდეს დეცენტრალიზებული ტრენინგის განმახორციელებელი ორგანოსათვის ინდივიდუალური ბიუჯეტის გამოყოფა.
33. თანამშრომლებს, რომლებიც სპეციალისტის ფუნქციებს ასრულებენ სრულ თუ ნახევარ განაკვეთზე, შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულების სამსახურში მუშაობის დაწყებამდე გაიარონ ტრენინგი, რომელიც სპეციალურად ახალ გარემოსთან შესაგუებლად და მათი კონკრეტული ფუნქციის შესასწავლად შემაჯავებელი.

საჭიროების შემთხვევაში, ამ კატეგორიის თანამშრომლებს უნდა ჩაუტარდეთ მათი სამუშაოს სწორად შესრულებისათვის საჭირო ნებისმიერი ფორმის დამატებითი ტრენინგი.

IV. სამუშაო პირობები და მენეჯმენტის მოვალეობები

34. ეფექტურობა მოითხოვს, რომ თანამშრომლები კარგად იცნობდნენ მათი საქმიანობის ფუნდამენტურ პრინციპებს. ამისათვის უნდა მომზადდეს პოლიტიკის განაცხადი, რომელიც მომავალში საჭიროებისამებრ განახლდება. პოლიტიკა განსაზღვრავს შესაბამისი სამსახურის ზოგად მიზნებს, პრინციპებს, ღირებულებებსა და მეთოდებს.
35. ამგვარი პოლიტიკის განაცხადის მომზადება თანამშრომლებთან კონსულტაციის საფუძველზე უნდა მოხდეს, რათა დაცული იყოს მათი ინტერესები და უზრუნველყოფილი იყოს პროცესში მათი ჩართულობა.
36. პოლიტიკის განაცხადი უნდა მოიცავდეს იმ სამსახურის საქმიანობებს, რომელიც პასუხს აგებს საზოგადოებრივ და საპატიმრო სანქციებსა და ღონისძიებებზე და ხაზს უსვამს თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების მნიშვნელობას. იმ შემთხვევაში, თუკი სამსახური ერთდროულადაა პასუხისმგებელი საზოგადოებრივ და საპატიმრო სანქციებსა და ღონისძიებებზე, მაგრამ მათი ადმინისტრირება დამოუკიდებლად ხორციელდება, უნდა მოხდეს ორი დოკუმენტის ჰარმონიზაცია, რათა უზრუნველყოფილი იქნეს თითოეული სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოს პრინციპებისა და ფასეულობების თანხვედრა.
37. პოლიტიკის განაცხადს თან უნდა ერთვოდეს გაცხადებული მიზნების მიღწევის გეგმა. მიზნები რეალური და პოტენციურად მიღწევადი უნდა იყოს. მიზნების დასახვისას გათვალისწინებული უნდა

- იქნეს თანამშრომელთა პროფესიული მოსაზრებები.
38. მიზნების მიღწევის მეთოდები მიმართული უნდა იყოს ორგანიზაციის თანამშრომელთა შემოქმედებითი უნარის გამოყენებასა და პასუხისმგებლობის გრძნობის არსებობაზე, ყველა დონეზე. ამისათვის ყველა დონის მენეჯერმა მკაცრად უნდა შეინარჩუნოს და ხელი შეუწყოს თანამშრომელთა პროფესიული თვითმყოფადობისა და უნარ-ჩვევების განვითარებას.
 39. პროფესიული თვითმყოფადობა იმ ორგანოს გაცნობიერებასა და ეთიკიდან მომდინარეობს, რომელიც სპეციალიზირებულია და ავითარებს ცოდნას და სამუშაო უნარ-ჩვევებს. ამიტომ ყველა რანგის და კატეგორიის თანამშრომელს მუდმივად უნდა შესთავაზონ სწავლის სხვადასხვა შესაძლებლობა, რათა გაეცნონ მოცემულ სფეროში არსებულ წინსვლებს. უფრო კონკრეტულად, პრობაციის თანამშრომლებს საშუალება უნდა მიეცეთ, გაეცნონ ციხის მუშაობასთან დაკავშირებულ პრობლემებს და შეეცადონ, გადალახონ ისინი. შესაბამისად, ციხის თანამშრომლებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ გაეცნონ პრობაციის სამსახურის მუშაობას.
 40. სამუშაო პირობები და გასამრჯელო ეფექტურ თანამშრომლებს ახლიდან შერჩევისა და გადამზადების საშუალებებს უნდა აძლევდეს, ასევე, ხელს უნდა უწყობდეს საკუთარი ფუნქციების სწორად განხორციელებასა და პროფესიული ვალდებულებების ცოდნის დახვეწაში.
 41. სპეციალური ძალისხმევა უნდა მოხმარდეს იმის უზრუნველყოფას, რომ სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები იღებდნენ სათანადო სოციალურ აღიარებას.
 42. ყველა დონის მენეჯმენტი უნდა მიიღტვოდეს ისეთი სამუშაო პირობების პრევენციისაკენ, რომელიც ხელს უწყობს სტრესის სიმპტომების ზრდას თანამ-

შრომლებში და ამისათვის უნდა უზრუნველყოს მათი ფიზიკური უსაფრთხოება, გონივრული სამუშაო საათების არსებობა, გადანყვეტილების მიღების მოცულობა, თითოეულ სამუშაო სამსახურში ოპერატიული კომუნიკაციისა და ფსიქოლოგიურად მხარდამჭერი გარემოს შექმნა.

43. იმ შემთხვევაში, თუკი თანამშრომელი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ტრავმული შემთხვევის მსხვერპლი გახდა, მას დაუყოვნებლივ უნდა გაენიოს დახმარება. თუ საჭიროა, უნდა ჩატარდეს პირადი კონსულტაცია და სხვა ნებისმიერი სახის გრძელვადიანი ღონისძიება.
44. უნდა დაინერგოს თანამშრომელთა კეთილდღეობის პოლიტიკა, რაც თანამშრომლებს იმ პირადი პრობლემების გამკლავებაში დაეხმარება, რომლებიც გავლენას ახდენენ მის მუშაობაზე. თანამშრომლებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სრულყოფილი ინფორმაცია შეთავაზებული დახმარების ხასიათის შესახებ.
45. თანამშრომელთათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს რეალური ინფორმაცია დანინაურების შესაძლებლობების შესახებ. დანინაურების შესახებ გადანყვეტილებები ხაზს უსვამდეს იმ კომპეტენციებს, რომელიც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ქონას გულისხმობს. შეფასებისას შერჩევის პროცედურები საშუალებას უნდა იძლეოდეს სამართლიანად იქნეს გათვალისწინებული სამუშაო გამოცდილება, სამუშაოსათვის მოხმარებული ძალისხმევა და შესრულებული სამუშაოს პროფესიული ხარისხი, მათ შორის, სხვებთან მუშაობის უნარი. რეგულარული და ხშირი სამუშაოს შესრულების შეფასება განხილული უნდა იქნეს შესაბამის პირთან, რათა დაეხმაროს თანამშრომელს პოტენციალის სრულად გამოვლენასა და შესაძლო დანინაურებისათვის მომზადებაში.

46. დანინაურება კომპეტენციის აღიარების ერთადერთი ფორმა არ არის. უნდა მოიძებნოს და, საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებულ იქნეს აღიარების სხვა ფორმები.
47. უნდა წახალისდეს თანამშრომელთა მუშაობის შესახებ კვლევის ჩატარება. ამგვარი კვლევის მიზანი უნდა იყოს იმის დადგენა, თუ რამდენად შეიძლება მოცემული მომსახურების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება თანამშრომელთა უკეთესად შერჩევის, ტრენინგის, სამუშაოს ორგანიზებით, დაინტერესებითა და პროფესიული მხარდაჭერის გზით.

V. მობილურობა

48. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამსახურებში და სამსახურებს შორის ეფექტური მუშაობის მხარდასაჭერად, ერთი სამსახურის თანამშრომლებს უნდა მიეცეთ მეორე სამსახურის ტრენინგებზე დასწრების შესაძლებლობა. ამგვარი შესაძლებლობა მხოლოდ მოცემული პირის თანხმობის საფუძველზე უნდა განხორციელდეს და არ უნდა გულისხმობდეს თანამშრომლის ფორმალური სტატუსის შეცვლას.
49. სანქციებისა და ღონისძიებების იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი სამსახურის მუშაობის გასაუმჯობესებლად, შესაძლებელი უნდა იყოს პრობაციის სამსახურის თანამშრომელთა სტაჟირებაზე გაგზავნა ციხეში და პირიქით, ციხის თანამშრომელთა სტაჟირება პრობაციის სამსახურში. სტაჟირების ხანგრძლივობა, რომელიც არ უნდა გახდეს სხვა სამუშაოზე გადაყვანის საფუძველი, განისაზღვრება მისი მიზნის ან მიზნების შესაბამისად.
50. დროებითი სტაჟირება დამოკიდებულია მოცემული კონკრეტული პიროვნების შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის ქონაზე. საბიუჯეტო შეზღუდვები არ უნდა გახდეს იმ პიროვნების სტაჟირებაზე გაგზავნის საფუძველი, რომელსაც არ გააჩნია სათანადო

ნადო კვალიფიკაცია. სპეციალური ზომები უნდა გატარდეს შესაფერისი კანდიდატის შესარჩევად. ნებისმიერი სახის საჭირო ტრენინგი ან მომზადება სტაჟირებამდე უნდა განხორციელდეს.

51. თანამშრომლის მიერ ციხიდან პრობაციაში (ან პირიქით) სამუშაოდ მუდმივად გადასვლის საკითხი განხილული უნდა იქნეს ამგვარი ქმედების მარეგულირებელი სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად.

№ (97) 12 რეკომენდაციის II დანართი

ევროპული სახელმძღვანელო სანქციებისა და ღონისძიებების აღმასრულებელი თანამშრომლებისათვის განკუთვნილი ეროვნული ეთიკური სახელმძღვანელოსათვის

1. ზოგადი ეთიკური მოთხოვნები

1. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები ერთგულად და კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდნენ სახელმწიფო მექანიზმებით დაკისრებულ მოვალეობებს. იგივე წესი ვრცელდება სანქციებისა და ღონისძიებების აღმასრულებელი სამსახურის პოლიტიკის, პრაქტიკისა და ინსტრუქციების თავსებადობაზე სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან, რამდენადაც ჯერჯერობით ისინი აშკარად განსხვავდება გამოყენებული იურიდიული მექანიზმებისაგან.
2. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი სამსახური ვალდებულია, განუმარტოს თანამშრომლებს სანქციებისა და ღონისძიებების იმპლემენტაციისას გამოყენებული ეთიკური მოთხოვნები, რათა ყველა დონეზე განხორციელდეს სამუშაო ეფუძნებოდეს ეთიკის დაცვის პრინ-

ციპებს. სამსახური უნდა ცდილობდეს, მოახდინოს პრევენცია ან, სადაც საჭიროა, შესაფერისი პროცედურებისა და მითითებების გზით გადაჭრას ეთიკასთან დაკავშირებული ეჭვები, რომლებიც თანამშრომლებს გააჩნიათ პოლიტიკის, პრაქტიკის ან ინსტრუქციების შესახებ.

3. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების ქცევა სამსახურსა და მის გარეთ უნდა შეესაბამებოდეს სამსახურის მიერ დადგენილ პოლიტიკას, პრინციპებსა და ინსტრუქციებს, რათა უარყოფითად არ აისახოს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე და არ შეურაცხყოს მისი ღირსება. თანამშრომელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობს ზედამხედველს ნებისმიერი ქცევის ან ქმედების შესახებ, რომელსაც შესაძლოა სამსახურისათვის საზიანო შედეგი ჰქონდეს.
4. თანამშრომელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი ქცევისაგან, რომელმაც შეიძლება წარმოშვას ეჭვი, რომ სამსახურისათვის გამოყოფილი ფული ან სხვა რესურსი არასაჭიროებისამებრ არის გახარჯული.
5. როდესაც საჭიროა ეჭვმიტანილის ან მსჯავრდებულის შესახებ ინფორმაციის მინოდება უფლებამოსილი მიმღები ორგანოსათვის, თანამშრომელს ეკისრება ეთიკური ვალდებულება, უზრუნველყოს მინოდებული ინფორმაციის ობიექტურობა, გულახდილობა და ყოვლისმომცველობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი ინფორმაცია უკავშირდება სამართალდამრღვევის მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებას.
6. კოლეგებს შორის ურთიერთობისას, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების პრინციპები უპირატესი უნდა იყოს, რაც ხელს შეუწყობს იმგვარი სამუშაო გარემოს შექმნას, რომელიც ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ჯანმრთელი და უსაფრთხო იქნება როგორც თანამშრომლების, ასევე ეჭვმიტ-

ანილებისა ან მსჯავრდებულებისათვის. საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლები მზად უნდა იყვნენ, რომ დაეხმარონ ერთმანეთს სამუშაოს შესრულებისას, განსაკუთრებით ძალადობის ან სხვა სტრესული შემთხვევების დროს.

7. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები პატივს უნდა სცემდნენ კოლეგების უფლებებს, განურჩევლად მათი რასისა, ეთნიკური თუ ნაციონალური წარმომავლობისა, კანის ფერის, ენის, რელიგიის, ასაკის, სქესის, სექსუალური მიდრეკილებების, ფიზიკური ან გონებრივი მდგომარეობისა. მათ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მიიღონ მონაწილეობა რაიმე ფორმით განხორციელებულ ძალადობასა ან დისკრიმინაციაში, ასევე, არ უნდა ჰქონდეთ მცდელობა, გაამართლონ მსგავსი ქმედება.
8. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები სათანადო პატივისცემით უნდა იღებდნენ განსხვავებულ აზრს, რათა თავიდან აიცილონ სხვათა შეურაცხყოფა და უზრუნველყონ პატივისცემა. მათ არ უნდა გააკრიტიკონ საკუთარი კოლეგები ეჭმიტანილის ან მსჯავრდებულის, მათი ნებისმიერი ოჯახის წევრის ან ნაცნობის წინაშე.
9. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები კეთილსინდისიერად და გამჭვირვალედ უნდა ასრულებდნენ საკუთარ მოვალეობებს სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელ სამსახურში მომუშავე თანამშრომლების ან ორგანოების და საზოგადოების წინაშე, რათა ხელი შეუწყონ სამსახურისა და მისი თანამშრომლების მიმართ რწმენის ჩამოყალიბებას.
10. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელ სამსახურს ეკისრება ეთიკური ვალდებულება, უზრუნველყოს თანამშრომელთა

სრული ინფორმირება მედიასთან მათი ურთიერთობის ხასიათზე, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამოხატვის თავისუფლებასთან, მასზე დაფუძნებულ ნებისმიერ პოლიტიკასა ან ინსტრუქციებთან. როდესაც თანამშრომლები განცხადებას აკეთებენ მედიასთან, ისინი უნდა მოქმედებდნენ კანონის, პოლიტიკის ან ინსტრუქციების შესაბამისად. ასეთ შემთხვევებში, მათ უნდა გამოავლინონ გულწრფელობა, ობიექტურობა და გულახდილობა.

II. ეჭვიმტანილებსა ან მსჯავრდებულებთან დაკავშირებული ეთიკური მოთხოვნები

11. სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული ან საერთაშორისო იურიდიული მექანიზმებით განსაზღვრული ცალკეული პირის და ეჭვიმტანილის ან მსჯავრდებულის უფლებების პატივისცემას. ეჭვიმტანილის ან მსჯავრდებულის პატივისცემა ასევე გულისხმობს მისი ოჯახის წევრებისა და ნათესავების პატივისცემას.
12. ეჭვიმტანილებსა ან მსჯავრდებულებთან მუშაობისას, თანამშრომლები ერთგულად უნდა ემსახურებოდნენ სანქციების და ღონისძიებების აღსრულებას მათი სამსახურის პოლიტიკისა და პრაქტიკის შესაბამისად.
13. თანამშრომლებმა თავი უნდა შეიკავონ ეჭვიმტანილი ან მსჯავრდებული სამართალდამრღვევის წინააღმდეგ ნებისმიერი ფორმის ფიზიკური ან გონებრივი არასათანადო მოპყრობის განხორციელებისაგან და ყველა ღონე უნდა იხმარონ სხვათა მხრიდან მსგავსი ქცევის შესაჩერებლად.
14. თანამშრომლებმა თავი უნდა შეიკავონ სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებისას ნებისმიერი

ფორმის დისკრიმინაციისაგან და ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა არ დაუშვან დისკრიმინაციული ქმედების ჩადენა სხვა პირების ან ორგანოების მხრიდან.

15. თანამშრომლებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც პროვოცირებას უწევს ექვმიტანილის ან მსჯავრდებულის ბრალდებას. პირიქით, თანამშრომლები უნდა ცდილობდნენ, უბიძგონ ექვმიტანილს ან მსჯავრდებულს დადებითი ქმედებისაკენ საკუთარი კონსტრუქციული დამოკიდებულებების, სიტყვებისა და ქმედებების მაგალითით.
16. თანამშრომელს, რომელიც უშუალოდ მუშაობს ექვმიტანილს ან მსჯავრდებულთან, ეკისრება ეთიკური ვალდებულება, მიაწოდოს ინფორმაცია მათი მოვალეობებისა და უფლებების შესახებ, დაკისრებულ სანქციებსა და ღონისძიებებთან მიმართებით, ასევე იმ დახმარების ფორმების შესახებ, რომლებიც შეუძლია გაუწიოს კანონმორჩილი ქცევის განსაზღვრულ ვალდებულებად.
17. ინფორმაცია ექვმიტანილის ან მსჯავრდებულის, მისი მდგომარეობის, ასევე, მისი ოჯახის შესახებ დაცული უნდა იყოს კონფიდენციალურობის შესახებ არსებული საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული პირობების შესაბამისად.
18. დაუშვებელია თანამშრომლის მიერ ნებისმიერ პირობებში რაიმე ტიპის ქრთამის მიღება ან კორუფციულ საქმიანობებში მონაწილეობა ექვმიტანილთან, ბრალდებულსა ანდა მისი ოჯახის წევრებთან. მან ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა არ დაუშვას ამგვარი ქმედების ჩადენა სხვა თანამშრომლების მხრიდან.
19. თანამშრომლებმა უნდა დაამყარონ და შეინარჩუნონ პროფესიული ურთიერთობები ექვმიტანილსა ან მსჯავრდებულთან და მისი ოჯახის წევრებთან.

იმ შემთხვევაში, თუკი ეჭვი ეპარება სამართალდამრღვევსა და მისი ოჯახის წევრებთან მისი ურთიერთობის მართებულობაში, უნდა მოითხოვოს შესაბამისი რჩევა. თანამშრომელმა, რომელსაც ეკისრება ზედამხედველობის ფუნქცია, უყოყმანოდ უნდა განახორციელოს შესაბამისი ქმედება დაქვემდებარებულსა და სამართალდამრღვევს ანდა მისი ოჯახის წევრებს შორის საეჭვო ურთიერთობის შემთხვევაში.

ტერმინოლოგია

1. ტერმინი „სანქციები და ღონისძიებები“ გულისხმობს როგორც საპატიმრო, ასევე საზოგადოებრივ სანქციებსა და ღონისძიებებს. №(92) 16 რეკომენდაციაში მოცემული განმარტების თანახმად, საზოგადოებრივი სანქციები და ღონისძიებები უზრუნველყოფს სამართალდამრღვევის საზოგადოებაში ყოფნას და მისი თავისუფლების გარკვეულწილად შეზღუდვას შესაბამისი პირობებისა და/ან ვალდებულებების დაკისრებით, რომლებსაც კანონით ამ მიზნისათვის განსაზღვრული ორგანოები ახორციელებენ. „ღონისძიებები“ არის ის ზომები, რომლებიც გამოიყენება გაცხადებულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული სანქციის შესახებ გადამწყვეტილების მიღებამდე ან მის ნაცვლად, ასევე, საპატიმრო დაწესებულების გარეთ თავისუფლების შეზღუდვის შესახებ მსჯავრის აღსრულებისათვის.
2. „სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები“ გულისხმობს სამსახურის თანამშრომლებს, რომელთაც სანქციებისა და ღონისძიებების იმპლემენტაციის ოპერაციული ან მენეჯერული ვალდებულებები აქვთ, როგორც ეს ზემოთაა განსაზღვრული (ჩვეულებრივ, ციხისა და პრობაციის თანამშრომლები).

3. ტექსტში გამოყენებულია ტერმინი „ექვმიტანილი (სამართალდამრღვევები)“, რამდენადაც სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულებაზე პასუხისმგებელი სამსახური შესაძლოა ასევე პასუხისმგებელი იყოს სასამართლო განხილვამდე განხორციელებულ ღონისძიებებზე. ამის მაგალითი შეიძლება იყოს დაცვის ქვეშ დაბრუნება, საკონტაქტო პირის სასამართლო განხილვაზე წარდგენა ან, მოცემულ კონკრეტულ პირობებში და კონკრეტული უსაფრთხოების მიზნით, მოპყრობის დაგეგმვის დაწყება.
4. რამდენადაც II დანართი აწესებს ეთიკურ პრინციპებს და არა წესებს, გამოყენებულია ტერმინი „უნდა“ (ფრანგულად ტერმინი “დევოირ”). ეს კი გულისხმობს, რომ პრინციპებს უპირატესი ეთიკური ძალა გააჩნია.

**ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის
რეკომენდაცია № (92) 16 ნაწრი
სახელმწიფოებისადმი საზოგადოებრივი
საწესრიგისა და ღონისძიებების ევროპული
წესების შესახებ**

*(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1992 წლის
19 ოქტომბერს მინისტრთა მოადგილეების 482-ე
შეხვედრაზე)*

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების 15.ბ მუხლის თანახმად, ითვალისწინებს:

ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესებისათვის სისხლის სამართლის პოლიტიკის საერთო პრინციპების ჩამოყალიბების მნიშვნელობას;

წევრ სახელმწიფოებში სანქციებისა და ღონისძიებების გამოყენების სფეროში მიღწეულ მნიშვნელოვან წინსვლას;

რომ ეს სანქციები და ღონისძიებები წარმოადგენდეს დანაშაულთან ბრძოლის მნიშვნელოვანი მექანიზმების ნაწილს და ხელს უწყობდეს პატიმრობის სასჯელის გამოყენების უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილებას;

ამ სანქციებისა და ღონისძიებების შემუშავების, დაკისრებისა და იმპლემენტაციის მიზნით, საერთაშორისო ნორმების შემუშავების მნიშვნელობას;

და რეკომენდაციას აძლევს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს, რომ საკუთარი ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის განხორციელებისას იხელმძღვანელონ საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ევროპული წესების ტექსტში გაცხადებული პრინციპებით, რომლებიც თან ერთვის წინამდებარე რეკომენდაციას მათი შემდგომი განხორციელებისას და, შეძლებისდაგვარად, მოახდინონ ამ ტექსტის ფართოდ გავრცელება.

№(92) 16 რეკომენდაციის დანართი

პრეამბულა

წინამდებარე წესები მიზნად ისახავს:

- ა. ისეთი სტანდარტების დაწესებას, რომლებიც ეროვნულ კანონმდებლებს და შესაბამის პრაქტიკოსებს (გადაწყვეტილების მიღებასა და აღსრულებაზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირებს) საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების სამართლიანად და ეფექტურად გამოყენების საშუალებას მისცემს. გამოყენება მიმართული უნდა იყოს იმაზე, რომ მოინახოს საჭირო ბალანსი, ერთი მხრივ, საზოგადოების დაცვის აუცილებლობასა (როგორც საკანონმდებლო წესრიგის დაცვის, ასევე, დაზარალებულთათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას) და, მეორე მხრივ, სამართალდამრღვევის სოციალური მოწყობის/შეგუების საჭიროების აღიარებას შორის;
- ბ. უზრუნველყოს წევრი სახელმწიფოები ძირითადი კრიტერიუმებით, რათა საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების შემუშავება და გამოყენება მოიცავდეს გარანტიებს, რომ მოხდება ამგვარ სანქციებსა და ღონისძიებებს დაქვემდებარებულ სამართალდამრღვევთა უფლებების დარღვევის ძირითადი საფრთხეების შემცირება. ასევე, მნიშვნელოვანია ამგვარი სანქციებისა და ღონისძიებების განხორციელებისგან დაცვა იმ შემთხვევაში, როდესაც ამას შეიძლება შედეგად მოჰყვეს რომელიმე კონკრეტული სოციალური ჯგუფისათვის მიყენებული ზარალი/ზიანი. სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული სოციალური უპირატესობები და ნაკლოვანებები, ასევე, პოტენციური რისკები, რომლებიც შესაძლოა გამოწვეული იყოს ამგვარი სანქციებითა და ღონისძიებებით. პატიმრობის ზომის ჩანაცვლების მარტივი მიზანი არ ამართლებს სანქციებისა და ღონისძიებების გამოყენებას ან რაიმე სხვა მექანიზმის განხორციელებას.

- გ. შესთავაზოს ნათელი წესები საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისა და სხვა ღონისძიებების იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირებს და ამ სფეროში ჩართულ სხვა ადამიანებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ აღნიშნული ღონისძიებების აღსრულება შეესაბამებოდეს დადგენილ პირობებს, რაც მეტ სარწმუნოებას შემატებს სანქციებსა და ღონისძიებებს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღსრულება უნდა იყოს სწორხაზოვანი და ფორმალური. პირიქით, აღსრულება უნდა მოხდეს ინდივიდუალური მიდგომებით, რაც გულისხმობს სამართალდარღვევასა და სასჯელს შორის შესაბამისობის მიღწევას, ასევე, სასჯელის შესაბამისობას სამართალდამრღვევის პიროვნულ მახასიათებლებსა და შესაძლებლობებთან. უფრო მეტიც, იმ ფაქტმა, რომ შესაძლებელია მითითება გაკეთდეს საერთაშორისოდ აღიარებულ წესებზე, ხელი უნდა შეუწყოს გამოცდილების გაზიარებას სამუშაო მეთოდებთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ წესების ფარგლებში შეფარდებული საზოგადოებრივი სანქციები და ღონისძიებები განსაკუთრებით ღირებულია სამართალდამრღვევისათვის და, ასევე, საზოგადოებისთვისაც, რადგანაც სამართალდამრღვევს მაინც აქვს უფლება, აირჩიოს და გააცნობიეროს თავისი სოციალური პასუხისმგებლობა. იზოლაციის ნაცვლად სადამსჯელო სანქციების საზოგადოებაში აღსრულებას, გრძელვადიან პერსპექტივაში, შეუძლია შემოგვთავაზოს საზოგადოების უკეთესი დაცვა, რა თქმა უნდა, დაზარალებულის ინტერესების ან დაზარალებულის დაცვით.

შედეგად, საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების დაკისრება და იმპლემენტაცია უნდა ხორციელდებოდეს სამართალდამრღვევთან, როგორც პასუხისმგებლობის მქონე ადამიანთან მოპყრობით.

წინამდებარე წესები განიხილება რა ციხის ევროპული წესების პარალელურ წესებად, არ მიიჩნევა მოდელად. ეს

წესები ქმნის იმ მოთხოვნათა ერთობლიობას, რომლებიც საზოგადოდ მიღებულია და რომლებსაც იყენებენ. ამ მოთხოვნათა გათვალისწინების გარეშე არ მოხდება საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების დამაკმაყოფილებელი აღსრულება.

საკუთარი გამოცდილებისა და მრავალმხრივი ხედვიდან გამომდინარე, ევროპის საბჭოს უნარი შესწევს, განჭვრიტოს, რომ ეს წესები დაეხმარება ეროვნულ კანონმდებლებსაც და აღმსრულებლებსაც.

წინამდებარე წესების დებულებები ეხება ყველა სანქციასა და ღონისძიებას, რომლებიც აღსრულდება საზოგადოებაში, როგორც ეს ტერმინთა განმარტებაშია მითითებული, მათ შორის, სასჯელაღსრულების დაწესებულების გარეთ სასჯელის აღსრულებას. თუმცა, ღონისძიებები, რომლებიც არასრულწლოვნებს ეხება, ამ წესებით არ რეგულირდება.

პირველი ნაწილი — ზოგადი პრინციპები

წესი 1

წინამდებარე წესები გამოიყენება მიუკერძოებლად.

წესი 2

დანართში წარმოდგენილი ტერმინების განმარტებათა ლექსიკონი წინამდებარე წესების განუყოფელი ნაწილია.

თავი I — კანონმდებლობა

წესი 3

საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების განმარტება, მიღება და გამოყენება განსაზღვრული უნდა იყოს კანონით.

წესი 4

გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ დაწესებული საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების პირობები და ვალდებულებები განსაზღვრული უნდა იყოს გასაგები და დეტალური საკანონმდებ-

ლო დებულებებით, ისევე, როგორც ამ პირობებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგები.

წესი 5

არც ერთი საზოგადოებრივი სანქცია ან ღონისძიება არ უნდა იყოს განუსაზღვრელი ხანგრძლივობის.

საზოგადოებრივი სანქციისა და ღონისძიების ხანგრძლივობას განსაზღვრავს უფლებამოსილი ორგანო, კანონით განსაზღვრული პირობების ფარგლებში.

წესი 6

საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ხასიათი და ხანგრძლივობა უნდა შეესაბამებოდეს როგორც სამართალდამრღვევის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, რომლისთვისაც შეეფარდა სასჯელი, ან რომელშიც ადანაშაულებენ, ასევე, გათვალისწინებულ უნდა იყოს მისი პირადი გარემოებები.

წესი 7

საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოები უნდა განისაზღვროს კანონით.

განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოების ვალდებულებები და პასუხისმგებლობაც კანონით უნდა განისაზღვროს.

წესი 8

კანონით უნდა განისაზღვროს განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოების უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილება განხორციელების მეთოდების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში, განხორციელების ვალდებულების მესამე მხარისათვის დელეგირების შესახებ, ან განხორციელების შესახებ შეთანხმების დადებაზე სამართალდამრღვევთან, სხვა ორგანოებთან ან მესამე მხარესთან.

წესი 9

იმ შემთხვევაში, თუკი სამართალდამრღვევი არ ასრულებს საზოგადოებრივი სანქციის თუ ღონისძიების გადაწყვეტილებით განსაზღვრულ პირობებს ან ვალდებ-

ულებებს, სამართალდამრღვევის დაკავებისა და დაპატიმრების ღონისძიების გამოყენებას კანონი არეგულირებს.

წესი 10

კანონში არ უნდა იყოს დებულება საზოგადოებრივი სანქციის ან ღონისძიების ავტომატურად პატიმრობით შეცვლის შესახებ, მოცემული სანქციის ან ღონისძიების რომელიმე პირობის თუ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

წესი 11

კანონი უნდა განსაზღვრავდეს განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოების მიერ შესრულებული სამუშაოს რეგულარულ და გარე შემოწმებას. ამგვარი შემოწმება კვალიფიციურმა და გამოცდილმა პირებმა უნდა განახორციელონ.

თავი II — სასამართლო გარანტიები და საჩივრებთან დაკავშირებული პროცედურები

წესი 12

საზოგადოებრივი სანქციის, ღონისძიების ან წინასწარი ღონისძიების დაკისრების თუ გაუქმების გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს.

წესი 13

სამართალდამრღვევს უფლება უნდა ჰქონდეს, სარჩელი შეიტანოს უფრო მაღალი ინსტანციის ორგანოში, რათა გაასაჩივროს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც დაეკისრა საზოგადოებრივი სანქცია ან ღონისძიება, ანდა უფლება უნდა ჰქონდეს, ამგვარი სანქციის ან ღონისძიების მოდიფიცირების მოთხოვნით შეიტანოს სარჩელი.

წესი 14

საზოგადოებრივი სანქციის ან ღონისძიების განხორციელების გადაწყვეტილების წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოს წარედგინება ნებისმიერ დროს, როცა სამართალდამრღვევს გაუჩნდება გასაჩივრების სურვილი იმ მოტივით, რომ მისი თავისუფლების შეზღუდვა ან მიღე-

ბული გადაწყვეტილება არაკანონიერია, ან ეწინააღმდეგება დაკისრებულ სანქციას და ღონისძიებას.

წესი 15

გასაჩივრების პროცედურა ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამართალდამრღვევისათვის, რომელსაც სურვილი აქვს საჩივარი შეიტანოს გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელი ორგანოს მიერ მიღებულ აღსრულების გადაწყვეტილებასა ან ამგვარი გადაწყვეტილების მიუღებლობასთან დაკავშირებით.

წესი 16

სარჩელის შეტანის პროცედურა მარტივი უნდა იყოს. საჩივრები განხილული უნდა იქნეს სწრაფად და უსაფუძვლო გადადების გარეშე.

წესი 17

საჩივრების განმხილველმა ორგანომ უნდა მოიპოვოს ყველა საჭირო ინფორმაცია, რათა შეძლოს საჩივრების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ყურადღებით უნდა იქნეს განხილული, თუ რამდენად მიზანშეწონილია, რომ მოსმენაზე მომჩივანი თავად გამოვიდეს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მან თვითონ გამოთქვა ამის სურვილი.

წესი 18

საჩივრების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების საფუძვლები წერილობით უნდა აცნობონ მომჩივანსა და განმახორციელებელ ორგანოს.

წესი 19

სამართალდამრღვევს ნებართვა უნდა მიეცეს, ისარგებლოს მის მიერ შერჩეული პირის ან ოფიციალურად დანიშნული ადვოკატის დახმარებით, თუკი ამგვარი დახმარების კანონიერი საფუძველი არსებობს. ასეთი ნებართვა სამართალდამრღვევს უნდა მიეცეს იმ შემთხვევაში, როდესაც მას სურვილი აქვს, ისარგებლოს საზოგადოებრივი სანქციის ან ღონისძიების დაკისრების, მოდიფიკაციის ან გაუქმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლე-

ბით ან უფლებით, რომ გაასაჩივროს ამგვარი სანქციის ან ღონისძიების აღსრულების გადანყვეტილება.

თავი III — ძირითადი უფლებების პატივისცემა

წესი 20

საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების დაკისრებისა და განხორციელებისას დაუშვებელია დისკრიმინაცია რასობრივ საფუძველზე, კანის ფერის, ეთნიკური წარმომავლობის, ეროვნების, სქესის, ენის, რელიგიური მრწამსის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეკონომიკური, სოციალური ან სხვა სტატუსის, ფიზიკური ან გონებრივი მდგომარეობის საფუძველზე.

წესი 21

საზოგადოებრივი სანქცია ან ღონისძიება, რომელიც ზღუდავს სამართალდამრღვევის სამოქალაქო ან პოლიტიკურ უფლებებს, არ უნდა დაეკისროს, თუკი ის ეწინააღმდეგება საერთაშორისო საზოგადოების მიერ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებთან დაკავშირებით აღიარებულ ნორმებს. ეს უფლებები არ უნდა იზღუდებოდეს საზოგადოებრივი სანქციის ან ღონისძიების განხორციელებისას იმაზე მეტად, ვიდრე ეს სანქციის ან ღონისძიების დაკისრების გადანყვეტილებითაა ნაგულისხმები.

წესი 22

ნებისმიერი საზოგადოებრივი სანქციის, ღონისძიების ხასიათი და განხორციელების ხერხი სამართალდამრღვევის უფლებების საერთაშორისო გარანტიებთან შესაბამისობაში უნდა იყოს.

წესი 23

საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულების ხასიათი, შინაარსი და მეთოდები არ უნდა არღვევდეს სამართალდამრღვევის ან მისი ოჯახის წევრების პირადი ცხოვრების უფლებას, არ უნდა შეურაცხყოფდეს მათ ღირსებას და არ უნდა იწვევდეს მათ შეწუხებას. ასევე, საფრთხე არ უნდა დაემუქროს სამართალდამრღვევის

ღირსებას, ოჯახურ ურთიერთობებს, საზოგადოებასთან კავშირებს და საზოგადოებაში ფუნქციონირების უნარს. მიღებულ უნდა იქნეს უსაფრთხოების ზომები სამართალდამრღვევის შეურაცხყოფის, არამართებული ცნობის-მოყვარეობისა ან საჯაროობისაგან დასაცავად.

წესი 24

აღმასრულებელი ორგანოს ნებისმიერი ინსტრუქცია, მათ შორის, განსაკუთრებით კონტროლის მოთხოვნებთან დაკავშირებული ინსტრუქციები, უნდა იყოს პრაქტიკული, ზუსტი და შემოიფარგლებოდეს მხოლოდ იმით, რაც აუცილებელია სანქციის ან ღონისძიების ეფექტური აღსრულებისათვის.

წესი 25

საზოგადოებრივი სანქცია ან ღონისძიება არასოდეს გულისხმობს სამედიცინო-ფსიქოლოგიურ მკურნალობას და პროცედურებს, რომლებიც არ შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ ეთიკურ სტანდარტებს.

წესი 26

საზოგადოებრივი სანქციის ან ღონისძიების აღსრულების ხასიათი, შინაარსი და მეთოდები არ უნდა მოიცავდეს ფიზიკური ან მენტალური ზიანის შეუსაბამო რისკს.

წესი 27

საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების აღსრულება არ უნდა აძლიერებდეს მის მტკივნეულ ხასიათს.

წესი 28

საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების დაკისრება ან აღსრულება არ უნდა ზღუდავდეს სოციალური დაცვის სისტემაში არსებული შეღავათებით სარგებლობის უფლებებს.

წესი 29

იმ შემთხვევებში, როდესაც აღმასრულებელ ორგანოებს საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციები ან ცალკეული პირები

ეხმარებიან, მოწოდებული მომსახურებების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის პასუხისმგებლობა ეკისრება აღმასრულებელ ორგანოებს. აღმასრულებელმა ორგანომ უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, თუკი ამგვარად წარმოდგენილი დახმარება მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს.

აღმასრულებელმა ორგანოებმა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ იმ ქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც მაშინ უნდა განხორციელდეს, თუკი ზედამხედველობის საქმიანობების შედეგად გამოვლინდება, რომ სამართალდამრღვევმა არ დააკმაყოფილა პირობა ვალდებულება ან ინსტრუქცია დაკისრებული საზოგადოებრივი სანქციის/ლონისძიების შესაბამისად.

თავი IV — სამართალდამრღვევის მხრიდან თანამშრომლობა და თანხმობა

წესი 30

საზოგადოებრივი სანქციებისა და ლონისძიებების დაკისრება და განხორციელება უნდა ემსახუროდეს სამართალდამრღვევის მიერ ზოგადად საზოგადოების და კონკრეტულად დაზარალებულების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას.

წესი 31

საზოგადოებრივი სანქცია ან ლონისძიება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს გამოყენებული, როდესაც ცნობილია, თუ რა პირობები და ვალდებულებებია მართებული და მზად არის თუ არა სამართალდამრღვევი თანამშრომლობისა და მათი აღსრულებისათვის.

წესი 32

სამართალდამრღვევის მიერ მასზე დაკისრებული საზოგადოებრივი სანქციის ან ლონისძიების შესაბამისი პირობების ან ვალდებულებების შესრულება უნდა დადგინდეს როგორც მისი ინდივიდუალური საჭიროებების, ასევე, მისი შესაძლებლობების, უფლებებისა და სოციალური ვალდებულებების გათვალისწინებით.

წესი 33

სამართალდამრღვევს, საზოგადოებრივი სანქციის ან ღონისძიების დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების ფორმალური დოკუმენტის მიღების გარდა, დაკისრებული ღონისძიებებისა და სანქციების განხორციელების დაწყებამდე, უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მისთვის გასაგებ ენაზე და, თუ საჭიროა, წერილობითაც სანქციის ან ღონისძიების ხასიათისა და მიზნის, ასევე, შესაბამისი პირობების ან ვალდებულებების შესახებ.

წესი 34

საზოგადოებრივი სანქციის ან ღონისძიების განხორციელება იმგვარად უნდა იყოს დაგეგმილი, რომ უზრუნველყოს სამართალდამრღვევის მხრიდან თანამშრომლობა და დაკისრებული სანქციის მიღება, როგორც სამართლიანი და გონივრული საპასუხო ქმედება მის მიერ ჩადენილ სამართალდარღვევაზე. შესაძლებლობის ფარგლებში, სამართალდამრღვევი ჩართული უნდა იყოს აღსრულების საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

წესი 35

ბრალდებულის თანხმობა უნდა მოიპოვოთ იქამდე, ვიდრე დაეკისრება ნებისმიერი საზოგადოებრივი ღონისძიების განხორციელება სასამართლო განხილვამდე ან სანქციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ნაცვლად.

წესი 36

იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა სამართალდამრღვევის თანხმობა, მას საკითხის შესახებ ინფორმაცია უნდა მიანოდონ და განუმარტონ.

ამგვარი თანხმობა არასოდეს უნდა იყოს სამართალდამრღვევისათვის ძირითადი უფლების ჩამორთმევის შედეგი.

მეორე ნაწილი — ადამიანური და ფინანსური რესურსები

თავი V — პროფესიული კადრები

წესი 37

პროფესიული კადრების შერჩევისა და დანიშნულების პროცესში დაუშვებელია დისკრიმინაცია რასობრივი, კანის ფერის, სქესის, პოლიტიკური ან სხვა მოსაზრებების თუ შეხედულებების ნიადაგზე, ეროვნული, ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, დაბადების ან სხვა სტატუსის ნიშნით. კადრების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს კონკრეტული მიდგომები კონკრეტული კატეგორიის ადამიანებისა და სხვადასხვა სამართალდამრღვევის ზედამხედველობაზე.

წესი 38

აღსრულებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების რაოდენობა უნდა იყოს სათანადო, რათა ეფექტურად შეძლონ დაკისრებული ვალდებულებების შესრულება. მათ, ასევე, უნდა გააჩნდეთ სათანადო თვისებები და კვალიფიკაცია. გარდა ამისა, შემუშავებული უნდა იქნეს სპეციალური ნორმები და პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისობას სამუშაოს მოცულობასთან, პროფესიულ უნარ-ჩვევებსა და სამუშაოსათვის საჭირო გამოცდილებასთან.

წესი 39

აღსრულებაზე პასუხისმგებელ თანამშრომლებს ადეკვატური ტრენინგი უნდა ჰქონდეთ გავლილი და გააჩნდეთ შესაბამისი ინფორმაცია, რათა რეალური წარმოდგენა ჰქონდეთ საკუთარი კონკრეტული საქმიანობის სფეროზე, მათ პრაქტიკულ ვალდებულებებსა და სამსახურებრივი ეთიკის მოთხოვნებზე. რეგულარულად უნდა განხორციელდეს მათი პროფესიული კომპეტენციების გაძლიერება-განმტკიცება და განვითარება შემდგომი ტრენინგის, მუშაობის შესრულების მიმოხილვისა და შეფასებების მეშვეობით.

წესი 40

პროფესიონალი კადრების თანამდებობებზე დანიშვნა უნდა განხორციელდეს იმგვარი საკანონმდებლო, ფინანსური და დროის მენეჯმენტის საფუძველზე, რომ უზრუნველყოფილი იყოს პროფესიული და საკადრო უწყვეტობა, განვითარდეს თანამშრომელთა შორის ოფიციალური ვალდებულებების შესახებ ცნობიერება და ის, რომ სამსახურებრივი ურთიერთობების პირობებში მათი სტატუსი მსგავსი ფუნქციების შემსრულებელი პროფესიონალი კადრების თანაბარია.

წესი 41

პროფესიული კადრები ანგარიშვალდებული არიან კანონით განსაზღვრული აღმასრულებელი ორგანოს წინაშე. ეს ორგანო ადგენს საკუთარი თანამშრომლების მოვალეობებს, უფლებებსა და ვალდებულებებს და უზრუნველყოფს მათ ზედამხედველობასა და სამუშაოს ეფექტურობის შეფასებას.

თავი VI — ფინანსური რესურსები*წესი 42*

აღმასრულებელ ორგანოებს უნდა გააჩნდეთ სახელმწიფო ფონდის მიერ გამოყოფილი ადეკვატური დაფინანსება. მესამე პირებს შეუძლიათ ფინანსური ან სხვა სახის დახმარება გაუწიონ მათ, მაგრამ აღმასრულებელი ორგანოები მათზე არასოდეს უნდა იყვნენ ფინანსურად დამოკიდებულნი.

წესი 43

იმ შემთხვევებში, როცა აღმასრულებელი ორგანოები მოიხმარენ მესამე პირთა ფინანსურ შენატანებს, უნდა არსებობდეს დადგენილი წესი, რომელიც განსაზღვრავს გასავლელ პროცედურებს, ასევე, პირებს, რომლებიც ჩართულნი უნდა იყვნენ ამ კონკრეტული საკითხის გადწყვეტაში და ამ სახსრების გამოყენების აუდიტის მექანიზმს.

თავი VII — საზოგადოების ჩართულობა და მონაწილეობა

წესი 44

საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების ხასიათისა და შინაარსის შესახებ, ასევე, მათი განხორციელების გზების შესახებ სათანადო ინფორმაცია ფართოდ უნდა გავრცელდეს, რათა საზოგადოებას, მათ შორის კერძო პირებს, კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებს და სამსახურებს, რომლებიც ჩართულნი არიან სანქციებისა და ღონისძიებების იმპლემენტაციაში, გაცნობიერებული ჰქონდეთ მათი შინაარსი და დანაშაულებრივ ქმედებაზე ადეკვატურ და სანდო რეაქციად აღიქვამდნენ.

წესი 45

სანქციებისა და ღონისძიებების იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი ორგანოების მუშაობას თან უნდა ახლდეს საზოგადოებაში არსებული ყველა შესაფერისი რესურსის გამოყენება, რათა ამ ორგანოებმა შეძლონ სამართალდამრღვევთა შესაბამისი საჭიროებების დაკმაყოფილება და მათი უფლებების დაცვა. ამისათვის, ასევე, მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული საზოგადოების წარმომადგენელი ორგანიზაციებისა და ინდივიდუალური პირების მონაწილეობა.

წესი 46

მნიშვნელოვანია საზოგადოების მონაწილეობა, რაც სამართალდამრღვევებს დაეხმარება საზოგადოებასთან მნიშვნელოვანი კავშირების დამყარებაში, რათა საზოგადოების მხრიდან მათ მიმართ არსებული ინტერესი იგრძნონ და გაზარდონ ურთიერთობის, დახმარებისა და მხარდაჭერის შესაძლებლობები.

წესი 47

საზოგადოების მონაწილეობა უნდა განხორციელდეს იმპლემენტატორ ორგანოებთან შეთანხმების საფუძველზე, რომელშიც დაკონკრეტებული იქნება მხარეთა ვალდებულებების ხასიათი და მათი განხორციელების ხერხები.

წესი 48

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების მონაწილეობა გულისხმობს ზედამხედველობის განხორციელებას მხოლოდ კანონით განსაზღვრულ ან საზოგადოებრივი სანქციების დამკისრებელი/იმპლემენტაციური ორგანოების მიერ განსაზღვრულ ფარგლებში.

წესი 49

საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ განეული დახმარება არ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც პროფესიონალი კადრების მიერ განსახორციელებელი საქმიანობის ჩანაცვლება.

წესი 50

იმპლემენტაციორმა ორგანოებმა უნდა განსაზღვრონ ის კრიტერიუმები და პროცედურები, რომლის მიხედვითაც მოხდება საზოგადოების წარმომადგენელ პირთა შერჩევა, მათი ინფორმირება დაკისრებული დავალებების, მოვალეობების, კომპეტენციის ფარგლების, ანგარიშვალდებულებისა და სხვა საკითხების შესახებ.

წესი 52

მონაწილე საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებს ეკისრებათ პროფესიული კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება.

წესი 53

საზოგადოების წარმომადგენელი ცალკეული პირები დაზღვეულნი უნდა იყვნენ უბედური შემთხვევების, დაშავებისა და საზოგადოებრივი ვალდებულებებისაგან საკუთარი მოვალეობების შესრულების პროცესში. მათ უნდა აუნაზღაურდეთ მუშაობისას განეული ხარჯები.

წესი 54

გათვალისწინებული უნდა იქნეს მონაწილე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში გამოთქმული ზოგადი ხასიათის მოსაზრებები, ასევე, ცალკეულ საქმეებთან დაკავშირებული საკითხები. მათ უნდა მიაწოდონ საპასუხო ინფორმაცია.

მესამე ნაწილი — სანქციებისა და ღონისძიებების მენეჯმენტის ასპექტები

თავი VIII — იმპლემენტაციის პირობები

წესი 55

საზოგადოებრივი სანქციები და ღონისძიებები იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ რაც შეიძლება სასარგებლო იყოს სამართალდამრღვევისათვის და ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის საჭირო პიროვნულ და სოციალურ განვითარებას. ზედამხედველობისა და კონტროლის მეთოდები ამ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს.

წესი 56

საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების მომზადების, დაკისრების ან იმპლემენტაციის შესახებ რჩევა სასამართლოს ან პროკურორს მხოლოდ პროფესიონალი თანამშრომლებმა ან კანონით განსაზღვრულმა ორგანიზაციებმა უნდა მიანოდონ.

წესი 57

იმპლემენტატორმა ორგანიზებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პირები, რომლებიც ექვემდებარებიან საზოგადოებრივ სანქციებსა და ღონისძიებებს, ინფორმირებული იყვნენ საკუთარი უფლებების შესახებ და დაეხმარონ მათ ამ უფლებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში. პროფესიონალი თანამშრომლები, მონაწილე საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ცალკეული პირები ინფორმირებული უნდა იყვნენ ამ პირობების შესახებ.

წესი 58

სამართალდამრღვევს უფლება აქვს, საზოგადოებრივი სანქციის ან ღონისძიების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე გააკეთოს ზეპირი ან წერილობითი განაცხადი.

იმპლემენტატორმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ კონფლიქტის ან კრიზისის წარმოშობის შემთხვევაში, სამართალდამრღვევი პროფესიონალი თანამშრომლების

შესაბამის წარმომადგენელს რაც შეიძლება სწრაფად დაუკავშირდეს.

წესი 59

იმპლემენტატორმა ორგანომ უნდა მოახდინოს შესაბამისი რეაგირება და გამოიძიოს სამართალდამრღვევზე დაკისრებული სანქციის ან ღონისძიების იმპლემენტაციასთან დაკავშირებული საჩივრები. ის პასუხისმგებლობით და სერიოზულობით უნდა მოეკიდოს სამართალდამრღვევის მოთხოვნას ზედამხედველის ან სხვა პასუხისმგებელი პირის შეცვლის თაობაზე.

წესი 60

ცალკეულ საქმეს იმპლემენტატორი ორგანო აწარმოებს. ჩანაწერების განახლება მუდმივად უნდა ხდებოდეს, რათა შესაძლებელი იყოს საჭირო ანგარიშის მომზადება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ასრულებს სამართალდამრღვევი სანქციის ან ღონისძიების პირობებს ან მოვალეობებს.

წესი 61

ცალკეული საქმის მასალებში არსებული ინფორმაცია მხოლოდ დაკისრებული სანქციის ან ღონისძიების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს უნდა მოიცავდეს და მაქსიმალურად სანდო და ობიექტური იყოს.

წესი 62

სამართალდამრღვევს ან მის წარმომადგენელს უნდა შეეძლოს საკუთარი საქმის მასალებთან დაშვება იმ მოცულობით, რომ არ დაარღვიოს სხვათა პირადი საიდუმლოების უფლება. სამართალდამრღვევს უფლება აქვს, გაასაჩივროს საქმის ჩანაწერები. საჩივრის შინაარსი საქმის მასალებში უნდა აისახოს.

წესი 63

ჩვეულებრივ, ზედამხედველმა სამართალდამრღვევს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საქმის მასალების და სხვა ანგარიშების შესახებ და განუმარტოს ისინი.

წესი 64

ნებისმიერ ინდივიდუალურ საქმეში მოცემული ინფორმაციის გამხელა დაშვებულია მხოლოდ ამგვარი უფლების მქონე პირთათვის. გამხელილი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს საქმის ჩანაწერის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც საჭიროა ინფორმაციის მოთხოვნაზე განმცხადებელი ორგანოს შესაბამისი დავალებისთვის.

წესი 65

საზოგადოებრივი სანქციის ან ღონისძიების დასრულების შემდეგ, საქმის მასალები იმპლემენტატორი ორგანოს მიერ უნდა განადგურდეს, ან დაცული იყოს არქივში მესამე პირთა მიერ ინფორმაციის გამხელის შესახებ უსაფრთხოების წესების თანახმად. ეს ქმედება არ უნდა განხორციელდეს სანქციის ან ღონისძიების იურიდიული ძალის ამონაწერამდე არაუგვიანეს კანონმდებლობით ფიქსირებული ვადისა.

წესი 66

სამართალდამრღვევის შესახებ ინფორმაციის ხასიათი და მოცულობა, რომელიც გადაეცემა დამსაქმებელს, პირადი და სოციალური დახმარების სააგენტოებს, განისაზღვრება და შემოიფარგლება კონკრეტული განსახილველი ქმედების მიზნის მიხედვით. უფრო ზუსტად, გაცემული ინფორმაცია სამართალდამრღვევისთვის შეტყობინებისა და მისი თანხმობის გარეშე, არ შეიძლება მოიცავდეს ცნობებს სამართალდამრღვევის და მისი პირადი ბიოგრაფიის შესახებ, ასევე, სხვა ნებისმიერ ინფორმაციას, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი სოციალური შედეგები ან პირად ცხოვრებაში ჩარევა.

წესი 67

სამართალდამრღვევისათვის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ფარგლებში დაკისრებული დავალებები უნდა იყოს არა უსარგებლო, არამედ სოციალურად გამოსადეგი და ხელს უნდა უწყობდეს სამართალდამრღვევის უნარჩვევების მაქსიმალურ განვითარებას. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა არ უნდა ემსახურებოდეს საწარმოსათვის მოგების მიღების მიზანს.

წესი 68

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის შემსრულებელი სამართალდამრღვევის სამუშაო პირობები უნდა აკმაყოფილებდეს ჯანდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ყველა მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნას. სამართალდამრღვევები დაზღვეულნი უნდა იყვნენ უბედური შემთხვევის, დაშავების და სანქციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული სახელმწიფო პასუხისმგებლობისგან.

წესი 69

იმპლემენტაციის ხარჯები სამართალდამრღვევს არ უნდა დაეკისროს.

თავი IX — მუშაობის მეთოდები**წესი 70**

საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების იმპლემენტაცია უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალური პროგრამების მართვას და სამართალდამრღვევს, ზედამხედველსა და საზოგადოების წარმომადგენელ ნებისმიერ ორგანიზაციასა თუ ცალკეულ პირს შორის შესაბამისი სამუშაო ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

წესი 71

იმპლემენტაციის მეთოდები თითოეული საქმის კონკრეტულ გარემოებებზე ინდივიდუალურად უნდა იყოს მორგებული. შესაბამისად, იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ ორგანოებსა და თანამშრომლებს უნდა გააჩნდეთ სათანადო მოცულობის დისკრეცია, რათა არ გამოიწვიოს მოპყრობაში სერიოზული უთანასწორობა.

წესი 72

სანქციის ან ღონისძიების იმპლემენტაციისათვის ინდივიდუალური საჭიროების განსაზღვრის შემთხვევაში, უნდა მოხდეს ხარისხიანი პროფუნული, სოციალური ან მატერიალური დახმარების უზრუნველყოფა.

წესი 73

სანქციის ან ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების იმპლემენტაციასთან დაკავშირებული ინსტრუქციები, რომლებიც იმპლემენტატორი ორგანოებისათვის გამოიცემა, პრაქტიკული და ზუსტი უნდა იყოს. ისინი სამართალდამრღვევს გადაწყვეტილების გარდა სხვა მოთხოვნებს არ უნდა უყენებდეს.

წესი 74

მაკონტროლებელი საქმიანობები მხოლოდ იმ მოცულობით უნდა განხორციელდეს, რომელიც დაკისრებული სანქციის ან ღონისძიების სათანადო იმპლემენტაციისათვის არის საჭირო და ემყარება მინიმალური ინტერვენციის პრინციპს. ისინი სანქციის ან ღონისძიების პროპორციული უნდა იყოს და მათი მიზნებით შემოიფარგლებოდეს.

წესი 75

იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა მუშაობის ისეთი მეთოდები უნდა გამოიყენონ, რომლებიც აღიარებულ პროფესიულ სტანდარტებს შეესაბამება. ეს მეთოდები უნდა ითვალისწინებდეს კვლევის, სოციალური სამუშაოსა და საქმიანობის ყველა სფეროში არსებულ მიღწევებს.

თავი X — სანქციის ან ღონისძიების იურიდიული ძალა და შესრულებლობის შედეგები

წესი 76

საზოგადოებრივი სანქციის ან ღონისძიების იმპლემენტაციის დასაწყისში სამართალდამრღვევი ინფორმირებული უნდა იყოს სანქციის ან ღონისძიების შინაარსის და მისი ვალდებულებების შესახებ. ის, ასევე, ინფორმირებული უნდა იყოს იმ შედეგების შესახებ, რომელიც მის მიერ გადაწყვეტილებაში გაცხადებული პირობებისა და ვალდებულებების დარღვევას მოჰყვება და იმ ნესების შესახებაც, რომელთა თანახმად, ის დაუბრუნდება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს სანქციის ან ღონისძიების მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლობის ან არაადეკვატურად შესრულების შემთხვევაში.

წესი 77

იმპლემენტატორმა ორგანოებმა ზუსტად უნდა განსაზღვრონ პროცედურები, რომელთაც გამოიყენებენ იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები სამართალდამრღვევთან მიმართებით და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი ორგანოები იმ შემთხვევაში, თუკი სამართალდამრღვევი არ დააკმაყოფილებს ან არაადეკვატურად დააკმაყოფილებს მასზე დაკისრებულ პირობებს ან მოვალეობებს.

წესი 78

იმპლემენტატორი ორგანოების ინსტრუქციების ან პირობებისა და ვალდებულებების მსუბუქი დარღვევა, რომელიც არ საჭიროებს სანქციის ან ღონისძიების შეცვლას, დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს დისკრეციულობის საფუძველზე ან, თუ საჭიროა, ადმინისტრაციული პროცედურის მეშვეობით.

წესი 79

მსუბუქ დარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხასიათის გასაუბრების დროს სამართალდამრღვევს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გააკეთოს საკუთარი კომენტარი. გასაუბრების ან ნებისმიერი სხვა საგამოძიებო ქმედების შინაარსი უნდა აისახოს ინდივიდუალური საქმის ჩანაწერებში, დაუყოვნებლივ და გასაგებად უნდა მიენოდოს სამართალდამრღვევს.

წესი 80

საზოგადოებრივ სანქციასა თუ ღონისძიებაში განსაზღვრული პირობების ან ვალდებულებების ნებისმიერი მნიშვნელოვანი შეუსრულებლობის შესახებ იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელმა ორგანომ დაუყოვნებლივ წერილობით უნდა ჩააბაროს ანგარიში გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელ ორგანოს.

წესი 81

პირობების ან ვალდებულებების დაუკმაყოფილებლობის შესახებ ნებისმიერი წერილობითი ანგარიში ობიექტურად

და დეტალურად უნდა ასახავდეს, თუ როგორ და რა ვითარებაში ჰქონდა ადგილი პირობების შეუსრულებლობას.

წესი 82

გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი ორგანოები გასცემენ ბრძანებას საზოგადოებრივი სანქციის ან ღონისძიების შეცვლის, ნაწილობრივ ან მთლიანად გაუქმების შესახებ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დეტალურად შეამოწმებენ იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი ორგანოების მიერ ანგარიშში ასახულ ფაქტებს.

წესი 83

საზოგადოებრივი სანქციის ან ღონისძიების შეცვლის, ნაწილობრივ ან მთლიანად გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ სამართალდამრღვევს მიეცეს შესაძლებლობა, შეამოწმოს დოკუმენტები, რომელსაც ემყარება შეცვლის ან გაუქმების მოთხოვნა და წარმოადგინოს საკუთარი შენიშვნები ნებისმიერი პირობის ან დაკისრებული მოვალეობის დარღვევაზე.

წესი 84

სანქციასა ან ღონისძიებაზე თანდართული პირობების ან მოვალეობების შეუსრულებლობა, რომელმაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შეიძლება გამოიწვიოს სანქციის ან ღონისძიების შეცვლა, ნაწილობრივი ან მთლიანი გაუქმება, თავის მხრივ, არ უნდა წარმოადგენდეს სამართალდარღვევას.

წესი 85

საზოგადოებრივი სანქციის ან ღონისძიების გაუქმების საკითხის განხილვისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს, თუ როგორ და რამდენად შეასრულა სამართალდამრღვევმა მოცემული პირობა თუ ვალდებულება.

წესი 86

არ არის აუცილებელი, რომ საზოგადოებრივი სანქციის ან ღონისძიების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება პატიმრობის ზომის დაკისრების საფუძველი გახდეს.

წესი 87

საზოგადოებრივ სანქციასა ან ღონისძიებაში განწერილი ნებისმიერი პირობის თუ ვალდებულების შეცვლა შესაძლებელი უნდა იყოს სამართალდამრღვევის მიერ გარკვეული პროგრესის მიღწევის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას პასუხისმგებელი ორგანო მოქმედი კანონმდებლობის თანახმად იღებს.

წესი 88

გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელ ორგანოს უნდა შეეძლოს, შეწყვიტოს სანქცია ან ღონისძიება მის ამონურვამდე იმ შემთხვევაში, თუკი დადგინდება, რომ სამართალდამრღვევა დააკმაყოფილა მოთხოვნილი პირობები და ვალდებულებები და აღარ არსებობს მათი გამოყენების საჭიროება სანქციის ან ღონისძიების მიზნის მისაღწევად.

თავი XI — საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების შედეგების კვლევა და შეფასება

წესი 89

საჭიროა საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების კვლევის ხელშეწყობა. უნდა განხორციელდეს მათი რეგულარული შეფასება.

წესი 90

საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების შეფასება უნდა ხდებოდეს ობიექტურად, იმის მიხედვით, თუ მათი გამოყენება რამდენად:

- აკმაყოფილებს კანონმდებელთა, სასამართლო ხელისუფლების, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების, იმპლემენტატორი ორგანოების და საზოგადოების მოლოდინებს საზოგადოებრივი სანქციებისა და ღონისძიებების მიზნებთან მიმართებით;
- ხელს უწყობს პატიმრობის მაჩვენებლების შემცირებას;
- იძლევა სამართალდარღვევასთან დაკავშირებული

- სამართალდამრღვევის საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალებას;
- ხარჯთეფექტურია;
 - ხელს უწყობს საზოგადოებაში დანაშაულის მაჩვენებლების შემცირებას;

დანართი — ლექსიკონი

1. საზოგადოებრივი სანქციები და ღონისძიებები

ტერმინი „საზოგადოებრივი სანქციები და ღონისძიებები“ გამოიყენება იმ სანქციებსა და ღონისძიებებთან მიმართებით, რომელთა საშუალებითაც, სამართალდამრღვევი რჩება საზოგადოებაში და გულისხმობს მისი თავისუფლების შეზღუდვას კონკრეტული პირობებისა თუ ვალდებულებების დაკისრებით. აღნიშნული ხორციელდება კანონით ამისთვის განსაზღვრული/აღნიშნული ორგანოების მიერ.

ტერმინი მოიცავს სასამართლოს ან მოსამართლის მიერ დაკისრებულ ნებისმიერ სანქციას და ღონისძიებას, რომელიც განხორციელდა სანქციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მაგიერ, ასევე, პატიმრობის განაჩენის ციხის დაწესებულების გარეთ აღსრულების გზებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერმინში ფულადი სანქციები არ მოიაზრება, მათი იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ნებისმიერი საზედამხედველო ან მაკონტროლებელი საქმიანობა ასევე უნდა განხორციელდეს ამ ნუსებით დადგენილ ფარგლებში.

2. კანონი — განსაზღვრულია, რეგულირდება

ტერმინები „განსაზღვრული“ ან „რეგულირდება“ გამოიყენება პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებთან და, ასევე, კანონის აღსრულებისათვის საჭირო სამთავრობო ბრძანებულებებთან (დადგენილებებთან) მიმართებით.

3. *სასამართლო ხელისუფლება*

წარმოდგენილ ნებსებში ტერმინი „სასამართლო ხელისუფლება“ გულისხმობს სასამართლოს, მოსამართლეს ან პროკურორს.

4. *გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები*

ტერმინი „გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები“ გულისხმობს სასამართლო ხელისუფლებას ან ნებისმიერ სხვა ორგანოს, რომელსაც გააჩნია კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, რომ დაანესოს ან გააუქმოს საზოგადოებრივი სანქცია, ღონისძიება ან შეცვალოს მისი პირობები და ვალდებულებები. გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს ცნება უფრო ფართოა, ვიდრე სასამართლო ხელისუფლების.

5. *იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი ორგანო*

„იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი ორგანო“ არის ორგანო ან ორგანოები, რომელთაც გააჩნია უფლებამოსილება, მიიღონ გადაწყვეტილება და, მათი პირველადი ვალდებულების თანახმად, პრაქტიკულად განახორციელონ საზოგადოებრივი სანქცია ან ღონისძიება. ბევრ ქვეყანაში იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი ორგანოდ პრობაციის სამსახური გვევლინება.

6. *იმპლემენტაცია და შეფარდება*

„იმპლემენტაცია (აღსრულება)“ გულისხმობს იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი ორგანოს სამუშაოს პრაქტიკული ასპექტების განხორციელებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ საზოგადოებრივი სანქცია ან ღონისძიება სწორად იქნეს შესრულებული.

„შეფარდება“ გულისხმობს ორივეს – საზოგადოებრივი სანქციის ან ღონისძიების დაკისრებას და იმპლემენტაციას.

ამ უკანასკნელ ტერმინს, პირველთან შედარებით, უფრო ზოგადი მნიშვნელობა აქვს.

7. პირობები და ვალდებულებები

„პირობები და ვალდებულებები“ გულისხმობს ნებისმიერ მოთხოვნას, რომელიც წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი ორგანოს მიერ დაკისრებული სანქციის ან ღონისძიების შემადგენელ ნაწილს.

8. საჩივარი

ტერმინი „საჩივარი“ გულისხმობს როგორც სასამართლოში შეტანილ, ასევე, ადმინისტრაციულ ორგანოებში წარდგენილ საჩივარს.

9. ზედამხედველობა

ტერმინი „ზედამხედველობა“ გულისხმობს ორივეს, დამხმარე საქმიანობებს, რომლებიც განახორციელა იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელმა ორგანომ და რომელიც მიზნად ისახავს სამართალდამრღვევის საზოგადოებაში დატოვებას და ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფს სამართალდამრღვევის მიერ დაკისრებული პირობების ან ვალდებულებების შესრულებას.

10. კონტროლი

ტერმინი „კონტროლი“ გულისხმობს საქმიანობებს, რომელთა მიზანია, დაადგინოს, შესრულდა თუ არა დაკისრებული პირობები ან ვალდებულებები, ასევე, უზრუნველყოს პირობებისა და ვალდებულებების შესრულება პროცედურებით, რომლებიც გამოყენებული იქნება მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში.

კონტროლის ცნება ზედამხედველობასთან შედარებით გაცილებით ვიწროა.

11. სამართალდამრღვევი

ტერმინი „სამართალდამრღვევი“ გამოყენებულია მხოლოდ გამოხატვის ლაკონურობისთვის და გულისხმობს როგორც ბრალდებულს, ასევე, მსჯავრდებულს.

12. საზოგადოების მონაწილეობა

ტერმინი „საზოგადოების მონაწილეობა“ მოიცავს ყველა სახის დახმარებას, იქნება ეს ფასიანი, უფასო, სრული განაკვეთით თუ ნახევარი განაკვეთით შესრულებული, რომლებიც საჯარო თუ კერძო ორგანიზაციებისა და ინდივიდუალური პირების მიერ არის შემოთავაზებული და იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი ორგანოებისათვის არის ხელმისაწვდომი.

13. სქესი

გამოხატვის ლაკონურობის მიზნით, წესებში გამოყენებულია მამრობითი სქესი (მაგ: მამრობითი სქესის ნაცვალსახელები “ჰის”, “ჰიმ”, “ჰე”). აქ გამოყენებულ მამრობითი სქესის ნაცვალსახელებში ყოველთვის იგულისხმება, ასევე, მდედრობითი სქესიც.

14. ზმნის ფორმები

წესებში განსაზღვრული მთავარი მოთხოვნები გამოხატულია ზმნებით “სჰალლ” და “მუსტ” (ქართულად ორივე ნათარგმნია როგორც „უნდა“, ან ანმყოფროში მაგ: „ასრულებს“). ძირითადი აკრძალვების გამოსახატავად გამოყენებულია იგივე ტერმინები უარყოფით ფორმებში. მოთხოვნები, რომელთა განხორციელებაც „სასურველია“, გამოხატულია ზმნის ფორმებით „სჰოულდ“ ან “ოუგჰტ”. სასურველი აკრძალვის შემთხვევაში, გამოყენებულია იგივე ტერმინი უარყოფით ფორმაში.

**რეპოლუცია (65) 1 სასჯელის გადავადება,
პრობაცია და თავისუფლების აღკვეთის სხვა
ალტერნატიული ზომები**

*(მიღებულია მინისტრთა მოადგილეების მიერ
1965 წლის 22 იანვარს)*

მინისტრთა კომიტეტი,

მიუთითებს რა სასჯელაღსრულების რეფორმასთან დაკავშირებით საკონსულტაციო ასამბლეის 195 (1959) რეკომენდაციის 3(ა) ნაწილზე;

ითვალისწინებს რა, რომ თავისუფლების აღკვეთის შემცველი სასჯელების გამოყენება უნდა ხდებოდეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს აუცილებელია სასჯელის მიზნის მისაღწევად, კერძოდ, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამართალდარღვევა აღარ განმეორდება და რომ სამართალდამრღვევი გამოსწორდება;

ითვალისწინებს რა თავისუფლების აღკვეთის ნაკლოვანებებს, კერძოდ კი, პირველი სამართალდარღვევის შემთხვევაში;

მეორე მხრივ, ითვალისწინებს რა იმ კონკრეტულ ღონისძიებათა ღირებულებას, რომლებიც თავისუფლების აღკვეთას არასაჭიროს ხდის, მათ შორის, პრობაციის და სხვა მსგავსი ღონისძიებების ხარჯს,

1. რეკომენდაციას უწევს მთავრობებს, უზრუნველყონ, რომ:

(ა) წევრი ქვეყნების კანონმდებლობამ უფლებამოსილება მიანიჭოს მოსამართლეებს ან სხვა კომპეტენტურ ორგანოს, შეცვალონ თავისუფლების აღკვეთის სასჯელი, ან ამ სასჯელის გამოყენებამდე დანიშნონ პირობითი ღონისძიება (სასჯელის გადავადება, პრობაციის განკარგულება ან მსგავსი ღონისძიება) იმ პირთა მიმართ, ვინც

- პირველად ჩაიდინა სამართალდარღვევა, ან არ ჩაუდენია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული;
- (ბ) ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღონ კომპეტენტურმა ორგანოებმა საქმის გარემოებების, ჩადენილი ქმედებისა და სამართალდამრღვევის პიროვნული მახასიათებლების, მათ შორის, საზოგადოებისთვის მისგან მომდინარე საფრთხისა და გამოსწორების ალბათობის გათვალისწინებით;
2. რეკომენდაციას უწევს მთავრობებს, გადადგან ყველა საჭირო ნაბიჯი იმისათვის, რომ უზრუნველყონ და გააფართოვონ პრობაციის განკარგულებისა ან მსგავსი ღონისძიებების გამოყენება. ეს გულისხმობს სამართალდამრღვევის არა მხოლოდ დახმარებას, არამედ განსაზღვრული პერიოდით ზედამხედველობის ქვეშ ყოფნასაც, მისი რეაბილიტაციისა და ქცევის კონტროლის მიზნით;
 3. რეკომენდაციას უწევს მთავრობებს, თავისუფლების აღკვეთის გამოყენების თავიდან ასაცილებლად, საკუთარ კანონმდებლობაში მიიღოს ნორმები, კერძოდ, პირველი სამართალდარღვევის შემთხვევებში;
 4. მოუწოდებს მთავრობებს, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს სამ წელიწადში ერთხელ გაუგზავნონ ანგარიშები ამ რეკომენდაციების განხორციელების შესახებ.

**რეკომენდაცია (70) 1 პირობით მსჯავრდებულ
ანდა პირობით გათავისუფლებულ პირთა
ზედამხედველობისა და გათავისუფლების
შემდგომი ზრუნვის ღონისძიებების პრაქტიკული
ორგანიზების შესახებ**

*(მიღებულია მინისტრთა მოადგილეების მიერ
1970 წლის 26 იანვარს)*

მიუთითებს რა სასჯელის გადავადების, პრობაციისა და თავისუფლების აღკვეთის სხვა ალტერნატივების შესახებ (65) 1 რეზოლუციაზე;

ითვალისწინებს რა შესაძლებლობის არსებობისას თავისუფლების აღკვეთის სასჯელის სახით დადგენის თავიდან აცილების საჭიროებას;

ითვალისწინებს რა, რომ პრობაცია, პირობით გათავისუფლება და სხვა მსგავსი ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებს მოპყრობას თავისუფლების პირობებში, ვითარდება უმრავლეს წევრ ქვეყანაში;

ითვალისწინებს რა, რომ რეკომენდირებულია ამ ღონისძიებებთან მიმართებით ყველაზე ხელსაყრელი კანონმდებლობის, ეფექტური სერვისებისა და მეთოდების განვითარება;

ითვალისწინებს რა, რომ პირობითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ ზოგადი პრინციპების განსაზღვრა ამ ღონისძიების მომგებიანად განვითარებისთვის აუცილებელია და, ამასთან, ეს ხელს შეუწყობს პირობით მსჯავრდებულ და პირობით გათავისუფლებულ სამართალდამრღვევთა ზედამხედველობის შესახებ ევროპული კონვენციის იმპლემენტაციას,

რეკომენდაციას უწევს წევრი ქვეყნების მთავრობებს,

1. (ა) გადახედონ თავიანთ კანონმდებლობას იმისათვის, რომ:

- გამოიკვლიონ სასჯელის გადავადების და მას-

თან დაკავშირებული ღონისძიებების შემოღების, განვითარებისა და გაუმჯობესების, ან ასეთი ღონისძიებების განხორციელების მეთოდოლოგიის მორგების შესაძლებლობა;

- გამოიკვლიონ პირობითი ღონისძიებების გამოყენებისთვის დადგენილი შეზღუდვების (სამართალდამრღვევა და დანაშაულის კატეგორიებთან მიმართებით, რომლებიც ხელს უშლის სასჯელის ინდივიდუალიზაციას) გაუქმების ან შემცირების შესაძლებლობა;
 - (ბ) გაითვალისწინოს შესაძლებლობის ფარგლებში, რომ წინასასამართლო გამოძიება, რომლის დროსაც გროვდება ინფორმაცია სამართალდამრღვევის პიროვნული და სოციალური მახასიათებლების შესახებ, უნდა განხორციელდეს ყველა იმ შემთხვევაში, როცა პრობაციის ან სხვა მსგავსი ღონისძიების გამოყენების საკითხი განიხილება;
 - (გ) ამ ტიპის გამოძიებისთვის დაიქირავოს სპეციალურად მომზადებული პერსონალი და წარმოადგინოს ობიექტური ინფორმაცია სამართალდამრღვევის საქიროებებისა და შესაბამისი მოპყრობის დაქვემდებარებულობის პოტენციალზე;
 - (დ) შექმნას გარანტიები სოციალური მოკვლევისას პირად ცხოვრებაში არასაჭირო ჩარევისგან დასაცავად და მოპოვებული ინფორმაციის არადან-იშნულებისამებრ გამოყენების წინააღმდეგ;
2. (ა) გადახედონ იმ კანონმდებლობას, რომელიც აწესრიგებს პირობით გათავისუფლების კონკრეტულ საკითხებს, კერძოდ, სასჯელის ხანგრძლივობას, გათავისუფლებამდე მოსახდელი სასჯელის მინიმალურ ვადას, კონკრეტული კატეგორიის სამართალდამრღვევებთან დაკავშირებულ შეზღუდვებს, მაგალითად, რეციდივისტებთან დაკავშირებით;
- (ბ) უზრუნველყონ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილთა უფლება, პერიოდული გადახედ-

ვის საფუძველზე, პირობით გათავისუფლდნენ ან მიიღონ შეწყალება, მათი პიროვნული თვისებების და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით;

- (გ) მოსთხოვონ პრობაციის სამსახურს ან სხვა მსგავს სამსახურებს, რომლებიც ამ სფეროში მოღვაწეობენ, გათავისუფლების შემდგომი სტანდარტული ზრუნვის გარდა, უზრუნველყონ გათავისუფლების შემდგომი ზრუნვა იმ პირებისთვისაც, რომლებიც უპირობოდ გათავისუფლდნენ;
 - (დ) შექმნან პირობით გათავისუფლების ისეთი პროცედურა, რომელიც ყოველი სამართალდამრღვევისთვის უზრუნველყოფს მისი საქმის სრულ შესწავლას და მისი მოსაზრებების გათვალისწინებას, გადანყვეტილების სწრაფად მისაღებად, სამართალდამრღვევთან მოპყრობის საჭიროებების გათვალისწინებითა და საზოგადოების უსაფრთხოების დასაცავად;
 - (ე) თანამედროვე სიახლეების გათვალისწინებით, გადახედონ და განავითარონ ინსტიტუციური ცხოვრების გათავისუფლებად გარდაქმნის ხელშეწყობის საშუალებები. კონკრეტულად კი, გათავისუფლების დეტალური და შესაბამისი გეგმა უნდა განვითარდეს სასჯელის მოხდის შესაფერისი სტადიიდან;
3. (ა) შეძლონ ზედამხედველობის იმ მეთოდების განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფს პრობაციის ოფიცერსა და მის კლიენტს შორის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას შესაბამის სოციალურ კონტექსტში, რომლის ფარგლებში შესაძლებელია პიროვნული პრობლემების მოგვარებაში დახმარების აღმოჩენა;
- (ბ) საჭიროებისამებრ, გადახედონ და შექმნან კანონმდებლობა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება პრობაციის, პირობითი გათავისუფლებისა და სხვა მსგავსი ღონისძიებების დროს მოპყრობის ეფექ-

ტური ინდივიდუალიზაცია, ასევე ამ მოთხოვნების სრული შესაბამისობა ადამიანის უფლებებისა და პირადი ღირსებების პატივისცემასთან;

- (გ) გამოიკვლიონ არსებული საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც ეხება სპეციფიკური პრობლემების მქონე (როგორცაა ნარკოტიკებსა ან ალკოჰოლზე დამოკიდებულება) სამართალდამრღვევებთან მოპყრობას და, საჭიროებისამებრ, განავრცონ ეს ნორმები;
 - (დ) უზრუნველყონ, რომ პირობითი სასჯელის ან გათავისუფლების ბრძანებაში ასახული მოთხოვნები ექვემდებარებოდეს შეცვლას საჭიროებებისა და გარემოებების შესაბამისად;
4. (ა) მიუხედავად იმისა, თუ რა ადმინისტრაციული ჩარჩოები არსებობს პრობაციის, ვადამდე გათავისუფლებისა და ციხის მომსახურებისთვის, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართალდამრღვევებთან მოპყრობის მეთოდების ერთმანეთთან სრული ინტეგრირება;
- (ბ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროფესიონალი, კვალიფიციური პერსონალის დაქირავება ეფექტური საპრობაციო მომსახურებისთვის;
 - (გ) აღიარონ პროფესიონალებთან მოხალისეთა თანამშრომლობის გამოყენების მნიშვნელობა;
 - (დ) საჭიროებისამებრ, ყურადღება მიაქციონ პრობაციის ოფიცერთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებას მათი სამსახურისთვის დამახასიათებელი სირთულეების შესაბამისად;
 - (ე) თანამშრომლებისთვის უზრუნველყონ პირველადი და მიმდინარე სწავლება თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გასაღრმავებლად;
 - (ვ) უზრუნველყონ მოხალისე თანამშრომლების შერჩევისა და ინსტრუქტაჟის ეფექტური პროცედურა, ასევე, მათი გამოცდილების დაფასება;

- (ზ) გაითვალისწინონ პროფესიონალი და მოხალისე ოფიცრების სამუშაო დატვირთვა მაქსიმალურად ეფექტური მოპყრობისა და ადამიანური და მატერიალური რესურსის შესაფერისი გამოყენებისთვის.
5. (ა) უზრუნველყონ გენერალური ადმინისტრაციული ინსპექცია პრობაციისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების სამსახურებისთვის;
- (ბ) უზრუნველყონ ზედამხედველობა პრობაციისა და პირობით გათავისუფლების ბრძანებების აღსრულების უზრუნველსაყოფად;
- (გ) უზრუნველყონ თითოეული ოფიცრის საქმიანობაზე ზედამხედველობა პროფესიული სტანდარტების დასაცავად და გასავითარებლად;
- (დ) უზრუნველყონ საქმისწარმოების ეფექტიანი აღრიცხვა.
6. (ა) უზრუნველყონ პრობაციისა და პირობით გათავისუფლების მოთხოვნების შესრულება, შეუსრულებლობისთვის შესაბამისი სანქციების დადგენით;
- (ბ) გადახედონ თავიანთ კანონმდებლობას და პრაქტიკას ისე, რომ პრობაციონერსა ან პირობით გათავისუფლებულზე ნებისმიერი სანქციის დაკისრებისას, მაშინ როცა დანაშაული არ განმეორებულა, გათვალისწინებული იყოს არა მარტო განსაზღვრული პირობების დარღვევა, არამედ სამართალდამრღვევის ზოგადი დამოკიდებულება და მასთან მოპყრობის საჭიროებებიც;
- (გ) გადახედონ თავიანთ კანონმდებლობასა და პრაქტიკას ისე, რომ დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, უზრუნველყონ შემდეგი არჩევანი:
- განისაზღვროს უპირობო სასჯელი ახალი დანაშაულისა და იმ დანაშაულისთვისაც, რომლისთვისაც პირობითი სასჯელი იყო დადგენილი;

- შენარჩუნებული იყოს პირველადი პირობითი სასჯელი, შესაძლოა განსაზღვრული პირობების მცირედი ცვლილებებით და მეორე სასჯელის დანიშვნით, თუმცა, ამჯერად უპირობო სასჯელით ახალი დანაშაულისთვის;
 - მეორე პირობითი სასჯელის დანიშვნა, რომელიც შეეხება პირველად და ახალ დანაშაულსაც.
7. ხელი შეუწყონ კვლევებს იმ სამართალდამრღვევების გამოსავლენად, რომლებსაც უნდა შეეფარდოთ საპრობაციო ვადა და პირობით გათავისუფლება;
8. უზრუნველყონ პირობით მსჯავრდებულთა ან გათავისუფლებულთა ზედამხედველობისა და მასზე გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის პრაქტიკულად ორგანიზების შესახებ ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული ანგარიშების გავრცელება შესაბამის სამსახურებში.
- მოუწოდებს მთავრობებს, ამ რეკომენდაციებთან მიმართებით მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ, ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, ანგარიში წარუდგინონ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

**რეზოლუცია (76) 10 თავისუფლების აღკვეთის
ალტერნატიული სადამსჯელო ღონისძიებების
შესახებ**

*(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1976 წლის 9
მარტს მინისტრთა მოადგილეების 255-ე შეხვედრაზე)*

მინისტრთა კომიტეტი,

ითვალისწინებს რა, რომ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ინტერესებშია დანაშაულის წინააღმდეგ პოლიტიკის ერთიანი პრინციპების დამკვიდრება;

ითვალისწინებს რა ყველა წევრ ქვეყანასთან მიმართებით გამოკვეთილ ტენდენციას, მაქსიმალურად აიცილონ თავისუფლების აღკვეთა, მისი უამრავი ნაკლოვანებისა და ადამიანის თავისუფლების პატივისცემის გათვალისწინებით და რწმენით, რომ ეს პროცესი შესაძლოა გაგრძელდეს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის პრობლემების შექმნის გარეშე;

შედეგად, ითვალისწინებს რა, რომ აუცილებელია არა მარტო იმ ალტერნატიულ ღონისძიებათა განვითარება, რომლებიც არსებობდა დიდი ხნის განმავლობაში (როგორებიცაა სასჯელის გადავადება და პრობაცია), არამედ ასევე ხელი შეუწყონ ახალი ღონისძიებების შემოღებას, რათა სასამართლოებს შეეძლოთ ღონისძიებათა მრავალი ფორმიდან აირჩიონ საქმის ინდივიდუალური მახასიათებლების შესატყვისი სანქცია;

ითვალისწინებენ რა, რომ თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული ღონისძიებები შეიძლება ემსახუროდეს სამართალდამრღვევის რეაბილიტაციას და, ასევე, პატიმრობაზე ნაკლებ ხარჯიანია;

რამდენიმე წევრ ქვეყანაში ამ სფეროში ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგებზე დაყრდნობით, რეკომენდაციას უწევს წევრი ქვეყნების მთავრობებს:

1. შეისწავლონ თავიანთი კანონმდებლობა, თავისუფ-

ფლების აღკვეთის ალტერნატიული სასჯელების დანიშნვის სამართლებრივი წინააღმდეგობის მოხსნის გათვალისწინებით;

2. არ გაისარჯონ არსებული ალტერნატიული ღონისძიებების განვითარებაზე, კერძოდ კი:
 - ა. შეისწავლონ პრობაციის ახალი მეთოდები, მათ შორის, პრობაციონერთა საცხოვრებელი უზრუნველყოფა, რაც ზოგიერთ ნევრ ქვეყანაში გამოიყენება, დამკვიდრების პერსპექტივით;
 - ბ. უზრუნველყონ ჯარიმის, როგორც პასუხისმგებლობის ზომის ფართოდ გამოყენება, ასევე, ისეთი მეთოდების დამკვიდრება, რომლითაც შესაძლებელი იქნება ჯარიმის მისადაგება სამართალდამრღვევის ფინანსურ მდგომარეობასთან და გადახდის ისეთი მეთოდების გამოყენება, რითაც, შეძლებისდაგვარად, თავიდან იქნება აცილებული თავისუფლების აღკვეთა;
 - გ. განიხილონ სხვადასხვა უფლების შეზღუდვის დანესების შესაძლებლობა (როგორცაა, მაგალითად, მართვის მოწმობის ჩამორთმევა), ასევე, კონფისკაცია, როგორც თავისუფლების აღკვეთის დამოუკიდებელი ჩამნაცვლებელი;
3. შეისწავლონ საპატიმრო სასჯელების ახალი ალტერნატივები ეროვნულ კანონმდებლობაში ინკორპორირების პერსპექტივით, კერძოდ:
 - ა. განიხილონ იმ სასჯელების ფარგლები, რომლებიც მარტივად მიუთითებს ბრალის დადასტურებაზე, მაგრამ არ ითვალისწინებს დამნაშავეზე შინაარსობრივი სასჯელის შეფარდებას;
 - ბ. განიხილონ სასჯელის გადავადების მიზანშეწონილობა ბრალის დადგენის შემდეგ, რათა შესაძლებელი იყოს ისეთი სასჯელის დაკისრება, რომელიც გაითვალისწინებს სამართალდამრღვევის პროგრესს მსჯავრდების შემდეგ;
 - გ. გაითვალისწინონ საზოგადოებისათვის სასარგებ-

ბლო შრომის უპირატესობები და, უფრო მეტიც, შესაძლებლობები, რასაც ის ქმნის:

- სამართალდამრღვევისთვის – გამოასწოროს ჩადენილი დანაშაული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით;
- საზოგადოებისათვის – აქტიური მონაწილეობა მიიღოს სამართალდამრღვევის რეაბილიტაციაში მისი ჩართვით მოხალისეობრივ შრომაში;

დ. განიხილონ, რა სარგებელი შეიძლება მიიღონ ნახევრად დაპატიმრებით, როგორც თავისუფლების სრულ აღკვეთასთან შედარებით უფრო მსუბუქი სასჯელით, რომელიც სამართალდამრღვევს საშუალებას მისცემს, შეინარჩუნოს ან აღიდგინოს კავშირი საზოგადოებასთან;

4. ალტერნატიული სასჯელების იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი უწყებების აღჭურვა საჭირო რესურსით და იმის უზრუნველყოფა, რომ ეს რესურსი მაქსიმალურად ეფექტურად იქნება გამოყენებული;
5. იმის ხელშეწყობა, რომ მართლმსაჯულების ორგანოები ჩაერთონ პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიების განვითარების განგრძობად პროცესში;
6. მოახდინონ საზოგადოების ინფორმირება ალტერნატიული ღონისძიებების შესახებ ისე, რომ უზრუნველყონ ამ ღონისძიებების მიღება საზოგადოების მიერ;
7. უზრუნველყონ ამ რეზოლუციისა და მისი განმარტებითი ანგარიშის ფართოდ გავრცელება შესაბამის სამსახურებსა და ორგანოებში;

მოუწოდებს მთავრობებს, ამ რეკომენდაციების შესრულებისთვის განხორციელებული საქმიანობის შესახებ, ხუთ წელიწადში ერთხელ, ანგარიში წარუდგინონ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

**ევროპული კონვენცია პირობით
მსჯავრდებულ ან პირობით გათავისუფლებულ
სამართალდამრღვევთა ზედამხედველობის
შესახებ, სტრასბურგი, 30.XI.1964**

პრეამბულა

ევროპის საბჭოს ქვემოთ ხელისმომწერი წევრი სახელმწიფოები,

ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის უფრო მეტი ერთობის მიღწევის მიზნით,

გადაწყვეტილებას იღებენ, განახორციელონ შეთანხმებული ქმედება დანაშაულებთან საბრძოლველად,

ითვალისწინებენ რა, რომ ამ ეტაპზე ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ სხვა ხელშეკრულების ხელმომწერი მხარეების ტერიტორიაზე მათი სასამართლოების მიერ დაკისრებული პირობით მსჯავრდებული ან პირობით გათავისუფლებული სამართალდამრღვევების სოციალური რეაბილიტაცია ან სასჯელის აღსრულება იმ შემთხვევაში, როდესაც არ სრულდება დანესებული პირობები,

თანხმდებიან შემდეგზე:

ნაწილი I — ძირითადი პრინციპები

მუხლი 1

1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებული-ბას იღებენ, ზემოთ ხსენებულ პირობებში ერთ-მანეთს გაუწიონ დახმარება, რომელიც საჭიროა II მუხლში მოხსენიებული სამართალდამრღვევების სოციალური რეაბილიტაციისათვის. განუთქ დახმარებას უნდა ჰქონდეს ზედამხედველობის ფორმა, რომელიც განკუთვნილია სამართალდამრღვევთა ქცევის გაუმჯობესებისა და სოციალური ადაპტაციის ხელშესაწყობად, ასევე, მათი ქცევის სამეთვალყურეოდ, იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა

მათთვის განაჩენის გამოტანა ან უკვე გამოტანილი განაჩენის აღსრულება.

2. ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა ქვემოთ წარმოდგენილ პირობებში და შემდეგი დებულებების შესაბამისად, უნდა აღასრულონ ამგვარი დაკავების ბრძანება ან სხვა სასჯელი, რომელიც მოიცავს სამართალდამრღვევის თავისუფლების შეზღუდვას, რომლის შეფარდებაც გადაიდო.

მუხლი 2

1. წინამდებარე კონვენციაში, ტერმინი „სამართალდამრღვევი“ გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც ხელშეკრულების მონაწილე მხარეების ტერიტორიაზე:
 - ა. სასამართლომ დამნაშავედ ცნო და პრობაციაზე გადაიყვანა განაჩენის გამოტანის გარეშე;
 - ბ. დაეკისრა პირობითი მსჯავრი, რაც გულისხმობს თავისუფლების შეზღუდვას ან სასჯელს, რომლის აღსრულებაც პირობით შეჩერებულია მთლიანად ან ნაწილობრივ, სასჯელის მოხდის პერიოდში, ანდა მას შემდეგ.
2. ქვემოთ მოცემულ მუხლებში, ტერმინი „სასჯელი“ გულისხმობს ყველა სასამართლო გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულია 1-ლი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად.

მუხლი 3

მე-2 მუხლში მითითებული გადაწყვეტილებები უნდა იყოს საბოლოო და გააჩნდეს სააღსრულებო ძალა.

მუხლი 4

დანაშაული, რომელსაც ეხება მე-5 მუხლის საფუძველზე წარდგენილი ნებისმიერი მოთხოვნა, უნდა ისჯებოდეს როგორც მომთხოვნი სახელმწიფოს, ასევე თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით.

მუხლი 5

1. სახელმწიფომ, რომელმაც გამოიტანა განაჩენი, შეუძლია მიმართოს მეორე სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც არის სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილი, შემდეგი თხოვნით:
 - ა. ზედამხედველობა განახორციელოს მხოლოდ II ნაწილში გაცხადებული პირობების თანახმად;
 - ბ. განახორციელოს ზედამხედველობა და, საჭიროების შემთხვევაში, აღასრულოს სასჯელი II და III ნაწილებში გაცხადებული პირობების შესაბამისად;
 - გ. იკისროს სასჯელის აღსრულების სრული ვალდებულება, IV ნაწილის პირობების შესაბამისად.
2. თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს ამ კონვენციაში განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
3. თუკი სახელმწიფო პირველ პუნქტში მითითებული ერთ-ერთი მოთხოვნით მიმართავს მეორე სახელმწიფოს, ეს უკანასკნელი კი, მოცემულ კონკრეტულ საქმესთან მიმართებით, ამჯობინებს, აირჩიოს ამ პარაგრაფით გათვალისწინებული სხვა კურსი, მას შეუძლია უარი თქვას აღნიშნული მოთხოვნის შესრულებაზე და, იმავდროულად, განაცხადოს საკუთარი სურვილი, მის მიერ მითითებული სხვა კურსით მოქმედების შესახებ.

მუხლი 6

სასჯელის ზედამხედველობა, აღსრულება ან სრული დაკისრება, როგორც ეს წინა მუხლებშია განსაზღვრული, უნდა განხორციელდეს იმ სახელმწიფოს მოთხოვნით, სადაც განაჩენი გამოიტანეს და იმ სახელმწიფოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც არის სამართალდამრღვევის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

მუხლი 7

1. ზედამხედველობაზე, აღსრულებასა ან სასჯელის სრულ შეფარდებაზე უარი უნდა ითქვას:
 - ა. თუკი თხოვნის მიმღები სახელმწიფო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მოთხოვნა საფრთხეს უქმნის მისი ქვეყნის სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას, მისი სამართლებრივი სისტემის საფუძვლებს ან სხვა მნიშვნელოვან ინტერესებს;
 - ბ. თუკი მოთხოვნა ეხება სასჯელს ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც უკვე განხილული იყო მოპასუხე სახელმწიფოს უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში;
 - გ. თუკი ქმედება, რომლის გამოც დაინიშნა ეს სასჯელი, მოპასუხე მხარის მიერ აღიქმება, როგორც პოლიტიკური სამართალდარღვევა ან პოლიტიკურ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული დანაშაული, ან სამხედრო დანაშაული;
 - დ. თუკი დაკისრებული სასჯელის აღსრულება, მომთხოვნი ან თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად, შეუძლებელია ხანდაზმულობის გამო;
 - ე. თუკი სამართალდამრღვევს შეეხო მომთხოვნ ან თხოვნის მიმღებ ქვეყანაში გამოცხადებული ამნისტია ან შეწყალება.
2. ზედამხედველობაზე, აღსრულებასა ან სასჯელის სრულ გამოყენებაზე შეიძლება უარი ითქვას:
 - ა. თუკი თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში კომპეტენტურმა ორგანოებმა გადაწყვეტილება მიიღეს, არ დაინყონ სამართალწარმოება, ან შეწყვიტონ უკვე დაწყებული სამართალწარმოება იგივე ქმედებასთან მიმართებით;
 - ბ. თუკი ქმედება, რომლის გამოც გამოტანილი იქნა განაჩენი, საქმისწარმოების საგანია თხოვნის მიმღებ ქვეყანაშიც;

- გ. თუკი მოთხოვნასთან დაკავშირებული განაჩენი დაუსწრებლად იქნა გამოტანილი;
- დ. თუკი თხოვნის მიმღები ქვეყანა სასჯელს საკუთარი სისხლის სამართლის კანონმდებლობის პრინციპებთან შეუთავსებლად მიიჩნევს, უფრო კონკრეტულად კი, თუკი სამართალდამრღვევის ასაკიდან გამომდინარე, თხოვნის მიმღებ ქვეყანაში მას ვერ დაეკისრება სასჯელი.
3. ფისკალური დანაშაულების შემთხვევაში, ზედამხედველობა ან სასჯელის აღსრულება უნდა განხორციელდეს კონვენციის პირობების თანახმად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხელშემკვრელმა მხარეებმა მიიღეს ამგვარი გადანყვეტილება ყოველ ასეთ დანაშაულსა ან დანაშაულთა კატეგორიასთან მიმართებით.

მუხლი 8

მომთხოვნმა და თხოვნის მიმღებმა სახელმწიფოებმა უნდა მიაწოდონ ერთმანეთს ინფორმაცია ყველა გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს თხოვნის მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე ზედამხედველობისა ან აღსრულების ღონისძიებებზე .

მუხლი 9

თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მომთხოვნ სახელმწიფოს იმის შესახებ, თუ რა ქმედება ხორციელდება მისი მოთხოვნის პასუხად.

მთლიანი ან ნაწილობრივი უარის შემთხვევაში, თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ მომთხოვნ სახელმწიფოს უარის მიზეზები უნდა აცნობოს.

ნაწილი II — ზედამხედველობა

მუხლი 10

მომთხოვნმა სახელმწიფომ თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, თუ რა პირობები დაუდგინდა სამართალდამრღვევს, ასევე, ნებისმიერი სხვა საზედამხედველო ღონისძიების შესახებ, რომელიც სამართალდამრღვევმა პრობაციის პერიოდში უნდა შეასრულოს.

მუხლი 11

1. ზედამხედველობის მოთხოვნაზე თანხმობის განცხადების შემთხვევაში, თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ, თუკი საჭირო გახდება, უნდა მიიღოს საზედამხედველო ზომები საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. თხოვნის მიმღები სახელმწიფოს მიერ გამოყენებული საზედამხედველო ღონისძიებები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ღონისძიებებზე მკაცრი, არც ხასიათით და არც ხანგრძლივობით.

მუხლი 12

თუკი თხოვნის მიმღები სახელმწიფო თანახმაა, განახორციელოს ზედამხედველობა, მან უნდა დაიცვას შემდეგი პროცედურა:

1. დაუყოვნებლივ აუწყოს მომთხოვნ ქვეყანას გამოგზავნილ მოთხოვნაზე საკუთარი პასუხი;
2. უნდა დაუკავშირდეს საკუთარ ტერიტორიაზე სამართალდამრღვევთა ზედამხედველობასა და დახმარებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს;
3. უნდა აუწყოს მომთხოვნ ქვეყანას ყველა განხორციელებული ღონისძიების შესახებ.

მუხლი 13

თუკი სამართალდამრღვევზე ვრცელდება მე-2 მუხლით განსაზღვრული სასჯელის შეცვლა პირობითი შეჩერებით იმის გამო, რომ იგი გაასამართლეს ან დაადანაშაულეს ახალი სამართალდარღვევის ჩადენაში, ანდა ვერ შეასრულა დაკისრებული პირობები, მომთხოვნ სახელმწიფოს ამის შესახებ ინფორმაცია ავტომატურად და დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ.

მუხლი 14

ზედამხედველობის პერიოდის დასრულების შემდეგ, თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ, მომთხოვნი ქვეყნის მიმართვის საფუძველზე, უნდა გადაუგზავნოს მას ყველა საჭირო ინფორმაცია.

მუხლი 15

მომთხოვნი სახელმწიფო უფლებამოსილია, თხოვნის მიმღები ქვეყნის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და შენიშვნების საფუძველზე განსაჯოს, შეასრულა თუ არა სამართალდამრღვევმა მასზე დაკისრებული პირობები და ამ შეფასების საფუძველზე მიიღოს შემდგომი ზომები საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად.

განმცხადებელმა ქვეყანამ უნდა აცნობოს მოპასუხე ქვეყანას საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ.

ნაწილი III — სასჯელის აღსრულება

მუხლი 16

მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ პირობით შეჩერებული სასჯელის გაუქმების შემდეგ და სახელმწიფო მიმართვის საფუძველზე, თხოვნის მიმღები სახელმწიფო უფლებამოსილია, აღასრულოს სასჯელი.

მუხლი 17

თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში სასჯელის აღსრულება უნდა განხორციელდეს ხსენებული ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, აღსრულების მოთხოვნის განაცხადის უტყუარობისა და კონვენციის პირობებთან მისი თავსებადობის გადამოწმების შემდეგ.

მუხლი 18

თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ დროულად უნდა გადაუგზავნოს მომთხოვნ სახელმწიფოს სასჯელის აღსრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მუხლი 19

საჭიროების შემთხვევაში, თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ უნდა შეცვალოს განმცხადებელი ქვეყნის მიერ დაკისრებული სასჯელი ან ღონისძიება მისი კანონმდებლობით მსგავსი სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული სასჯელით. ამგვარი სასჯელი ან ღონისძიება, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა შეესაბამებოდეს აღსასრულებელ განაჩენში მითითებულ სასჯელს. ის არ უნდა აღემატებოდეს თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ სასჯელს, არ უნდა იყოს მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ დაკისრებულ სასჯელზე ხანგრძლივი ან მკაცრი.

მუხლი 20

მომთხოვნმა სახელმწიფომ თვითონ აღარ უნდა განახორციელოს მოთხოვნილი აღსრულების ღონისძიებები, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი თხოვნის მიმღები სახელმწიფო მიუთითებს, რომ მას არ სურს, ან არ შეუძლია მათი შესრულება.

მუხლი 21

თხოვნის მიმღები სახელმწიფო უფლებამოსილია, სამართალდამრღვევის მიმართ გამოიყენოს პირობით გათ-

ავისუფლება, ხოლო შეწყალების უფლება შეიძლება გამოიყენოს როგორც მომთხოვნმა, ასევე თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ.

ნაწილი IV — თხოვნის მიმღები სახელმწიფოსთვის აღსრულების გადანდობა

მუხლი 22

მომთხოვნმა სახელმწიფომ თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს უნდა აუწყოს იმ სასჯელის შესახებ, რომლის სრულად აღსრულებასაც მოითხოვს.

მუხლი 23

1. თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ განსაზღვრული სასჯელი ან ღონისძიება ისე უნდა შეუსაბამოს საკუთარ სისხლის სამართლის კანონმდებლობას, რომ იგი აკმაყოფილებდეს მის ტერიტორიაზე იმავე დანაშაულთან დაკავშირებით გამოტანილი განაჩენის მოთხოვნებს.
2. თხოვნის მიმღები სახელმწიფოს მიერ შეფარდებული სასჯელი არ შეიძლება იყოს მომთხოვნ სახელმწიფოში გაცხადებულ სასჯელზე მკაცრი.

მუხლი 24

თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სასჯელის სრულად აღსრულება, მისი იმგვარად ადაპტირებით, რომ შეესაბამებოდეს იმ სასჯელის მოთხოვნებს, როგორსაც მისი ქვეყნის სასამართლოები დანიშნავდნენ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით.

მუხლი 25

IV ნაწილის თანახმად, თხოვნის მიმღები სახელმწიფო, მიღებულ განცხადებაზე თანხმობით, მომთხოვნ სახელმწიფოს ართმევს იმავე სასჯელის აღსრულების უფლებას.

ნაწილი V — ზოგადი დებულებები

მუხლი 26

1. მე-5 მუხლის თანახმად, ყველა მოთხოვნა უნდა გაკეთდეს წერილობითი ფორმით და უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
 - ა) მომთხოვნი ორგანო;
 - ბ) მისი მიზანი;
 - გ) სამართალდამრღვევის ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი მოპასუხე ქვეყანაში.
2. ზედამხედველობის შესახებ მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებების ჩანაწერის დედანი ან დამონმებული ასლი, რომელიც მოიცავს ზედამხედველობის დასაბუთებას და დეტალურად აღწერს სამართალდამრღვევისათვის შეფარდებულ ღონისძიებებს. აქვე უნდა იყოს დადასტურებული შეფარდებული სასჯელისა და საზედამხედველო ღონისძიებების აღსრულებადობის შესაძლებლობა. რამდენადაც შესაძლებელია, წარმოდგენილ დოკუმენტებში აღწერილი უნდა იყოს სამართალდარღვევასთან დაკავშირებული გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო ზედამხედველობის დაკისრების გადაწყვეტილებას, ზედამხედველობის დროს და ადგილს და აღსასრულებელი სასჯელის ხანგრძლივობას. აქვე მითითებული უნდა იყოს მოთხოვნილი ზედამხედველობის ღონისძიებების ხასიათისა და ხანგრძლივობის სრული დეტალები და თან უნდა ახლდეს მითითება იმ სამართლებრივი ნორმების შესახებ, რომლებიც ვრცელდება აღნიშნულ ღონისძიებებზე, მომთხოვნ სახელმწიფოში ზედამხედველობის შესახებ განაჩენის გამოტანამდე და მას შემდეგ სამართალდამრღვევის და მისი ქცევის ამსახველი საჭირო ინფორმაციის ჩათვლით.
- 3 აღსრულების შესახებ მოთხოვნებს თან უნდა ერთვოდეს სასჯელის დანიშვნის ან აღსრულების პირო-

ბით შეჩერების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების და, ასევე, ამჟამად აღსასრულებელი სასჯელის შეფარდების გადაწყვეტილების ტექსტის დედანი ან დამონმებული ასლი. დამონმებული უნდა იყოს განაჩენის გამომტან ქვეყანაში კანონით განსაზღვრული ფორმით.

თუკი აღსასრულებელი განაჩენი წარმოადგენს წინა განაჩენის სანაცვლო ზომას და არ მოიცავს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დეტალურ ჩამონათვალს, ასეთ შემთხვევაში, უნდა დაერთოს ასევე იმ განაჩენის დამონმებული ასლი, რომელშიც ასეთი ჩამონათვალი მოიპოვება.

4. სასჯელის სრულად აღსრულების მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მე-2 პარაგრაფში ხსენებული დოკუმენტები.

მუხლი 27

1. მოთხოვნი სახელმწიფოს იუსტიციის სამინისტრო მოთხოვნას უგზავნის მოპასუხე სახელმწიფოს იუსტიციის სამინისტროს და მოთხოვნაზე პასუხის გაცემა ხდება იმავე არხების მეშვეობით.
2. ამ კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი საჭირო კომუნიკაციის მიმოცვლა უნდა განხორციელდეს ამ მუხლის 1-ლ პუნქტში მითითებული არხების მეშვეობით, ან პირდაპირ ხელშემკვრელი მხარეების ხელმძღვანელობას შორის.
3. საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში, წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს საერთაშორისო სისხლის სამართლის პოლიციის (ინტერპოლის) მეშვეობით.
4. ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია, მიიღოს ახალი წესები წინამდებარე მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტებში მითითებულ კომუნიკაციის საშუალებებთან დაკავშირებით, მხ-

ოლოდ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისთვის წინასწარ წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

მუხლი 28

თუკი თხოვნის მიმღები სახელმწიფო მიიჩნევს, რომ მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ მონოდებული ინფორმაცია წინამდებარე კონვენციასთან მიმართებით გამოსაყენებლად არაადეკვატურია, უფლება აქვს, დამატებით მოითხოვოს საჭირო ინფორმაცია. მას შეუძლია, დაანუსოს კონკრეტული ვადა მოთხოვნილი ინფორმაციის მონოდებისათვის.

მუხლი 29

- 1 გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, საჭირო არ არის მოთხოვნათა თარგმანის, ანდა სხვა თანდართული დოკუმენტების ან ამ კონვენციით დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებისთვის საჭირო სხვა დოკუმენტის თარგმანის წარმოდგენა.
- 2 წინამდებარე კონვენციის ხელმოწერისას, ასევე, რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების მექანიზმების გამოყენებისას, ხელმომწერი ნებისმიერი მხარე, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებულ მიმართვაში, უფლებას იტოვებს, მიუთითოს, რომ მოთხოვნებს და დამხმარე დოკუმენტებს თან ერთვოდეს მათ ენაზე, ევროპის საბჭოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე ან მის მიერ მითითებულ ერთ-ერთ ენაზე შესრულებული თარგმანი. იგივე შეიძლება მოითხოვონ სხვა ხელშემკვრელმა მხარეებმა.
- 3 ეს მუხლი არ უნდა არღვევდეს მოთხოვნების და დამხმარე დოკუმენტების თარგმნასთან დაკავშირებულ რაიმე ნორმას, რომელსაც ითვალისწინებს იმ მომენტისათვის ერთ ან რამდენიმე ხელშემკვრელ მხარეს შორის არსებული ძალაში შესული ხელშეკრულება, ან ის ხელშეკრულება, რომელიც შეიძლება მომავალში დაიდოს.

მუხლი 30

წინამდებარე კონვენციის გამოყენების მიზნით გამოგზავნილი დოკუმენტაცია არ საჭიროებს უტყუარობის გადამოწმებას.

მუხლი 31

თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს უფლება აქვს, მომთხოვნი სახელმწიფოს მოთხოვნის შესრულებისას, მის მიერ გაღებული დევნისა და სასამართლო განხილვის ხარჯების ანაზღაურება მოითხოვოს.

ხსენებული ხარჯების გაღების შემთხვევაში, თხოვნის მიმღები სახელმწიფო ვალდებულია, აანაზღაუროს მხოლოდ მომთხოვნი ქვეყნის ექსპერტთა საფასური.

მუხლი 32

თხოვნის მიმღები სახელმწიფოს მიერ გაღებული ზედამხედველობისა და აღსრულების ხარჯები არ ანაზღაურდება.

ნაწილი VI — დასკვნითი დებულებები**მუხლი 33**

წინამდებარე კონვენცია არ ვრცელდება უცხოელებთან მიმართებით პოლიციის მარეგულირებელ დებულებებზე.

მუხლი 34

1. წინამდებარე კონვენციაზე ხელმოწერის უფლება აქვთ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს. კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას ან მიღებას, რისთვისაც საჭირო მექანიზმებს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი უზრუნველყოფს.
2. წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა რატიფიკაციის ან მიღების მესამე მექანიზმის წარმოდგენის თარიღიდან 3 თვის შემდეგ.
3. ხელმომწერი ქვეყნისათვის, კონვენციის რატიფიცი-

რების ან მიღების შემთხვევაში, კონვენცია ძალაში შევა რატიფიკაციის ან მიღების მექანიზმის წარმოდგენის თარიღიდან 3 თვის შემდეგ.

მუხლი 35

1. კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია, ნებისმიერი არაწევრი ქვეყანა მოიწვიოს, რათა შეუერთდეს კონვენციას.
2. კონვენციაზე ამგვარი მიერთება უნდა განხორციელდეს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ შესაბამისი მექანიზმების უზრუნველყოფის საფუძველზე, რომელიც ძალაში შევა მისი წარმოდგენის თარიღიდან 3 თვის შემდეგ.

მუხლი 36

1. კონვენციის ხელმოწერისას, ასევე, რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების მექანიზმის წარმოდგენისას, ხელშეკრულების მონაწილე თითოეულ მხარეს შეუძლია დააკონკრეტოს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზეც გავრცელდება წინამდებარე კონვენცია.
2. რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების მექანიზმის წარმოდგენისას ან მოგვიანებით, ხელშეკრულების მონაწილე თითოეულ მხარეს შეუძლია, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი მიმართვის საფუძველზე, გააფართოვოს კონვენციის მოქმედების ძალა დეკლარაციაში მითითებულ სხვა ტერიტორიასა ან ტერიტორიებზე, რომლებიც მითითებულია დეკლარაციაში და რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი, ანდა ვისი სახელითაც უფლებამოსილია ეს განახორციელოს.
3. ნებისმიერი დეკლარაცია, რომელიც შედგენილია წინა პარაგრაფის თანახმად, გულისხმობს, რომ ამ დეკლარაციაში მოხსენიებულ ნებისმიერ ტერიტო-

რიას შეუძლია გამოვიდეს წინამდებარე კონვენციიდან 39-ე მუხლში გაცხადებული პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 37

1. წინამდებარე კონვენცია გავლენას არ ახდენს სხვა არსებულ ან მომავალ საერთაშორისო კონვენციებზე, იქნება ის ორმხრივი თუ მრავალმხრივი, ორ ან მეტ მხარეს შორის დადებული, ექსტრადიციისა თუ სისხლის სამართლის სფეროში ნებისმიერი სხვა ფორმის ერთობლივი დახმარების შესახებ.
2. ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა არ შეიძლება ხელი მოაწერონ ორმხრივ ან მრავალმხრივ ურთიერთშეთანხმებას ამ კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ეს საჭიროა არსებული დებულებების შესავსებად, ან მასში გათვალისწინებული პრინციპების გამოყენების ხელშესაწყობად.
3. თუკი ხელშეკრულების მონაწილე ორ ან მეტ მხარეს უკვე აქვს დამყარებული კავშირი ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით ერთიანი კანონმდებლობის საფუძველზე, ან ახორციელებენ საკუთარ სპეციალურ სისტემას, ანდა გააკეთებენ ამას მომავალში, მათ უნდა გააჩნდეთ უფლებამოსილება, შესაბამისად მოახდინონ ამ ურთიერთობების დარეგულირება აღნიშნული კონვენციის პირობების მიუხედავად.

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა, რომლებიც შეწყვეტენ საკუთარ ურთიერთობებში კონვენციის პირობების გამოყენებას, უნდა აცნობონ ამის შესახებ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

მუხლი 38

1. ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ მხარეს, ხელმოწერის პერიოდში, ასევე, რატიფიკაციის, მიღების

ან მიერთების მექანიზმის დეპონირებისას, შეუძლია განაცხადოს, რომ ის ისარგებლებს ამ კონვენციის დანართში მოცემული ერთი ან რამდენიმე დათქმით.

2. ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერმა მხარემ შეიძლება მთლიანად, ან ნაწილობრივ შეწყვიტოს მის მიერ ზემოხსენებული პარაგრაფის თანახმად მიღებული დათქმა, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით, რომელიც ძალაში შევა მისი მიღების დღიდან.
3. ხელშეკრულების მონაწილე მხარეს, რომელმაც დათქმა გააკეთა წინამდებარე კონვენციის რომელიმე დებულებასთან მიმართებით, არ შეუძლია მოითხოვოს სხვა ნებისმიერი მხარის მიერ ამ დებულების გამოყენება. თუმცა, თუკი მისი დათქმა ნაწილობრივი ან პირობითია, შესაძლებელია ამ დებულების გამოყენება მხოლოდ იმ ფარგლებში, რამდენადაც მას თავად იღებს.
4. ხელშეკრულების მონაწილე მხარემ, არსებული კონვენციის ხელმოწერისას, ასევე, რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების მექანიზმის დეპონირებისას, უნდა აცნობოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომ მისთვის რატიფიკაცია, მიღება ან მიერთება გულისხმობს, საერთაშორისო კანონმდებლობით, წინამდებარე კონვენციის განსახორციელებლად ადგილობრივი საკანონმდებლო ღონისძიებების შემოღების ვალდებულებას.

მუხლი 39

1. წინამდებარე კონვენცია ძალაშია განუსაზღვრელი დროით.
2. ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს წინამდებარე კონვენცია, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი შესაბამისი მიმართვის საფუძველზე.
3. ამგვარი დენონსირება ძალაში შევა გენერალური

მდივნის მიერ შესაბამისი ცნობის მიღებიდან 6 თვის შემდეგ.

მუხლი 40

ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა უნდა აცნობოს წევრ სახელმწიფოებს და ყველა სხვა სახელმწიფოს, რომლებიც მიუერთდნენ წარმოდგენილ კონვენციას:

- ა) ხელმოწერის შესახებ;
- ბ) რატიფიკაციის, მიღების ან მიერთების მექანიზმის დეპონირების შესახებ;
- გ) 34-ე მუხლის თანახმად, წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის თარიღი;
- დ) 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 29-3 მუხლის მე-2 პუნქტის, 37-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 38-ე მუხლის მე-4 პუნქტის დებულებების თანახმად მიღებული ნებისმიერი ცნობა ან დეკლარაცია;
- ე) 36-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებების თანახმად მიღებული ნებისმიერი დეკლარაცია;
- ვ) 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებების თანახმად მიღებული ნებისმიერი დათქმა;
- ზ) 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების თანახმად განხორციელებული ნებისმიერი დათქმის შეწყვეტა;
- თ) 39-ე მუხლის დებულებების თანახმად მიღებული ნებისმიერი ცნობა და თარიღი გაუქმება/დენონსაციის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით.

კონვენციას ხელს აწერენ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები.

კონვენცია მომზადდა სტრასბურგში, 1964 წლის 30 ნოემბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და ორივე ტექსტს გააჩნია თანაბარი ძალა. კონვენცია მომზადებულია ერთ ეგზემპლარად და ინახება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა დამონმებული ასლები უნდა გაუგზავნოს ხელმომწერ და მიერთებულ სახელმწიფოებს.

დანართი

ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარე უფლებამოსილია, გააკეთოს შემდეგი განცხადებები:

1. რომ ის არ აღიარებს კონვენციის იმ დებულებებს, რომლებიც ეხება სასჯელის აღსრულებას ან სრულ შეფარდებას;
2. რომ ის აღიარებს ამ დებულებების მხოლოდ ნაწილს;
3. რომ ის არ აღიარებს 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულებებს.

